ღია საზოგადოების ფონდი

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის

Rehabilitation initiative for vulnerable groups

# ფსიქოლოგთა როლი გამოძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას

## კვლევის ანგარიში


ავტორები

მარიამ ნათაძე

ანტონ ქელბაქიანი

# ფსიქოლოგთა როლი გამოძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას

კვლევის ანგარიში

**ავტორები**

მარიამ ნათაძე

ანტონ ქელბაქიანი

2020 წელი

# სარჩევი

**1. შესავალი** ..... 3

**2. კვლევის მიზანი** ..... 3

**3. კვლევის ამოცანები** ..... 3

**4. კვლევის მეთოდოლოგია** ..... 4

**5. სამაგიდე კვლევა** ..... 4

საერთაშორისო სტანდარტები ..... 4

საერთაშორისო პრაქტიკა ..... 11

ადგილობრივი კანონმდებლობა ..... 13

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი ..... 25

**6. თვისებრივი კვლევა** ..... 28

შესავალი ..... 28

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია ..... 29

თვისებრივი კვლევის შედეგები ..... 30

**7. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები** ..... 53

კვლევის ანგარიში გამოცემულია „ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ კვლევის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

## 1. შესავალი

თანამედროვე სამყაროში ბავშვის უფლებების დაცვა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემაში ხვდებიან . საქართველომ 1994 წელს მოახდინა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება და იმ დღიდან მოყოლებული მას აღებული აქვს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები. კონვენციის თანახმად ბავშვები არამარტო განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტები არიან, არამედ სრულუფლებიანი სუბიქტები სამართალწარმოების პროცესში, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ჩართულობა და მათი ხმა მკაფიოდ უნდა ისმოდეს. არასრულწლოვანთა მიმართ განსაკუთრებული მიდგომა და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა პირდაპირ აისახება მათ მომავალ განვითარებასა და მათ მიერ საზოგადოებაში შესაბამისი ადგილის დაკავებაზე. მართლმსაჯულების პროცესში განსაკუთრებით მოწყვლადები არიან დანაშაულის მოწმე და დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვები, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ისინი შესაძლოა ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, რაც მათთან კონტაქტში მყოფ პირთაგან სპეციფიურ ცოდნასა და განსაკუთრებულ მიდგომებს მოითხოვს. ზემოთ მითითებული ფაქტორების გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში მოწმე/დაზარალებულთა მხარდაჭერას სხვადასხვა პროფესიონალების და განსაკუთრებით ფსიქოლოგების მხრიდან.

აღნიშნული კვლევის მიზანია, ზოგადად შეფასდეს მართლმსაჯულების პროცესში მოწმე/დაზარალებული ბავშვების მხარდამჭერი მექანიზმები საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და სხვა საკითხებთან ერთად, აქცენტი გაკეთდეს დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხზე.

ამ გარემოებების შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ საერთაშორისო სტანდარტები (როგორც სავალდებულო, ისე სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები) და პრაქტიკა, ისევე როგორც ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა. მიმოხილვის შედეგად, დოკუმენტში წარმოდგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის შედარებითი ანალიზი, ასევე რეკომენდაციები ადგილობრივი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

## 2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, დანაშაულის მოწმე და დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვებისთვის გაკეთდეს ფსიქოლოგიური სერვისის მიწოდების კუთხით არსებული ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან. მოხდეს არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და განისაზღვროს რეკომენდაციები ფსიქოლოგიური სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით.

## 3. კვლევის ამოცანა

3.1 განხორციელდეს მოწმე/დაზარალებული ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის არსებული რესურსის აღწერა საქართველოში;

3.2 საკანონმდებლო და პრაქტიკული მიმართულებების პარალელურად, განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი;

3.3 გაუმჯობესდეს მოწმე/დაზარალებულ ბავშვების ფსიქოლოგიური სერვისი მართლმსაჯულების სისტემაში (დაკითხვა/გამოკითხვის ეტაპზე).

# 4. კვლევის მეთოდოლოგია

**4.1 სამაგიდე კვლევა**

ა) საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი;

ბ) საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;

გ) ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზი;

დ) საჯარო და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი;

ე) სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი.

**თვისებრივი კვლევა**

ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზი:

ა) ინტერვიუები;

ბ) ფოკუს-ჯგუფები.

# 5. სამაგიდე კვლევა

## 5.1 საერთაშორისო სტანდარტები

მართლმსაჯულების პროცესში მოწმე/დაზარალებული ბავშვების მონაწილოების საკითხს ეხება როგორც ევროსაბჭოს და ევროკავშირის, ასევე გაეროს მიერ შემუშავებული სხვადასხვა სახის საერთაშორისო დოკუმენტები. ამ დოკუმენტების ნაწილი სარეკომენდაციო ხასიათისაა, ხოლო ნაწილი სავალდებულო ხასიათის (რატიფიცირებული კონვენციები). აღნიშნული დოკუმენტებია:

სავალდებულო:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 25-10-2007 (ლანსაროტის კონვენცია).

სარეკომენდაციო:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 (2007) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვის უფლებათა შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითებები მართლმსაჯულებაში დაზარალებული და მოწმე ბავშვების შესახებ (ECOSOC/RES/2005/20), მიღებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ;
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის დირექტივა 2016/800/EU სისხლის სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული ბავშვების პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ (დირექტივა 2016/800/EU);
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, დახმარებისა და დაცვის შესახებ (დირექტივა 2012/29/EU);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ;
- ევროპის კომისიის რეკომენდაცია (REC. C (2013) 8178/2) ეჭვმიტანილი და ბრალდებული მოწყვლადი პირების პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ;
- UNODC/UNICEF (2009) მართლმსაჯულება დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მიმართებაში (UNODC/UNICEF (2009), 3 მოდელური კანონი).

მნიშვნელოვანია სხვადასხვა საკითხების მიმოხილვა აღნიშნული დოკუმენტების კონტექსტში. როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის მიზანია გაანალიზდეს მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის

პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხი. თუმცა ამ საკითხის მიმოხილვა რთული იქნება სხვადასხვა კომპონენტის ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მომოვიხლოთ შემდეგი საკითხები:

ა) ბავშვების ინდივიდუალური შეფასება;

ბ) მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებულობა და დაკითხვაზე/გამოკითხვაზე დასწრება;

გ) მართლმსაჯულების პროცესში სხვადასხვა სუბიექტის ჩართულობა;

დ) ბავშვის დაკითხვისთვის/გამოკითხვისთვის მომზადება და მისი ჩატარების მეთოდი;

ე) ბავშვზე მორგებული გარემო და პროფესიონალთა სპეციალიზაცია;

ვ) კონფიდენციალობის დაცვა.

სანამ ამ საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, მნიშვლელოვანია ხაზი გავუსვათ იმ მთავარ პრიციპებს, რომელთაც განსაზღვრავს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია. კონვენციის თანახმად, „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“.[1] აღნიშნული კონვენცია ასევე ადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის საპროცესო გარანტიებს მართლმსაჯულების სფეროში.[2] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ბავშვის პიროვნული, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობა.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად “დაზარალებული და მსხვერპლი ბავშვი” გულისხმობს ნებისმიერ 18 წელს მიუღწეველ ადამიანს, რომელიც დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმეა, მიუხედავად დანაშაულისა, ასევე სამართლებრივ პროცესებში მათი როლისა და ჩართულობისა.[3]

მოდელური კანონის თანახმად, დაზარალებული და მოწმე ბავშვი არის ნებისმიერ 18 წელს მიუღწეველი პირი, რომელიც გახდა დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმე, მიუხედავად დანაშაულისა და სამართალწარმოებაში მისი მონაწილეობის ტიპის ნაირგვარობისა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოდელური კანონი დაზარალებულებს, რომლებიც ამასთანავე მოწმეები არიან, არ განარჩევს იმ დაზარალებულებისაგან, რომლებიც არ არიან მოწმეები. მოდელური კანონი არ განასხვავებს კანონთან კონფლიქტში მყოფ იმ მოწმეებსა და დაზარალებულებს იმ მოწმეებისა და დაზარალებულებისაგან, რომლებიც კანონთან კონფლიქტში არ არიან.[4]

**ა) ბავშვების ინდივიდუალური შეფასება**

მნიშვნელოვანია დაზარალებული და მოწმე ბავშვები გამოკითხვამდე შეფასდნენ ინდივიდუალურად. დაზარალებული ბავშვის შეფასების მიზანია მისი მეორადი ვიქტიმიზაციისაგან დაცვა და ამის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.[5]

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივებში[6] დაზარალებული (ისევე, როგორც ბრალდებული) ბავშვების ინდივიდუალური შეფასება სისხლის სამართლებრივი პროცედურების აუცილებელ ნაწილადაა წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია შეფასება განხორციელდეს რაც შეიძლება ადრე მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრისას.[7] ინდივიდუალური შეფასება ბავშვის ჩართულობით უნდა განხორციელდეს და მისი შეხედულებები ასახული უნდა იყოს ანგარიშში.[8]



1 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია მ. 3 (1.).

2 იქვე, მ. 40.

3 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 9 (ა), (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

4 UNODC/UNUCEF (2009) მართლმსაჯულება დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან დაკავშირებით, გვ. 5

5 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22 (1,4), (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

6 დირექტივა 2016/800/EU; დირექტივა 2012/29/EU (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

7 დირექტივა 2016/800/EU, მუხლი 7(5,6); დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22 (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

8 დირექტივა 2016/800/EU, მუხლი 7(7); დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22(6) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

ინდივიდუალური შეფასებისას უნდა მოხდეს პირის მახასიათებლების (როგორებიცაა ასაკი, სქესი, გენდერული იდენტობა, ეთნიკურობა, რასა, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა, მოქალაქეობა, კომუნიკაციური სირთულეები, მოძალადესთან დამოკიდებულება და ძალადობის გამოცდილება), დანაშაულის ტიპისა და გარემოებების (მაგალითად, იყო თუ არა სიძულვილით გამოწვეული ძალადობა, დისკრიმინაციით გამოწვეული ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ძალადობა ახლობელი ადამიანისგან, ძალადობა ძალაუფლების მქონე პირისგან, მაღალი კრიმინალური მაჩვენებლის ან კრიმინალური დაჯგუფებების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული) გათვალისწინება.[9]

**ბ) მშობლების/კანონიერი წარმომადგენელის ინფორმირებულობა და დაკითხვაზე დასწრება**

მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის ჩართვამდე ბავშვსა და მშობლებს (ან კანონიერ წარმომადგენელს), რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ბავშვზე მიმართული ღონისძიებების თაობაზე.[10]

საერთაშორისო სტანდარტებში აღნიშნულია, რომ ბავშვის გამოკითხვა არ უნდა მოხდეს მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: სავარაუდო მოძალადე თავად მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელია; თუ ბავშვს არ სურს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხლება; სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრება არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.[11]

საერთაშორისო სტანდარტებში ასევე ცალკე აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციისაგან დაზარალებულ ბავშვს თან ახლდეს სამართლებრივი წარმომადგენელი ან ბავშვის მიერ არჩეული შესაფერისი ზრდასრული (თუ გარემოებების გათვალისწინებით, პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან, ამ პირთან მიმართებაში საპირისპირო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული).[12]

**გ) მართლმსაჯულების პროცესში სხვადასხვა სუბიექტების ჩართულობა**

ბავშვის დაკითხვის პროცესს, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შესაძლოა ესწრებოდნენ სხვადასხვა სახის პროფესიონალები - ადვოკატი, თარჯიმანი, ფსიქოლოგი და ა.შ.

- **ადვოკატი**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, როდესაც დაზარალებულ ბავშვსა და მშობელს (ან კანონიერ წარმომადგენელს) შორის არის ან შესაძლოა იყოს ინტერესთა კონფლიქტი, ბავშვის სახელით შესაძლოა ადვოკატი წარსდგეს.[13] სახელმწიფომ, სისხლის სამართლის პროცესში სტატუსის არსებობის შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის უფასო იურიდიული დახმარება.[14]

- **თარჯიმანი**

თუ ბავშვმა არ იცის ან არ ესმის სამართალწარმოების ენა, სახელმწიფომ უფასოდ უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურეობა. თარჯიმანი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ბავშვის დაკითხვასა და გამოკითხვას, მათ შორის პოლიციაში და სასამართლოზე.[15]

- **სხვა პროფესიონალები**

სამართალწამოების პროცესში, თუ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრება შესაძლოა იწვევდეს ინტერესთა კონფლიქტს (როდესაც კანონიერ წარმომადგენელს ჩამორთმეული აქვს ასეთ პროცესში

9 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22(2) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

10 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 20 (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი)/დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 1(2) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

11 UNODC/UNICEF (2009) მოდელური კანონი, მუხლი 20 (5.) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

12 ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 35 (1) (ვ).

13 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 24(1)(გ) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

14 ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 31 (3).

15 გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 40 (2)(ბ)(VI).

ბავშვის წარმომადგენლობის უფლება დაზარალებულსა და მათ შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის გამო[16]), დაზარალებულ ბავშვს არავინ ახლავს, ბავშვი ოჯახისაგან განცალკევებულია, ან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან ვერ ხერხდება მყისიერი დაკავშირება, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანომ, სამართლებრივ პროცედურებში დაზარალებულის როლის გათვალისწინებით, უნდა დანიშნოს ბავშვის წარმომადგენელი.[17] ამ ბავშვების სპეციალური წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავებული უნდა იყოს მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც ბავშვს ჩვენების მიცემა, კომუნიკაცია და მიმდინარე პროცესების აღქმა უნდა გაუმარტივდეს. [18]

დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, თუ ბავშვი საჭიროებს დამხმარე ადამიანს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაძლებლობა, ბავშვს თან ახლდეს შესაბამისი პროფესიონალი (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სამართლებრივი კონსულტანტი).[19] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისათვის (ადვოკატები, ფსიქოლოგები, ექიმები, სოციალური მუშაკები და მედიატორები) საერთო შეფასების ჩარჩო.[20]

**დ) ბავშვის დაკითხვისთვის/გამოკითხვისთვის მომზადება და მისი ჩატარების მეთოდი**

ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია დაკითხვის/გამოკითხვის პროცესისთვის ბავშვების მომზადება, სადაც განსაკუთრებული როლი ენიჭებათ სხვადასხვა სახის პროფესიონალებს, მათ შორის ფსიქოლოგებს. შესაბამისმა პროფესიონალებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს ესმოდეს რა პროცესში მონაწილეობს და ჰქონდეს ზუსტი მოლოდინები მის განვითარებასთან დაკავშირებით. ეს პროცესი წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და სპეციალისტებთან ურთიერთობის პროცესიც თანმიმდევრულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. [21]

- **ბავშვის ინფორმირება**

დაკითხვის/გამოკითხვის ეტაპზე ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობა და ამ პროცესში მათ მხარდაჭერას შესაბამისი სპეციალისტები (მათ შორის ფსიქოლოგები) უნდა უზრუნველყოფდნენ. გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მოსაზრებები სამართალწამოების პროცესთან და მისივე უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ხოლო როცა ამის გაკეთება შეუძლებელია, ბავშვს გარკვევით და გასაგები ფორმით უნდა აუხსნან ამის მიზეზი.[22] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმირების უფლების უზრუნველყოფა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, მართლმსაჯულებასთან პირველი შეხებისას დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია:

- არსებული სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა სერვისების შესახებ; აგრეთვე, გარემოებების გათვალისწინებით, სამართლებრივი და სხვა წარმომადგენლის, კომპენსაციისა და გადაუდებელი ფინანსური დახმარების თაობაზე;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მსვლელობის შესახებ; სამართლებრივ პროცედურებში დაზარალებული და მოწმე ბავშვის როლის შესახებ; ჩვენების მიცემის დროისა და მნიშვნელობის, აგრეთვე გამოძიებისა და სასამართლო პროცესისას მათი „დაკითხვის“ ფორმების თაობაზე;
- საჩივრის შეტანისა და სხვა სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობისას ბავშვის მხარდამჭერი არსებული მექანიზმების შესახებ;
- მოსმენებისა და სხვა პროცედურების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ;
- ხელმისაწვდომი დაცვითი ღონისძიებების შესახებ;

16 ლასნაროტის კონვენცია, მუხლი 31 (4).

17 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 24(1)(ბ) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

18 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 25 (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

19 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 3 (3) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

20 სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 17.

21 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 25, (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

22 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 21, (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

- დაზარალებული და მოწმე ბავშვისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ;
- დაზარალებული და მოწმე ბავშვების უფლებების შესახებ;
- ზარალის ანაზღაურების შესახებ.[23]
- სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობით გაღებული ხარჯების ანაზღაურების მიღების პირობების შესახებ.[24]

დაზარალებულ ბავშვებს დამატებით აქვთ უფლება მიიღონ ინფორმაცია საქმის მსვლელობის თაობაზე, მათ შორის ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის შეწყვეტა;
- სასამართლო პროცესის გამართვის დრო და ადგილი; მოძალადისთვის წაყენებული ბრალდება;
- განაჩენი;
- სამართლებრივი პროცედურების მსვლელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის გაკეთება სამართლებრივი პროცედურისათვის ზიანის მომტანი შეიძლება იყოს;
- ბრალდებულის ან მსჯავრდებულის პატიმრობის შეწყვეტა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს მოძალადეს). ამას გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულმა მიიღოს ინფორმაცია მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გატარებული ზომების თაობაზე.[25]

- **დაკითხვის/გამოკითხვის მეთოდი**

ბავშვთან ნებისმიერი ინტერაქცია, მათ შორის, გამოკითხვაც, უნდა წარიმართოს იმ ენაზე, რომელსაც ბავშვი იყენებს და რომელიც ესმის.[26] კომუნიკაცია უნდა ხდებოდეს მარტივი და გასაგები ენით. კომუნიკაციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მახასიათებლები, მათ შორის, ნებისმიერი უნარშეზღუდულობა, რომელიც, შესაძლოა, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის უნარზე, გაიგოს ან იყოს გაგებული.[27]

დაკითხვის სანდოობის გაზრდის მიზნით და ბავშვის ტრავმირების რისკის შესამცირებლად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას დაზარალებული და მოწმე ბავშვების მათზე მორგებული მეთოდებით გამოკითხვა. ნებადართული უნდა იყოს გამოკითხვაზე დამკვირვებლის (მაგალითად სუპერვაიზერის) დასწრება ან/და მაგალითად ფსიქოლოგის მონაწილეობა.[28]

შესაბამისმა სპეციალისტებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს ჰქონდეთ მართლმსაჯულების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება, რაც მოიცავს ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის გზის არჩევის შესაძლებლობასაც.[29] ასევე ქონდეთ სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი და სიმწიფე.[30]

სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მისცენ ჩვენება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და აირჩიონ თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის ფორმა, პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით.[31]

**ე) ბავშვზე მორგებული გარემო და პროფესიონალთა სპეციალიზაცია**

- **ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა)**

23 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 20.

24 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 3 (2) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

25 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 3 (2).

26 UN/CRC/C/GC/№10, პარაგრაფი 14.

27 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 3 (2) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

28 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 31 (გ) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

29 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 21(ბ).

30 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 10 (1) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

31 ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 31 (1, გ).

არქიტექტურულმა გარემომ ბავშვს შესაძლოა დისკომფორტი შეუქმნას, ან სულაც რისკის შემცველი აღმოჩნდეს მისთვის. საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს ბავშვის უფლებას მოუსმინონ მას, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან. როგორც ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს: „ბავშვს ეფექტურად ვერ მოუსმენენ შემაშინებელ, მტრულ, არასენსიტიურ ან მისი ასაკისათვის შეუფერებელ გარემოში“ და „განსაკურებული ყურადღება უნდა მიექცეს ... სასამართლო დარბაზების დიზაინს, მოსამართლეებისა და ადვოკატების ჩაცმულობას, ეკრანებს და განცალკევებულ მოსაცდელ ოთახებს''.[32]

მსგავსი იყო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დასაბუთება, საქმეზე - თ და ვ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,[33] სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ სამეფო სასამართლოს ოფიციალური, რიტუალური გარემო ბუნდოვანი და შემაშინებელი იყო თერთმეტი წლის ბავშვებისთვის, რის შედეგადაც ბავშვებმა ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ განმარტავს, რომ საქმე, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს უნდა განიხილონ უსაფრთხო, ბავშვის მიმართ მგრძნობიარე გარემოში[34], სადაც ის თავს იგრძნობს დაცულად და შესაბამისად, უფრო თავისუფლად ილაპარაკებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე ბავშვისათვის სასამართლოს გარემოს და პროცესში მონაწილე პირების გაცნობა; ბავშვთან ურთიერთობაში პატივისცემა და სენსიტიური განწყობა; ბავშვზე მორგებული მოსაცდელი ოთახების არსებობა; ბავშვის გამოკითხვა მასზე მორგებულ ოთახებში, სადაც არავინ შეაწუხებს და ჩაერევა; დაზარალებული ბავშვის სავარაუდო დამნაშავესთან კონტაქტის თავიდან არიდება; მნიშვნელოვანია თანამშრომლები უნიფორმების ნაცვლად ატარებდნენ ჩვეულებრივ ტანსაცმელს, ასევე ბავშვის მოსმენა გაიმართოს მოსამართლის კაბინეტში, სადაც ნაკლებად ოფიციალური გარემოა.



დაკითხვის პროცედურები მორგებული უნდა იყოს ბავშვის ინტერესებზე, რაც გულისხმობს სპეციალურად ბავშვებისათვის მოწყობილ გამოკითხვის ოთახს, დაზარალებული ბავშვებისათვის განკუთვნილ ერთ სივრცეში არსებულ ინტერდისციპლინურ სერვისებს, მოწმე ბავშვებზე მორგებულ სასამართლო გარემოს, ჩვენების მიცემისას შესვენებას, სასამართლო მოსმენების ბავშვის ასაკზე მორგებული დროს დანიშვნას, შეტყობინების გამართულ სისტემას (რათა ბავშვი სასამართლოზე მხოლოდ მაშინ მივიდეს, როცა ეს აუცილებელია) და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ბავშვს ჩვენების მიცემაში დაეხმარება.[35]

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბავშვი გამოიკითხოს შესაფერის გარემოსა და მოსახერხებელ პირობებში, ასაკის, სიმწიფის, კოგნიტური შესაძლებლობებისა და პოტენციური სირთულეების გათვალისწინებით.[36]

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საკანონმდებლო თუ სხვა ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვა ჩატარდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ან მოწყობილ გარემოში.[37] სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოკითხვა, სასურველია, იმავე სქესის ადამიანმა ჩაატაროს, თუ მსხვერპლს ასე სურს და ამის გაკეთება ხელს არ შეუშლის სისხლის სამართლებრივი პროცედურების მსვლელობას.[38]

ნებისმიერი ბავშვის შემთხვევაში, გამოკითხვათა რაოდენობა უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე, ხოლო ხანგრძლივობა მორგებული უნდა იყოს ბავშვის ასაკზე და მის უნარზე, მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება.[39] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებაში.[40]

---

32 *გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12, პ 34 (ურსინა ვაიდკუნი, დეკემბერი 2016, საქართველო, ბავშვზე მორგებული გარემო: კონცეფცია).*

33 *ECtHR 16 დეკემბერი 1999, Appl. No. 24724/94; Appl. no. 24888/94, პუნქტი 86 და 89 (ურსინა ვაიდკუნი, დეკემბერი 2016, საქართველო, ბავშვზე მორგებული გარემო: კონცეფცია).*

34 *იხილეთ პუნქტი IV 54ff და განმარტებითი მემორანდუმი (ურსინა ვაიდკუნი, დეკემბერი 2016, საქართველო, ბავშვზე მორგებული გარემო: კონცეფცია).*

35 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 40 (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

36 ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 64 (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი)/ ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 10, 20.

37 ლანსაროტის კონვეცნია, მუხლი 35 (1,ბ).

38 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23 (2,დ).

39 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 20(ბ); ლანსაროტის კონვენცია მუხლი 31, ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 31; სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 67; დირექტივა 2011/93/EU, მუხლი 20

40 ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 31 (1,ბ).

დაზარალებული/მოწმე ბავშვების შემთხვევაში, განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული, რათა ჩატარებული გამოკითხვების, განცხადებების, მოსმენების და მართლმსაჯულების პროცესთან არააუცილებელი შეხების რაოდენობა, რაც შეიძლება მცირე იყოს, მაგალითად, როგორიცაა ვიდეო ჩანაწერის გამოყენება.[41]

როდესაც აუცილებელია ბავშვის რამდენჯერმე გამოკითხვა, სასურველია, რომ გამოკითხვა იმავე პირმა ჩაატაროს, რათა გამოყენებული იყოს ერთგვაროვანი მიდგომა და დაცული იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესები.[42] ეს ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვის შემთხვევაში.[43]

სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას, უნდა მოხდეს მსხვერპლ ბავშვთა გამოკითხვების აუდიო-ვიდეო ჩაწერა და ამგვარი ჩანაწერები მტკიცებულებად უნდა იქნეს გამოყენებული.[44] ასეთი სახის საჭიროება ცალკეა ხაზგასმული სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებაში.[45]

- **პროფესიონალთა კვალიფიკაცია**

საერთაშორისო სტანდარტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მართლმსაჯულების სფეროში ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების სპეციალიზაციას. „პეკინური წესები“ განმარტავს, რომ - „პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი ტრენინგი, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, რომ ეფექტიანად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები, კერძოდ, ტრენინგები ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში“.[46] ბავშვების დაკითხვა უნდა განახორციელონ სპეცილურად გადამზადებულმა პროფესიონალებმა.[47]

გარდა ამისა, დაზარალებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებთან მიმართებაში, შესაბამისმა უწყებებმა უნდა იზრუნონ, რომ ამ ადამიანებს ქონდეთ ცოდნა ბავშვებში სექსუალური ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობისა და ეჭვების შეტყობინების შესახებ.[48] როგორც წესი, ამ პირების გადამზადება უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:[49]

- ადამიანის, მათ შორის ბავშვის უფლებათა სტანდარტებსა და პრინციპებს;
- დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ბავშვებთან მუშაობის ეთიკურ პრინციპებს;
- ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ნიშნების ამოცნობას;
- კრიზისის შეფასების უნარებსა და მეთოდებს;
- დანაშაულის გავლენას ბავშვებზე და მის შედეგებს (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი);
- დაზარალებულ და მოწმე ბავშვთა დახმარების ღონისძიებებსა და მეთოდებს;
- კულტურულ და ასაკთან დაკავშირებულ ლინგვისტურ, რელიგიურ, სოციალურ და გენდერულ საკითხებს;
- ბავშვებთან კომუნიკაციის თავისებურებებს;
- დაკითხვის მეთოდოლოგიას, რომლის დახმარებითაც ხდება ტრავმის მინიმალიზება და მაქსიმალურად ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის ამოღება;[50]

41 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 31 (ა) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

42 ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 57/დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23(2)(გ); ლანსაროტეს კონვენცია, მუხლი 35, სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 66; დირექტივა 2011/93/EU, მუხლი 20.

43 ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 35 (1,დ).

44 ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 65 (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი)/ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 59.

45 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 24(1)(ა); ECOSOC/RES/1997/30, მუხლი 50; სახელმძღვანელო მითითებების ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 9

46 პეკინური წესები, წესი 85.

47 ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 64.

48 ლანსაროტის კონვეცნია, მუხლი 5.

49 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 40/ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 31 (1,გ).

50 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23 (2) (ბ); სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 64

- დაზარალებული ბავშვებისათვის მტკიცებულების დაცვისა და წარდგენის მეთოდოლოგიას;
- დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა როლებსა და მეთოდოლოგიას.[51]

გარდა ამისა, დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკვლევები უნდა განახორციელონ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებმა, სენსიტიურად, პატივისცემითა და ზედმიწევნით.[52]

**ვ) კონფიდენციალობის დაცვა**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მართლმსაჯულების პროცესში ჩართული არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების უკანონო დარღვევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი. ბავშვს აქვს უფლება, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.[53] *პირადი ცხოვრების პატივისცემის მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით.* საჯაროობის დაუშვებლობა მნიშვნელოვანია დაზარალებული და მოწმე ბავშვის იდენტობისა და პირადი ცხოვრების დასაცავად, რის გამოც მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ღონისძიებები, მაგალითად, ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის დროს სასამართლო სხდომის დახურვა.[54]

გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის ჩვენება მოსმენილ იქნეს სასამართლო დარბაზში დაზარალებულის დაუსწრებლად (მაგალითად, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით).[55] სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა პირადი ცხოვრება, მათი ვინაობა და რეპუტაცია და უნდა მიიღონ ზომები რათა ხელი შეეშალოს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელმაც შეიძლება გააადვილოს მათი იდენტიფიცირება.[56]

**როგორც უკვე აღინიშნა, ამ კვლევის მიზანია მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ფსიქოლოგის მონაწილეობის როლისა და ადგილის განსაზღვრა. სწორედ ამ მიზნით, ზემოთ წარმოდგენილი იყო საერთაშორისო სტანდარტები, სადაც ზოგიერთი საკითხი, ერთი შეხედვით, შესაძლოა პირდაპირ არ უკავშირდებოდეს ამ საკითხს, თუმცა იმისათვის, რომ სწორად დავინახოთ ფსიქოლოგის როლი და ადგილი დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში, განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: ინდივიდუალური შეფასება; მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის საკითხი; სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობა და მათი სპეციალიზაცია; დაკითხვის მეთოდი და ჩატარების წესი; ბავშვზე მორგებული გარემო; კონფიდენციალობის დაცვა. ამ საკითხების საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში დანახვა დაგვეხმარება კვლევის შედეგების უკეთ წარმოდგენისთვის.**

## 5.2 საერთაშორისო პრაქტიკა

მართლმსაჯულების პროცესში მოწმე და დაზარალებული ბავშვების მონაწილეობისას ფსიქოლოგების როლთან დაკავშირებით საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. ამ მხრივ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, როგორც აშშ-ის, ასევე ევროპული ტიპის საუკეთესო გამოცდილების გაცნობა. აშშ-ის მაგალითზე განვიხილავთ ალაბამას შტატში ბავშვთა ადვოკატირების ცენტრის მოდელს, რომელზე დაყრდნობითაც ჩამოყალიბდა ასეთი სახის ცენტრები აშშ-ს სხვა შტატებშიც. გარდა ამისა, ეს კონცეფცია გახდა ნიმუში ევროპული ბავშვთა სახლების (ე.წ Barnahus) ჩამოყალიბებისთვის, რომელიც საკმაოდ წარმატებულად დაინერგა სკანდინავიის ქვეყნებში და დღესდღეობით ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად ითვლება.

**ა) ბავშვთა ადვოკატირების ცენტრები აშშ-ში**

დაახლოებით 25 წლის წინ, აშშ-ში, ალაბამას შტატის ქალაქ ფუნსტვილში, ოლქის რწმუნებულმა ბენ კრამერმა ჩამოყალიბა ბავშვთა ადვოკატირების ცენტრი (CAC)[57]. ამ ცენტრის მიზანი იყო სექსუალურ დამნაშავეთა მიმართ ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის მექანიზმის დანერგვა. ასევე, ამ ცენტრის



51 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 42 (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

52 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 13.

53 ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 16.

54 ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 12 და 20/ დირექტივა 2012/20/EU, მუხლი 23(3)

55 ლანსაროტის კონვეცნია, 36 (2) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

56 ლანსაროტის კონვეცნია, 36 (1,ე.).

57 https://alabamacacs.org/

მიზანი იყო ბავშვზე მორგებული დაკითხვის გარემოს შექმნა. ასე დაიწყო მოძრაობა, რომელიც დღეს უკვე ბავშვთა ადვოკატირების 700-მდე აკრედიტებულ და ასოცირებულ წევრს მოიცავს აშშ-ს მასშტაბით.

მსგავს ცენტრთა ფედერალური დაფინანსების ადმინისტრირების მიზნით შექმნილმა ორგანიზაციამ - „ბავშვთა ეროვნულმა ალიანსმა“ შეიმუშავა სააკრედიტაციო სტანდარტები, რომელსაც ყველა ასეთი სახის ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ:

- მულტიდისციპლინური გუნდები;
- კულტურული კომპეტენცია და მრავალფეროვნება;
- დაზარალებულთა მხარდაჭერა და ადვოკატირება;
- სამედიცინო შეფასება;
- მენტალური ჯანმრთელობა;
- საქმის განხილვა;
- საქმის კვლევა;
- ორგანიზაციული შესაძლებლობები;
- ბავშვზე ფოკუსირებული გარემო.

უკანასკნელ წლებში, მრავალმა კვლევამ დაადასტურა ამ ცენტრების ეფექტიანობა და შედეგიანობა ბავშვებთან და მათი ოჯახის წევრებთან მიმართებაში. კვლევის მონაცემების მიხედვით, ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი გარემო დადებითად მოქმედებს ბავშვებზე. ადვოკატირების ცენტრებში დაკითხული ბავშვები, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, აღნიშნავდნენ, რომ დაკითხვის დროს „სულ არ“ ან „არც ისე“ შეშინებიათ. კვლევები ასევე მიუთითებს ისეთ დამატებით სარგებელზე, როგორიცაა საქმის წარმოების დაჩქარება, გაუმჯობესებული სამედიცინო შემოწმება და ეკონომიურობა.

**ბ) ევროპული ბავშვთა სახლები (Barnahus)**

1996 წლის სტოკჰოლმის მსოფლიო კონგრესის შემდეგ, ისლანდიის ბავშვთა დაცვის სამთავრობო ორგანიზაციამ ქვეყანაში ბავშვზე სექსუალური ძალადობის გავრცელების პირველი კვლევა განახორციელა. კვლევას დიდი ხმაური მოჰყვა, რადგან ბავშვთა დაცვის სამსახურებში, პოლიციაში, პროკურატურაში, სასამართლოებსა და სამედიცინო დაწესებულებებში გავლილმა მრავალმა წელმა ცხადყო, რომ პრობლემა სერიოზულად იდგა. ანალიზმა ასევე გამოავლინა სისტემის უუნარობა, კვალიფიციურად გადაეჭრა საკითხი, რაც უწყებათაშორისი კოორდინაციის ნაკლებობის გამო დაზარალებულთა რევიქტიმიზაციას იწვევდა.

ისლანდიაში ზემოთ აღნიშნული მოდელის ჩამოყალიბების ამოსავალი წერტილი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი იყო, სადაც ნათქვამია, რომ „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“.

ბავშვის საჭიროების უპირატესად დაყენების სტრატეგია პრიორიტეტული გახდა. სისტემას, რომელშიც მსხვერპლი ბავშვი სხვადასხვა უწყებათა მოთხოვნებს უნდა მორგებოდა, ბავშვის საჭიროებებზე ფოკუსირებული უწყება ჩაენაცვლა. ამერიკული ბავშვთა ადვოკატირების ცენტრი იქცა ნიმუშად, რომელიც ისლანდიური საზოგადოების სოციალური უზრუნველყოფის ტრადიციებს მიუსადაგეს. 1998 წელს გაიხსნა ბავშვთა სახლი (Barnahus), რომელმაც ბავშვისადმი კეთილგანწყობილ გარემოში მულტიდისციპლინური სამსახური შეითავსა. სახლი მდებარეობს ჩვეულებრივ საცხოვრებელ რაიონში და მასში შექმნილია ისეთი ატმოსფერო, რომელშიც ბავშვები უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობენ თავს.

ბავშვთა სახლის ძირითადი კონცეფცია მდგომარეობს ერთობლივ საგამოძიებო გასაუბრებაში, რომელსაც მოსამართლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კვალიფიციური ინტერვიუერი ატარებს. ინტერვიუ მიმდინარეობს სპეციალურად მოწყობილ გასაუბრების ოთახში და მის მსვლელობას ვიდეოკამერების საშუალებით შეიძლება აკვირდებოდნენ პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლები, მოპასუხის ადვოკატი, ბავშვის ადვოკატი და ბავშვთა დაცვის სამსახურის სოციალური მუშაკი. თუ ეჭვმიტანილი

გამოვლენილია, აღნიშნული პროცედურა სასამართლო ჩვენების ექვივალენტურია და ბავშვისთვის აღარ არის საჭირო სასამართლოში ჩვენების მიცემა.

აღნიშნულ ცენტრებში კვლევითი გასაუბრებისთვის შეიძლება ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის გაგზავნაც. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ბუნდოვნად ან ორაზროვნად გადმოსცემს ინფორმაციას, ან როცა სავარაუდო დამნაშავე არ არის იდენტიფიცირებული ან არ მიუღწევია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის. ყველა გასაუბრება აღიბეჭდება ვიდეოფირზე სხვადასხვა მიზნით - მათ შორის სამედიცინო შემოწმებისა და თერაპიული მომსახურეობისთვის.

2002 წელს, საერთაშორისო ალიანსმა - „გადავარჩინოთ ბავშვები“, კვლევაში - „ბავშვზე ძალადობა და ზრდასრულთა მართლმსაჯულება“, 9 ევროპული ქვეყნის სახელმწიფოს შორის ისლანდიის ბავშვთა სახლის პრაქტიკა, საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშად აღიარა. *ბავშვთა მიმართ ძალადობისა და დაუდევარი მოპყრობის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებამ* (ISPCAN) 2006 წლის ნიუ იორკის საერთაშორისო კონგრესზე ისლანდიის ბავშვთა სახლს „მულტიდისციპლინური გუნდის ჯილდო“ გადასცა.

2005 წელს **შვედეთში** ბავშვთა სახლი გახსნა დედოფალმა სილვიამ, რომელიც, მის მიერ 1999 წელს დაარსებული „მსოფლიო ბავშვების ფონდის“ საქმიანობიდან გამომდინარე, პირადად იყო დაინტერესებული ამ პროექტით. სახლი გაიხსნა ლიპკონგში, ხოლო იმავე წელს, შვედეთის მთავრობა ბავშვთა სახლების მთელი ქვეყნის მასშტაბით გახსნის რეკომენდაციით გამოვიდა და გადაწყდა ექვს ქალაქში საპილოტე პროექტები განხორციელებულიყო.

2006 წელს **ნორვეგიის** პარლამენტის განკარგულებით, ინტერმინისტრალურმა სამუშაო ჯგუფმა წარადგინა ანგარიში ბავშთა სახლების შესახებ და მომდევნო წელს პირველი ცენტრიც ამუშავდა (Justis – og Politidepartamentet, 2006). ნორვეგიას ამჟამად 7 ბავშვთა სახლი აქვს. **დანიაში** ამ ტიპის მხოლოდ 1 დაწესებულება ფუნქციონირებს და ინტერდისციპლინურმა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ინსტიტუტმა შეიერთა, უფრო მეტი ასეთი სახლის შექმნის წინადადება წამოაყენა (Forskiningsnetvarket, 2009). **ფინეთში** იუსტიციის სამინისტრომ ბავშვთა სახლების საპილოტე პროგრამა 2010 წლის ბოლოდან დაიწყო. მსგავსი სახლების გახსნა იგეგმება გრელანდიაშიც.[58]

### 5.3 ადგილობრივი კანონმდებლობა

2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელმაც განსხვავებულად დაარეგულირა ბავშვთა (როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე მოწმე და დაზარალებულ) დაცვის სტანდარტები სისხლისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. კოდექსის მიზანია - „მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“.[59]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიც არის **ბავშვის საუკეთესო ინტერესი** - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“.[60] აღნიშნული დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიც არის მოსმენის უფლება - „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება. მას აქვს აგრეთვე უფლება, მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად“.[61]

გარდა ამისა, კოდექსი ასევე ხაზს უსვამს ბავშთა პირადი ცხოვრების დაცვის პრინციპებს - „არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის

58 მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, საუნივერსიტეტო საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის, უ. ვაიდკუნი.

59 არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსი, მ.1 (1).

60 იქვე, მ.4.

61 იქვე, მ.10 (1).

ნებისმიერ სტადიაზე ... არასრულწლოვნის ნასამართლევობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის. დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.[62] ზუსტად აღნიშნული პრინციპის დაცვის მიზნით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ასახულია ნორმა, სასამართლო სხდომების დახურულ კარს მიღმა განხილვასთან დაკავშირებით - „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება“,[63] ხოლო მოწმე და დაზარალებული ბავშვების სასამართლოს სხდომის დახურვა წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას (არ არის სავალდებულო), რის შესახებაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე.[64]

კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.[65]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსაზღვრავს სისხლის სამართლის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მოწმის/დაზარალებულის **უფასო იურიდიული დახმარების** შესაძლებლობას გარკვეულ შემთხვევებში. კერძოდ, კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით, თუ იგი არის გადახდისუუნარო ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX და XXII თავებითა და $144^1$–$144^3$ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე“.[66] იქვე აღნიშნულია, რომ ამ სახის მხარდაჭერის მიზანია მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.[67]



სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებული სარგებლობს აგრეთვე შემდეგი **უფლებებით:**

- მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლებით;
- თარჯიმნის მომსახურების უფასოდ მიღების უფლებით – მისი მიღების საჭიროების შემთხვევაში;
- კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლებით;
- საკონსულო დახმარების მიღების უფლებით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.[68]

ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულია სამართალწარმოების პროცესში **საპროცესო წარმომადგენლის** მონაწილეობა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიმართვის საფუძველზე განსაზღვრავს საპროცესო წარმომადგენლად თავის თანამშრომელს ან სხვა სანდო პირს, თუ:

- პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;
- არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მის მონაწილეობაზე;
- კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს;
- არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია;
- კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული;
- კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

62 იქვე, მ.13.
63 იქვე, მ.29 (1).
64 იქვე, მ.24 (გ).
65 იქვე, მ.22.
66 იქვე, მ.15 (1).
67 იქვე, მ.23.
68 იქვე, მ.15.

დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში. სხვა სანდო პირი საპროცესო წარმომადგენლად ინიშნება არასრულწლოვნის მოსაზრების გათვალისწინებით. საპროცესო წარმომადგენელი უფლებამოსილია:

- პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ;
- ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან;
- არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ;
- არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ;
- არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარების და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ;
- არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ;
- არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები.[69]





არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ასევე ითვალისწინებს **მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის** ინსტიტუტს. მოწმისა და დაზარლებულის კოორდინატორის ფუნქციაა არასრულწლოვან მოწმეს, არასრულწლოვან დაზარალებულს კანონიერი წარმომადგენლის ან/და ადვოკატის თანდასწრებით ან/და მეშვეობით მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.[70]

ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულია არასრულწლოვნებთან მიმართებაში **ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების** მომზადების წესი და პროცედურა კონკრეტულ შემთხვევებში. ასეთი სახის ანგარიშები მზადდება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში:

- განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
- სასჯელის დანიშვნისას;
- საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
- არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
- პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა. ანგარიშს ამზადებს პრობაციის ეროვნული სააგენტო (განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას; სასჯელის დანიშვნისას; არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას) და სპეციალური პენიტენციური სამსახური (საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას; პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას).

შესაბამისი ორგანო ინდივიდუალური შეფასების პროცესში შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.[71]

69 იქვე, მ.50.

70 იქვე, მ.28 (7).

71 იქვე, მ.27.

არასრულწლოვანი შეიძლება **გამოიკითხოს/დაიკითხოს,** თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. მისი გამოკითხვა/დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. არასრულწლოვნის დაკითხვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინტერვალებით, სადაც უნდა მოხდეს არასრულწლოვნის ასაკის, განვითარების დონისა და სხვა გარემოებების გათვალისწინება. თუ არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე მოწმე ან მსხვერპლი, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული.

არასრულწლოვანი არ შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე. იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე, აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.[72]

ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა/დაკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.[73]

ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს საპროცესო მოქმედებაში **ფსიქოლოგის მონაწილეობის** საკითხსაც. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლის, ხოლო გამოძიების სტადიაზე – ბრალდების მხარის ინიციატივით, უზრუნველყოფილია საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობაც. ასევე, განსაზღვრულია ფსიქოლოგის როლი ამ პროცესში - „ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას“.[74]

კანონმდებლობით კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხები. განსაზღვრულია საერთო ნორმები გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობასთან დაკავშირებით, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მიმართებაში - „არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას“.[75] თუმცა, ცალკეა განსაზღვრული ის შემთხვევები, როცა არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე ან მსხვერპლი. ამ შემთხვევაში, გამოკითხვისას/დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეოჩაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება).[76] საპროცესო მოქმედებას, არასრულწლოვანი დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, ესწრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.[77]

ადგილობრივი კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების **სპეციალიზაციის საკითხს,** სადაც განსაზღვრულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სპეციალიზირებული პირები.[78] სპეციალიზაციის ვალდებულება სხვადასხვა პროფესიონალების გარდა

72 იქვე, მ.52.
73 იქვე, მ.52
74 იქვე, მ.23
75 იქვე, მ.52.
76 იქვე, მ.52.
77 იქვე, მ.52 (8).
78 იქვე, მ.21 (1).

(მოსამართლე[79], პროკურორი[80], გამომძიებელი[81], პოლიციელი[82], ადვოკატი[83], სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, მოწმის და დაზარალებული კოორდინატორი, პენიტენციური სისტემის პერსონალი[84]) განსაზღვრულია ასევე მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებისთვისაც.[85]

საქართველოს მთავრობის დადგენილება №668 ადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტებს. აღნიშნული დადგენილების თანახმად, განსაზღვრულია ის უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონკრეტულ პროფესიონალთა გადამზადებაზე. კერძოდ:

- საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული პროკურატურის სისტემის გამომძიებლებისა და პროკურორების გადამზადებას;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული გამომძიებლებისა და პოლიციელების გადამზადებას;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის გამომძიებლების, სოციალური მუშაკების, პრობაციის ოფიცრების, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პენიტენციური დაწესებულების პერსონალის გადამზადებას;
- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორებისა და სოციალური მუშაკების გადამზადებას.[86]

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ფსიქოლოგების სპეციალიზაციის ვალდებულებას, ამ ეტაპზე, კანონმდებლობის დონეზე, არ არის განსაზღვრული ის უწყება, ვინც უნდა გადაამზადოს ფსიქოლოგები. აქედან გამომდინარე, გაუგებარია როგორ უნდა შეფასდეს ფსიქოლოგების კვალიფიკაცია, თუკი პროცესის მწარმოებელი ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგების ჩართვის თაობაზე. ამ პრობლემის თაობაზე ასევე მიუთითებენ უწყებები მათ მიერ მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში.

### 5.4 მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების არსებული რესურსი და კვალიფიკაცია

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საქართველოში მოწმე და დაზარალებული ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის არსებული რესურსის აღწერა და ფსიქოლოგთა კვალიფიკაციის შეფასება, საჯარო და სტატისტიკური ინფორმაციის შესწავლის, ასევე თვისებრივი კვლევის განხორციელების გზით.

ორგანიზაციამ შეიმუშავა საკითხთა ჩამონათვალი და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამასთან, შესწავლილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს, საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია.

79 იქვე, მ.17.
80 იქვე, მ.18.
81 იქვე, მ.18.
82 იქვე, მ.19
83 იქვე, მ.20.
84 იქვე, მ.21.
85 იქვე, მ.21.
86 საქართველოს მთავრობის დადგენილება №668, მ.3.

### 5.4.1. მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგების ჩართვის მოთხოვნა/საჭიროება და არსებული რესურსი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს საგამოძიებო და სასამართლო განხილვის სტადიაზე მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვისა და დაკითხვის სპეციალურ წესს. როგორც უკვე აღინიშნა, კოდექსი ასევე არეგულირებს აღნიშნული დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის წესსა და წინაპირობებს, კერძოდ, არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი კონკრეტულად არ ადგენს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართვის საფუძველს და, შესაბამისად, აღნიშნულს პროცესის მწარმოებელი ორგანოს აბსოლუტურ დისკრეციად განსაზღვრავს. იმისათვის, რომ ფსიქოლოგის პროცესში ჩართულობა იყოს ეფექტიანი და საჭიროებებზე ორიენტირებული, მნიშვნელოვანია შესაბამისი პროცესის მწარმოებელ ორგანოებს გაწერილი ჰქონდეთ სახელმძღვანელო პრინციპები/გაიდლაინები, თუ რა შემთხვევაში უნდა მოახდინონ ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაწყვეტილების მიღების დროს არსებითი ხასიათის შეცდომების დაშვება, დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რესურსების არარსებობის ან მათი დაზოგვის გამო ფსიქოლოგთა პროცესში ჩართვისაგან თავის შეკავება და სხვა რისკ გარემოებები.



გარდა აღნიშნულისა, იმისთვის რომ არასრულწლოვანი მოწმეების/დაზარალებულების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგთა ჩართულობა არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და პასუხობდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი გარემოებაა, რომ პროცესის მწარმოებელ ორგანოებს ხელი მიუწვდებოდეთ საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს იმ სტატისტიკური და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ისეთი საკითხების განსაზღვრა, როგორიცაა: ვინ და რა შემთხვევაში განსაზღვრავს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხს; სტატისტიკური ინფორმაცია, ვისი ინიციატივითა და გადაწყვეტილებით ხდებოდა ფსიქოლოგის მოწვევა/ჩართვა მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში; არსებობს თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგთა მონაცემთა ბაზა რეგიონების მიხედვით; როგორია ფსიქოლოგის მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით, მათ შორის წილობრივი სტატისტიკა, სულ რამდენი დაკითხვა/გამოკითხვა განხორციელდა და მათ შორის რამდენში მონაწილეობდა ფსიქოლოგი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[87], არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხი განისაზღვრება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე. საქმეში ფსიქოლოგის ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას საქმის მწარმოებელი პირი ითვალისწინებს შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და დანაშაულის ბუნებას. რაც შეეხება სხვა მოთხოვნილ ინფორმაციას, სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული მონაცემების აღრიცხვა და წარმოება არ მიმდინარეობს.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[88] აკადემიის ფსიქოლოგთა განყოფილებაში დასაქმებულია 7 თანამშრომელი, რომელთაგან არასრულწლოვანთა მართლსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებულია 3. აკადემიის ფსიქოლოგთა განყოფილებაში, არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის <u>გამოკითხვის</u> პროცესში მონაწილეობის შესახებ სტატისტიკა იწარმოება 2018 წლის ივლისიდან. 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე

87 2019 წლის 19 აგვისტოს MIA 7 19 02198499 წერილი.

88 2019 წლის 9 სექტემბრის MIA 7 19 02387002 წერილი.

პერიოდში, მათ მონაწილეობა მიიღეს 75 არასრულწლოვანის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, რომლებიც წარიმართა თბილისში. გარდა ამისა, 2016, 2017, 2018 და 2019 წლებში აკადემიის ფსიქოლოგებმა მონაწილეობა მიიღეს 11 სასამართლო განხილვის ეტაპზე, მათ შორის, 2016 წელს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის ერთ პროცესში, 2017 წელს - თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე 6 პროცესში, 2018 და 2019 წლებში - თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე 2-2 პროცესში.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[89], არასრულწლოვნის გამოკითხვისას (დაკითხვისას) ფსიქოლოგის მონაწილეობის საჭიროებას აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკითხვის (დაკითხვის) პროცესში ფსიქოლოგის ჩართულობა შედის თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესებში, აღნიშნულის შეფასება ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში არასრულწლოვნის გამოკითხვის (დაკითხვის) პროცესში ჩართვის მიზნებისთვის, პროკურორებს და პროკურატურის გამომძიებლებს გააჩნიათ იმ ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემები, რომლებიც ბენეფიციარებს უწევენ ფსიქოლოგიურ დახმარებას. ხშირ შემთხვევაში, როდესაც საქმეს აწარმოებს საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე სხვა უწყების გამომძიებელი, შესაბამისი ორგანიზაციის მოძიება და ფსიქოლოგის მოწვევა ხდება გამომძიებლის მიერ. რაც შეეხება ფსიქოლოგის მოწმე/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობის სტატისტიკას, საქართველოს პროკურატურა წერილში განმარტავს, რომ აღნიშნულს არ აწარმოებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული იქნა სტატისტიკური ინფორმაცია[90] საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებზე დაკითხული/გამოკითხული არასრულწლოვანი მოწმეებისა და დაზარალებულების რაოდენობის შესახებ 2018 წელსა და 2019 წლის 6 თვეში. სხვა საკითხებთან დაკავშირებით კი უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სხვა მოთხოვნებზე შემდეგი საფუძვლით: სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის ისეთი ქმედებები, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელებაზე საპროცესო ფორმით ზედამხედველობასთან არ არის დაკავშირებული, უზენაეს სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, განუმარტოს ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს იურიდიული საკითხები ან გააკეთოს სამართლებრივი შეფასება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის შესაბამისად, არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართულობა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში საკმაოდ დაბალია, კერძოდ, საქართველოს მასშტაბით 2018 წელს დაკითხული 55 არასრულწლოვანი მოწმიდან მხოლოდ 17 შემთხვევაში ჩაერთო ფსიქოლოგი, ხოლო 124 არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვიდან მხოლოდ 11 მათგანს დაესწრო ფსიქოლოგი. ამასთან, 2018 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ მომხდარა ფსიქოლოგის ჩართვა სამტრედიის, საჩხერის, გურჯაანის, სიღნაღის, ფოთის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ხაშურის, ბოლნისისა და ბათუმის სასამართლოებში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სამტრედიის (21 შემთხვევა), ბათუმის (21 შემთხვევა) და გურჯაანის (16 შემთხვევა) რაიონულ სასამართლოებში მოწმეების/დაზარალებულების ფსიქოლოგის მონაწილეობის გარეშე დაკითხვის ფაქტები (ნულოვანი სტატისტიკა). 2018 წლის განმავლობაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა თელავის რაიონული სასამართლო, რომელმაც არასრულწლოვანი მოწმის 10-ვე დაკითხვა განახორციელა ფსიქოლოგის ჩართულობით, ხოლო 12 არასრულწლოვანი დაზარალებულიდან 4 მათგანი ფსიქოლოგის მონაწილეობით დაკითხა. რაც შეეხება 2019 წლის 6 თვის სტატისტიკას, მნიშვნელოვანი სტატისტიკური ზრდის ტენდენციები არ გამოკვეთილა, კერძოდ: 20 არასრულწლვანი მოწმიდან მხოლოდ 5-ის დაკითხვის პროცესში მონაწილეობდა ფსიქოლოგი, ხოლო 62 არასრულწლოვანი დაზარალებულიდან მხოლოდ 11 დაიკითხა ფსიქოლოგის ჩართულობით. 2019 წელს კვლავ აქტიურობით გამოირჩევა თელავის რაიონული სასამართლო (5-ვე შემთხვევაში მოწვეული იქნა ფსიქოლოგი). შედარებით უფრო გაიზარდა ფსიქოლოგის მონაწილეობა გორის რაიონულ სასამართლოშიც (2018 წელს 9 არასრულწლოვანი მოწმიდან 1-ის, ხოლო 7 დაზარალებულის დაკითხვიდან 2-ის შემთხვევაში პროცესში მონაწილეობდა ფსიქოლოგი, მაშინ როდესაც 2019 წლის მონაცემებით 6 მოწმიდან 3-ის და 10 დაზარალებულიდან 4-ის დაკითხვა წარიმართა ფსიქოლოგის ჩართულობით). კვლავ დაბალი

89 2019 წლის 27 აგვისტოს №13/61685 წერილი.

90 2019 წლის 9 აგვისტოს ნს/93-19 წერილი;

სტატისტიკური მაჩვენებელია სამტრედიის, ბათუმის და ასევე ზესტაფონის რაიონულ სასამართლოებში. აქვე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გადმოგზავნილია 20 რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემები, მაშინ როდესაც მათი საერთო რაოდენობა 34-ით განისაზღვრება. მოწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკურ მონაცემებს. თუმცა ნიშანდობლივია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო წერილში მიუთითებს იმ გარემოებას, რომ სტატისტიკური მონაცემების წარმოება მიმდინარეობს სატესტო რეჟიმში.

გარდა ზემოაღნიშნული სტრუქტურებისა, კვლევის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შემდეგი საჯარო და სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით: ვინ/რომელი უწყება და რა შემთხვევაში მოგმართავთ არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში უწყების ფსიქოლოგის მონაწილეობის თხოვნის თაობაზე; არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი (ფორმალური ან პრაქტიკული) ასეთი მომართვის აცილების შესახებ; რამდენი არასრულწლოვანის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილეობდა უწყებაში დასაქმებული ფსიქოლოგი (რაიონების და რეგიონების მიხედვით, რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიხედვით), ვისი ინიციატივითა და გადაწყვეტილებით; არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში უწყებაში შემავალ ფსიქოლოგთა რაოდენობრივი მაჩვენებელი რეგიონებისა და შესაბამისი კვალიფიკაცის მითითებით (მაგ. გავლილი აქვს გადამზადების კურსი ან სხვა).

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[91] სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველო) ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. რაც შეეხება არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობას, აღნიშნული არ წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველო) კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას. შესაბამისად, ცენტრი (სამმართველო) სხვა უწყების დახმარების მიზნით, არსებული ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, იღებს მონაწილეობას არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის პროცესში. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის მიზნით, მომართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო სამსახური დახმარებას უწევს არსებული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. მიმდინარე წელს ფსიქო-სოციალური ცენტრის (სამმართველო) ფსიქოლოგებმა 44 პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ხოლო ფსიქო-სოციალურ ცენტრში (სამმართველო) საქართველოს მასშტაბით, ამ ეტაპზე დასაქმებულია 39 ფსიქოლოგი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოწოდებული ინფორმაციის[92] თანახმად კი, სააგენტოში დასაქმებულია 13 ფსიქოლოგი, საიდანაც თბილისსა და ქუთაისში განაწილებულია 2-2, ხოლო დანარჩენ 9 რეგიონში თითო-თითო ფსიქოლოგი. გარდა ამისა, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დღესდღეობით სააგენტოში დასაქმებული ფსიქოლოგების სამუშაო აღწერილობა არ არის ოფიციალურად დამტკიცებული, მაგრამ წარმოადგენს მათთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ითვალისწინებს „სამართალთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის/ მოწმის დაკითხვაზე დასწრებას საჭიროებისამებრ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არც ერთი საგამოძიებო და სასამართლო პროცესის წარმმართველ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში, კერძოდ, არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, არც საქართველოს პროკურატურისა და არც საერთო სასამართლოების სისტემაში არ არსებობს გარკვეული რეგულაცია/სახელმძღვანელო პრინციპი/გაიდლაინი, რომლის საფუძველზე ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში განისაზღვრება და შეფასდება არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება. აღნიშნული კი ვერ შეამცირებს/გამორიცხავს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას

91 2019 წლის 14 აგვისტოს MES 2 19 01043140 წერილი;

92 2019 წლის 13 აგვისტოს 04/42939 წერილი.

შეცდომის დაშვების, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან რესურსის სიმცირის ან არარსებობის გათვალისწინებით შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა კვალიფიკაციასთან ერთად მნიშვნელოვანია თითოეულ ფსიქოლოგს უწევდეს საქმიანობა ისეთი სამუშაო დატვირთვის ფარგლებში, რომლის დროსაც მას ეყოფა სამუშაო რესურსი და მიეცემა საკმარისი შესაძლებლობა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეასრულოს თავისი საქმიანობა და არა ფორმალურად მხოლოდ მოვალეობის შესრულების მიზნით დაესწროს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესს. მოთხოვნილი ინფორმაცია კვლევის განმახორციელებელ ორგანიზაციას მისცემდა შესაძლებლობას შეეფასებინა რამდენად საკმარისია ქვეყანაში (რეგიონების მიხედვით) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგთა რაოდენობა და რამდენად პასუხობს ის ქვეყნის მასშტაბით არსებულ მოთხოვნებს/საჭიროებებს. თუმცა არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და არც საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართულობის აღრიცხვის მიზნით. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია კი წარმოადგენს მხოლოდ მომსახურების მიწოდების მაჩვენებელს და მის საფუძველზე შეუძლებელია იმის დადგენა/განსაზღვრა თუ როგორია საგამოძიებო ეტაპზე არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართულობის მოთხოვნა/საჭიროება. ამის დასტურია ის გარემოებაც, რომ საქართველოს პროკურატურა, მათ მიერვე მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იყენებს არასახელმწიფო, კერძო რესურს. შესაბამისად, სრულიად დაუდგენელია, როგორია გამოძიების ეტაპზე ფსიქოლოგის ჩართულობის საჭიროების ინტენსივობა და სხვა თანმდევი შესაფასებელი გარემოებები. რაც შეეხება სასამართლო განხილვის ეტაპზე არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართულობის სტატისტიკას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მონაცემები მუშავდება სატესტო რეჟიმში და არასრულია. შესაბამისად, ვერც ეს უკანასკნელი იძლევა ერთიანი მდგომარეობის, სურათის აღქმისა და შეფასების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ არც ერთ უწყებაში არ არსებობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგების მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა განსაზღვრულიყო სახელმწიფოს მასშტაბით და რეგიონების მიხედვით არსებული კვალიფიციური ფსიქოლოგების რესურსი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების განზოგადების მიზნით, რეკომენდებულია სულ მცირე სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

### 5.4.2 ფსიქოლოგთა კვალიფიკაცია და სტანდარტი

სამართალდამცავ სისტემაში მოწმე და დაზარალებული ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან. სამართალწარმოების პროცესმა, დაწყებული გამოძიებით და დასრულებული სასამართლოში ჩვენების მიცემით, შესაძლოა, უკვე არსებული ტრავმული გამოცდილება კიდევ უფრო გაამწვავოს და გააღრმავოს. აუცილებელია სიფრთხილე, რათა გამოძიების ან ბავშვებისგან ინფორმაციის მიღების პროცესში მათ მიერ განცდილი სტრესი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.[93]

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადად წარმოჩნდება, თუ რა არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროფესიონალების, მათ შორის ფსიქოლოგების კვალიფიკაციას, რომელთაც საქმიანობა უწევთ მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ არასრულწლოვნებთან. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პერსონალის გადამზადების ზემოთ ხსენებული საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ვალდებულებებიც სწორედ რომ ამ ფაქტორების და გარემოებების გამოძახილია.

არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ კითხვებით მიმართა სახელმწიფო უწყებებს (საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს) არსებობს თუ არა საკვალიფიკაციო მოთხოვნები/კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგი ან არსებობს თუ არა ამ ფსიქოლოგთა

93 საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი; მომიყევი რა მოხდა, დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის, 2014.

გადამზადების ტრენინგ-მოდული (ასეთის არსებობის შემთხვევაში ვის მიერ ხორციელდება ფსიქოლოგთა გადამზადება).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული[94] ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მონაცემების აღრიცხვა და წარმოება არ მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის წერილის[95] შესაბამისად, მითითებული საკითხები სცილდება საქართველოს პროკურატურის კომპეტენციის ფარგლებს, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილში[96] მითითებული განმარტებით, უწყება მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაციის ამ მოთხოვნებზე.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ მოწოდებული[97] ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას არ წარმოადგენს, აღნიშული მიზნით ფსიქოლოგთათვის რაიმე სახის გაწერილი პროცედურა, ტრენინგ-მოდული ან სხვა ინსტრუქცია შემუშავებული არ არის. ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო წერილში[98] პირდაპირ მიუთითებს, რომ მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნა/კრიტერიუმები არ არსებობს და ასეთი რამ უწყებას ჯერჯერობით არ აქვს, ისევე, როგორც ფსიქოლოგთა გადამზადების ტრენინგ მოდული.

მხოლოდ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს აკადემიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აკადემიაში მომუშავე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა ფსიქოლოგებმა გადამზადება გაიარეს შემდეგი ტრენინგ მოდულების საფუძველზე: საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და UNICEF საქართველოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ტრენერთა გადამზადების კურსი“ (2015 წელი); ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ ორგანიზებული ტრენინგი -„არასრულწლოვანი მოწმის/ეჭვმიტანილის დაკითხვა/გამოკითხვა გამომკითხველებისა და ტრენერებისთვის“ (2018 წელი); ლიმერიკის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის საკითხები“ (2018 წელი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩასართავად შესაბამის სახელმწიფო უწყებებს არ აქვთ რაიმე საკვალიფიკაციო მოთხოვნა. ამასთან, სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული ფსიქოლოგების მიმართ არ არსებობს არავითარი კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა ან შესაბამისი ტრენინგ-მოდული, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ფსიქოლოგებისთვის შესაბამისი საბაზისო ცოდნის მიწოდებას მაინც. მხოლოდ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში დასაქმებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებულ ფსიქოლოგებს მიეცათ შესაძლებლობა გაევლოთ დამატებითი გადამზადება, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაუდგენელია, რამდენად ატარებს თითოეული ეს კურსი მრავალჯერად ხასიათს და ჩაუტარდებათ თუ არა ის ახლად დანიშნულ თანამშრომლებს. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვის ნიშნები არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და ეჭვის ქვეშ დგება არასრულწლოვანთა იმ საუკეთესო ინტერესების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც ზემოთ ვრცლად იყო განხილული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელი ხდება, რომ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულ ფსიქოლოგებს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა უმეტესად უწევთ არა შესაბამისი დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდგომ, არამედ ზოგადად, უმაღლესი განათლების ბაზაზე მიღებული ცოდნის საფუძველზე. ასეთ ვითარებაში, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მუშაობის სპეციალიზაციის კუთხით არსებული ცოდნის სტანდარტის შესწავლა.

94 2019 წლის 19 აგვისტოს MIA 7 19 02198499 წერილი.

95 2019 წლის 27 აგვისტოს №13/61685 წერილი.

96 2019 წლის 9 აგვისტოს ნს/93-19 წერილი.

97 2019 წლის 14 აგვისტოს MES 2 19 01043140 წერილი.

98 2019 წლის 13 აგვისტოს 04/42939 წერილი.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს, საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი: საქართველოში ავტორიზებული 30 უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან, უნივერსიტეტიდან[99] მხოლოდ 15-ში[100] ხორციელდება ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ხოლო 9[101] მათგანში - სამაგისტრო პროგრამა ფსიქოლოგიაში. ამასთან, საბაკალავრო ფსიქოლოგიის პროგრამები სტუდენტებს არ სთავაზობენ ამ კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი სპეციალური კვალიფიკაციის მოდულებს და მათი მიზანი ზოგადია: გააცნოს სტუდენტს ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებები, თეორიები და მეთოდები; განუვითაროს მას კრიტიკული აზროვნების, ფსიქოლოგიური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის, შესწავლის, ახსნისა და შეფასების უნარი. შესაბამისად, საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ბაკალავრიატის დონეზე ვერ უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის იმ კვალიფიკაციის მინიჭებას, რომელიც აუცილებელია არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ რეგიონულ დონეზე არსებული უნივერსიტეტები[102] დაინტერესებულ პირებს საბაკალავრო დონეზეც კი არ სთავაზობენ ფსიქოლოგიის პროგრამებს. იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არასრულწლოვანი მოწმეების/დაზარალებულების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის ყველაზე მეტი საჭიროება/მოთხოვნა რეგიონებშია (თელავი), მნიშვნელოვანია, თუნდაც პირველი საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და განხორციელება.

რაც შეეხება ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამებს, 9 უმაღლეს სასწავლებელში სწავლება ხორციელდება ძირითადად კლინიკური ფსიქოლოგიის, გამოყენებითი და სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალიზაციის მიმართულებით. აღნიშნული 9 უნივერსიტეტიდან, მხოლოდ 4 უმაღლესი სასწავლებლის კურსებში ვხვდებით საგნებს, რომლებიც უკავშირდებიან საგამოძიებო პროცესს და სასამართლო ფსიქოლოგიას. კერძოდ: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი[103] იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობს სავალდებულო არჩევით საგანს - ***კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია და საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები;*** 2. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ[104] სოციალურ მეცნიერებათა სკოლა ახორციელებს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, რომლის შემადგენლობაშიც შედის კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო კურსები: ***არასრულწლოვანთა დანაშაული და საგამოძიებო ინტერვიუირება, კრიმინალური ქცევა, დანაშაულის სამართლებრივი დეფინიცია და ზოგადი კრიმინოლოგიის საკითხები;*** 3. კავკასიის უნივერსიტეტის[105] კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (20 ადგილი[106]), რომლის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კლინიკური ფსიქოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის და სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის განხრით, მოიცავს ისეთ სავალდებულო საგნებს როგორიცაა: ***კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია, სასამართლო ფსიქოლოგია, ადიქტოლოგია.;*** 4. საქართველოს უნივერსიტეტი[107] დაინტერესებულ პირებს სთავაზობს გამოყენებითი

99 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

100 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ; კავკასიის უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი; სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

101 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ; კავკასიის უნივერსიტეტი; საქართველოს უნივერსიტეტი; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

102 იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს ქუთაისის უნივერსიტეტი; შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

103 tsu.psychology@tsu.ge

104 seu.edu.ge

105 cu.edu.ge

106 ადგილების რაოდენობა იცვლება ყოველ მიღებაზე და დამოკიდებულია კვოტაზე;

107 ug.edu.ge

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, (25 ადგილი) რომლის სარჩევშიც იხილავთ კურსს:- ***სასამართლო ფსიქოლოგია ბავშვებთან და მოზარდებთან.*** აღნიშნული კურსი მოიცავს სასამართლო ფსიქოლოგიურ შეფასებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტური ცნებებისა და პრინციპების განხილვას; მის ძირითად ნაწილში დეტალურადაა წარმოდგენილი სასამართლო ფსიქოლოგიური შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემთა ინტეგრირების საკითხები ბავშვთან და მოზარდთან დაკავშირებული საოჯახო დავების, სისხლის სამართლისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისთვის".

ამ შემთხვევაშიც დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სამაგისტრო პროგრამებზე, მართალია, ისწავლება ცალკეული დისციპლინები, რომლებიც გარკვეულ შემხებლობაში შეიძლება იყვნენ არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის სპეციფიკასთან, მაგრამ ზედაპირული ანალიზით ვერც ისინი შეფასდებიან საკმარისად.

**5.4.3 სუპერვიზიის სისტემა**

კვლევის ფარგლებში კვლევითი გუნდის მიერ ასევე მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგთა სუპერვიზიის შესაძლებლობის შესახებ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებულ წერილში ამ საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ, რომ სუპერვიზიის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სუპერვიზიის მექანიზმის შემუშავების შემდეგ, თუმცა წერილიდან არ ირკვევა იგეგმება თუ არა მისი შემუშავება. რაც შეეხება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, მათ მიერ გამოგზავნილ წერილში არაფერია ნათქვამი სუპერვიზიის განხორციელების შესაძლებლობაზე, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მასზე ვრცელდება იგივე პასუხი, რაც პროცედურებთან და ინსტრუქციებთან დაკავშირებით იქნა გაცემული: კერძოდ კი, სუპერვიზია უწყებაში იმ მიზეზით არ ხორციელდება, რომ აღნიშნული ფუნქცია კანონმდებლობით მანდატურის სამსახურის ვალდებულებას არ წარმოადგენს. მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგთა სუპერვიზიაზე ასევე არაფერია ნათქვამი სსიპ საქართველოს შინაგანა საქმეთა აკადემიის მიერ გამოგზავნილ წერილში. ივარაუდება, რომ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული შესაბამის პუნქტში მითითებული იქნებოდა.

შესაბამისად, არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ფსიქოლოგები მოწმე და დაზარალებული ბავშვების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, განსაკუთრებით რთულ, სექსუალური ძალადობის საქმეებშიც კი მარტო უმკლავდებიან სხვადასხვა პროფესიულ გამოწვევებს. ამ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ფსიქოლოგების შესაბამისი სპეციალიზაციის სტანდარტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული სუპერვიზიის/ზედამხედველობის განხორციელება.

**5.4.4 მოტივაცია**

შრომით კმაყოფილებას, ბევრ სხვა ფაქტორთან (სამუშაო გარემო, ხელმძღვანელობა/მართვის სტილი, კოლეგები/სოციალური კავშირები, დაწინაურება, სამუშაო დატვირთვა და სხვა) ერთად, ხელფასი/სამუშაო ანაზღაურება განსაზღვრავს, სამუშაოთი უკმაყოფილება კი განაპირობებს კადრების დენადობას, ძალისხმევის შემცირებას, რაც ზრდის შეცდომების დაშვების ალბათობას. ამდენად, ისეთ მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის დროს, როგორებიც არიან მოწმე და დაზარალებული ბავშვები, განსაკუთრებით რთული, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, ძალიან მნიშნელოვანია, რომ პროფესიონალის/ფსიქოლოგის ჩართულობა ატარებდეს არა ფორმალურ ხასიათს, არამედ მათ გააჩნდეთ სამუშაოს შესრულების შესაბამისი მოტივაცია.

კვლევის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ ასევე მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების მოტივაციის შესახებ, კერძოდ: როგორ და რის მიხედვით განისაზღვრება პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების ანაზღაურება ან არსებობს თუ არა სხვა რაიმე წამახალისებელი საშუალება დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მათი ჩართვის მიზნით. ვინაიდან სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ დასაქმებული ფსიქოლოგების უშაულო ფუნქციას დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა არ წარმოადგენს და ისინი მხოლოდ არსებული რესურსით სხვა უწყების დახმარებას ახდენენ, მათთვის ამისთვის დამატებითი გასამრჯელო არ გაიცემა და ისინი დამატებით ფუნქციას არსებული ანაზღაურების ფარგლებში ასრულებენ.

რაც შეეხება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მათ მიერ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ სააგენტოში დასაქმებული ფსიქოლოგების ანაზღაურება განისაზღვრება ხელშეკრულებით და სხვა სახის წამახალისებელი საშუალება გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ჩართვის მიზნით არ არსებობს.

მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგთა მოტივაციაზე ასევე არაფერია ნათქვამი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ გამოგზავნილ წერილში. ივარაუდება, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში აუცილებლად იქნებოდა წერილში აღნიშნული.

## 5.5 სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

კვლევის მიზნებისთვის განხორციელდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი, სადაც ასახულია სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში და პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ფსიქოლოგის ინსტიტუტის განვითარებას ამ სფეროში. განხორციელდა ორი სახის პოლიტიკის დოკუმენტის ანალიზი:

- ადამიანის უფლებათა დაცვის 2019-2020 წლების სამთავრობო გეგმა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა (სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის ნაწილი).

აღნიშნული გეგმების ანალიზისას წარმოდგენილია ის კომპონენტები, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს და რომლებსაც პირდაპირი ან ირიბი შეხება შეიძლება ჰქონდეს საკვლევ საკითხთან.

გეგმების კომპონენტები შეფასდა რელევანტურობის კუთხით, კერძოდ, რამდენად პასუხობს ეს პოლიტიკის დოკუმენტები იმ გამომწვევებს, რაც არსებობს ფსიქოლოგის როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. რელევანტურობა შეფასდა აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილი საკითხებზე დაყრდნობით.

- **ადამიანის უფლებათა დაცვის 2019-2020 წლების სამთავრობო გეგმა**

**გეგმის შესაბამისი კომპონენტის მიზანი -** 16.3. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**I ამოცანა - 16.3.1. ბავშვებთან დაკავშირებული სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გაუმჯობესება ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად**

**ამოცანის ინდიკატორი**

- სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პროცესში დანერგილია ბავშვის უფლებათა დაცვის სამართლებრივი გარანტიები;

- მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

**საქმიანობა** - 16.3.1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ცვლილებების პროექტის მომზადება და ინიცირება.

**პასუხისმგებელი უწყება** - იუსტიციის სამინისტრო; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

**პარტნიორი უწყება** - განათლების და მეცნიერების სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**II ამოცანა -16.3.2. ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა**

**ამოცანის ინდიკატორი**

- 2 ქალაქში, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული დახმარების შენობებში შექმნილია ბავშვზე მორგებული გარემო;

- შემუშავებულია გეგმა ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**საქმიანობა -** 16.3.2.1. საქართველოს 2 ქალაქში პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული დახმარების შენობებში ბავშვზე მორგებული სივრცის მოწყობა.

**პასუხისმგებელი უწყება -** შსს; პროკურატურა.

**პარტნიორი უწყება -** უზენაესი სასამართლო; იურიდიული დახმარების სამსახური.

**საქმიანობა -** 16.3.2.2. ბავშვზე მორგებული გამოკითხვის/დაკითხვის პროცედურების დანერგვა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული ინტერვიუერები.

**პასუხისმგებელი უწყება** - შსს; პროკურატურა.

**პარტნიორი უწყება -** არ არის განსაზღვრული.

**საქმიანობა -** 16.3.2.3. ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოების გეგმის შემუშავება.

**პასუხისმგებელი უწყება -** შსს; პროკურატურა.

**პარტნიორი უწყება -** უზენაესი სასამართლო; იურიდიული დახმარების სამსახური.

**III ამოცანა -16.3.3. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური სპეციალიზაცია**

**ამოცანის ინდიკატორი:**

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე უწყებებში დანერგილია პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციური მექანიზმი.

**საქმიანობა** - 16.3.3.2. თითოეულ უწყებაში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო) სპეციალიზაციის პროცესის მარეგულირებელი შიდა ნორმატიული აქტის შემუშავება, რომელიც არეგულირებს პროფესიონალთა შერჩევის კრიტერიუმებს, სამუშაო აღწერილობებს, მეთოდოლოგიას და ინსტრუქციებს, საწყისი და უწყვეტი გადამზადების პროგრამებს, საქმეთა გადანაწილების სისტემას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

**პასუხისმგებელი უწყება** - შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო; სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

**პარტნიორი უწყება** - სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

**საქმიანობა** - 16.3.3.3. საქმეთა სპეციფიკის, სირთულისა და რაოდენობის გათვალისწინებით საქმეთა ზღვრული რაოდენობის დადგენა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობის ზრდა პრობაციის ეროვნულ და სოციალური მომსახურების სააგენტოებში.

**პასუხისმგებელი უწყება** - შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო.

**პარტნიორი უწყება -** არ არის გასაზღვრული.

- **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმა**

**მიზანი - 1.** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისა და აღსრულების დახვეწა.

**ამოცანა - 1.1.** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა და ხარვეზების აღმოფხვრა.

**ინდიკატორი:** არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსის კომენტარები; პასუხისმგებელ უწყებებში შექმნილი ბავშვზე მორგებული გარემო/კონცეფცია; განხორციელებული პროფესიონალთა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის/გადამზადების ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განზოგადებული სასამართლო პრაქტიკისა და შესაბამისი რეკომენდაციების დოკუმენტი; პირობით ვადამდე გათავისუფლების შეფასების ახალი სისტემის კონცეფციის დოკუმენტი.

**ღონისძიება** - 1.1.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

**2019 წელი** - ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის შესახებ კონცეფციის დამტკიცება; კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვისათვის წინასწარი ღონისძიებების გატარება; იმერეთის –ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა.

**2020 წელი** - ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის შესახებ კონცეფციის დანერგვა; ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროში ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა.

**პასუხისმგებელი უწყება** - საქართველოს გენერალური პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო; იურიდიული დახმარების სამსახური.

**პარტნიორი უწყება -** UNICEF.

**ღონისძიება** - 1.1.3. პასუხისმგებელ უწყებებში დასაქმებულ პროფესიონალთა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განგრძობადი სპეციალიზაციის/გადამზადების უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

**2019 წელი** - პროფესიონალთა სპეზიალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში/გადამზადება საჭიროებისამებრ; მთავრობის დადგენილებაში სპეციალიზაციის შესახებ ცვლილებების დამტკიცება.

**2020 წელი** - პროფესიონალთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში/გადამზადება საჭიროებისამებრ.

**პასუხისმგებელი უწყება** - საქართველოს გენერალური პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასამართლო; იუსტიციის უმაღლესი საბჭო; იურიდიული დახმარების სამსახური; სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი; იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სპეციალური პენიტენციური სამსახური; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სოციალური მომსახურების სააგენტო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პარტნიორი უწყება -** EU.

**მიზანი- 4.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ეფექტიანობის გაზრდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.

**ამოცანა - 4.1.** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაძლიერება კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით.

**ინდიკატორი:** სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფი; დოკუმენტი/ბრძანება დიდ ქალაქებში მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე გამომძიებელთა გამოყოფის შესახებ.

**ღონისძიება** - 4.1.1. ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში არასრულწლოვანთა სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფის შექმნა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

**2019 წელი** - დანაყოფის დაკომპლექტება, მუშაობის ხარისხის მონიტორინგი, მათი დატვირთვის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელთა რაოდენობის ოპტიმიზაცია.

**2020 წელი** - დანაყოფის მუშაობის ხარისხის მონიტორინგი, მათი დატვირთვის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელთა რაოდენობის ოპტიმიზაცია.

**პასუხისმგებელი უწყება** - შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**პარტნიორი უწყება** - სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

**ღონისძიება** - 4.1.2. საქართველოს დიდ ქალაქებში სპეციალიზებული გამომძიებლების გამოყოფა, რომლებიც მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებენ.

**მოსალოდნელი შედეგი:**

**2019 წელი** - მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე გამომძიებელთა გამოყოფა, მათი მუშაობის ხარისხის მონიტორინგი, დატვირთულობის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში რაოდენობის გაზრდა.

**2020 წელი** - მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე გამომძიებელთა მუშაობის ხარისხის მონიტორინგი, დატვირთულობის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში რაოდენობის გაზრდა.

**პასუხისმგებელი უწყება** - შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**პარტნიორი უწყება** - საერთაშორისო ორგანიზაციები.

**ამოცანა - 4.2.** გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება, პროცესის მონაწილეთათვის გამოძიების პროცესში მონაწილეობის გამარტივება.

**ინდიკატორი:** მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ინსტიტუტის დანერგვის მაჩვენებელი; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის მაჩვენებელი სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში.

**ღონისძიება** - 4.2.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემებში მოქმედი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის ჩართულობა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში.

**მოსალოდნელი შედეგი:**

**2019 წელი:** მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დანერგვა მინიმუმ შსს-ს 5 სტრუქტურულ ერთეულში.

**2020 წელი:** მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დანერგვა მინიმუმ შსს-ს 5 სტრუქტურულ ერთეულში.

**პასუხისმგებელი უწყება** - შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**პარტნიორი უწყება** - სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ამერიკის საელჩო.



## 6. თვისებრივი კვლევა

### 6.1. შესავალი

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, მრავალი მითი და სტერეოტიპი არსებობდა ბავშვების მხრიდან მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის გაუმჟღავნებლობის შესახებ. სპეციალისტებსაც კი სჯეროდათ, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები დანაშაულის გამჟღავნების დროს განსაკუთრებულად/განსხვავებულად უნდა მოქცეულიყვნენ, სხვა შემთხვევაში ისინი არ ჩაითვლებოდნენ სანდოებად. კერძოდ, ითვლებოდა, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს უნდა გამოეხატათ ინტენსიური ნეგატიური ემოციები, როგორიცაა შიში, ბრაზი, სევდა და სხვა. მიუხედავად ამისა, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების უმეტესობა სიმშვიდეს იჩენს მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების გამჟღავნების დროს. [108]

108 "Forensic Interviews with Children Victims of sexual Abuse: The Role of the Counselling Psychologist", Olga Themeli, Maria Panagiotaki. Page 2.

ბავშვთა სპეციალიზირებული ფსიქიატრები აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნის მიერ გადატანილი/განცდილი ტრავმის ხარისხზე გავლენას ახდენს არა იმდენად თავად გადამხდარი ფაქტი, არამედ ის, თუ როგორ მოეპყრობა მას ოჯახი და მართლმსაჯულების სისტემა ამ ინციდენტის გამჟღავნების შემდეგ.

კვლევებზე დაყრდნობით, გამოკითხვა განიხილება მდიდარი და სანდო ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად; ბავშვების განცხადებით, მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის გამჟღავნებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტერვიუერთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარების გამოცდილებას, მისგან მიღებულ მხარდაჭერასა და იმის განცდას, რომ მას დაუჯერებენ [109].

ექსპერტები მიუთითებენ, რომ თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში ინტერვიუს ტექნიკის სწორი არჩევანი და გამოყენება თამაშობს გადამწყვეტ როლს ბავშვის მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის/დანაშაულის გამჟღავნებასა და სიმართლის დადგენაში. ის, თუ როგორ არის ბავშვი გამოკითხული, მალავს თუ არა თავის ვიქტიმიზაციას, რატომ ცვლის ხოლმე თავდაპირველ ჩვენებას, დამოკიდებულია ინტერვიუერის ცოდნასა და უნარებზე.

საინტერესოა რა უნარები სჭირდება ინტერვიუერს? და რა ფაქტორები განსაზღვრავენ ბავშვის მიერ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის/ძალადობის გაუმჟღავნებლობას?

ამ ფაქტორებს შორის გამოყოფენ: ასაკს, სქესს, კულტურულ ფონს, მსხვერპლის ეროვნებას, სტრესს, რომელიც უკავშირდება მშობლების მხრიდან შესაძლო ნეგატიურ რეაქციებს, ინტერვიუერის სქესსა (Lamb & Garretson, 2003) და ინტერვიუს ჩატარების მეთოდებს[110].

ჩატარებული სამაგიდე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სხვადასხვა მიმართულებები და ტენდენციები, რომელიც ამ მხრივ დამტებით კვლევას საჭიროებდა, რის მიხედვითაც დაიგეგმა თვისებრივი კვლევაც. ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ კი თავის მხრივ გამოკვეთა არაერთი პრობლემატური საკითხი, რომელიც უკავშირდება როგორც რესურსისა და სპეციალიზაციის დეფიციტს, ასევე ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, როგორიცაა არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვაზე გადაწყვეტილების მიღება, მისი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, მოსამზადებელი სამუშაო, პროტოკოლის მიხედვით გამოკითხვა და სხვა გარემოებები.

## 6.2 თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია

### 6.2.1 სამიზნე ჯგუფები

სამაგიდე კვლევაზე დაყრდნობით, გამოიყო ძირითადი საკვლევი საკითხები და შედგა კვლევის გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტმა/სოციალოგმა შეადგინა ფოკუს ჯგუფის/ექსპერტული გამოკითხვის სახელმძღვანელო პრინციპები თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის: ძირითადი სტეიკჰოლდერები (სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები); მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლები; მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნები და მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგები (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო). ინტერვიუ ჩატარდა 31 რესპოდენტთან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები (4), სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს აკადემიის ფსიქოლოგები (2), საქართველოს პროკურატურის პროკურორები (4), სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები (6), სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგები (5), სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები (6), არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი (2) და მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვანი (2) და მოიცვა 4 რეგიონი: თბილისი, ქვემო ქართლი, კახეთი და იმერეთი.

109 "Forensic Interviews with Children Victims of sexual Abuse: The Role of the Counselling Psychologist", Olga Themeli, Maria Panagiotaki. Page 3."

110 "Forensic Interviews with Children Victims of sexual Abuse: The Role of the Counselling Psychologist", Olga Themeli, Maria Panagiotaki. Page 5.

### 6.2.2 საკვლევი საკითხების გამოყოფა

ფოკუს ჯგუფის/ექსპერტული გამოკითხვის სახელმძღვანელო პრინციპები მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვისას ფსიქოლოგის მონაწილეობის თაობაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად რესპოდენტებს საკითხების რამდენიმე ბლოკს სთავაზობდა:

- <u>პირველი ბლოკი:</u> სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხი, რამდენად შესაბამისობაში მოდის საქართველოს კანონმდელობა, კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან;
- <u>მეორე ბლოკი:</u> მოწმე/დაზარალებული ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგთა ჩართვის ადმინისტრირება და სუპერვიზია;
- <u>მესამე ბლოკი:</u> ფსიქოლოგის ჩართულობა მოწმე/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში;
- <u>მეოთხე ბლოკი:</u> მოწმე/დაზარალებული ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგთა კვალიფიკაცია;
- <u>მეხუთე ბლოკი:</u> მოწმე/დაზარალებული ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართულ ფსიქოლოგთა მოტივაცია.

ხოლო არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელისა და მოწმე/დაზარალებული არასრულწლვნის გამოკითხვისას სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: არასრულწლოვნის ინფორმირება; გამოკითხვის/დაკითხვის პროცესი (საერთო მახასიათებლები); ფსიქოლოგის ჩართვა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში; გამოკითხვის/დაკითხვის პროცესის განცდა/ემოციური ფონი.

**სამაგიდე კვლევის შედეგებიდან გამომდინარე და ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტების საფუძველზე, თვისებრივი კვლევა ჩამოყალიბდა განხვავებული სტრუქტურით. კერძოდ, თვისებრივ კვლევაში გაანალიზებულია შემდეგი საკითხები: არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი; ინტერვიუერის როლი; ბავშვის მომზადება გამოკითხვისთვის/დაკითხვისთვის; გამოკითხვის/დაკითხვის პროცესი; გამოკითხვა/დაკითხვა (NICHD) პროტოკოლით; გამოკითხვის/დაკითხვის ჩატარების რაოდენობა; გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე პირთა რაოდენობა; ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა); მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგების ჩართვის მოთხოვნა/საჭიროება და არსებული რესურსი; ფსიქოლოგთა კვალიფიკაცია და სტანდარტი; სუპერვიზიის სისტემა; მოტივაციის სისტემა.**

## 6.3 თვისებრივი კვლევის შედეგები

### 6.3.1 არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს კანონის, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 52-ე მუხლი საგამოძიებო უწყების წარმომადგენლის დისკრეციულ უფლებამოსილებად განსაზღვრავს არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

როგორც საკითხის ირგვლივ მომზადებულმა სამაგიდე კვლევამ წარმოაჩინა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი კონკრეტულად არ ადგენს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართვის საფუძველს, განსაზღვრავს მხოლოდ ზოგად ჩარჩოს, რაც იძლევა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამ მხრივ, არ არსებობს არც სხვა რაიმე გაიდლაინი ან პროცედურა, რომელიც უფრო კონკრეტულად დაარეგულირებდა ფსიქოლოგის ჩართვის საკითხს.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა არსებული არაერთგვაროვანი მიდგომა არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, თავად პროცესის მწარმოებელი პირების შეხედულებაც განსხვავებულია. მაგალითად, ერთ-ერთი გამომძიებელი, მიუთითებს, რომ ფსიქოლოგის ჩართულობა სავალდებულოა[111], სხვას მიაჩნია, რომ ფსიქოლოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაერთოს პროცესში, როდესაც გამომძიებელი ვერ ახერხებს ბავშვის „გახსნას". ზოგიერთი პროკურორისთვის კი ფსიქოლოგის მონაწილეობა იმის დასტურია, რომ არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა არ განხორციელებულა.

თუმცა, გამომძიებლები და პროკურორები თანხმდებიან, რომ მათ მიერ ფსიქოლოგის მოწვევა მოწმე/დაზრალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში უპირობოდ ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი მცირეწლოვანია ან საქმე შეეხება სექსუალური ხასიათის დანაშაულებს ან ოჯახში ძალადობის შემთხვევებს და სხვა.

***<u>გამომძიებელი</u>***: „კოდექსიდან გამომდინარე, ფსიქოლოგის დასწრება გამოკითხვის პროცესში სავალდებულოა *12 წელს ასაკს მიუღწეველ ბავშვებთან,* ასევე სავალდებულოა დაზარალებულთან და სავალდებულოა ბრალდებულთან. სავალდებულოა როგორ, ნუ მიზანშეწონილია და მოითხოვს ასე თუ ისე კანონი და ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ვასწრებთ, როდესაც არის ბავშვი თუნდაც მოწმე".

***<u>გამომძიებელი</u>***: „გააჩნია შემთხვევას, თუ ბავშვი *არ იხსნება გამომძიებელთან, შესაძლოა რაიმე ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყოს* მშობლების მხრიდან, მაგ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია, ჩაერთოს ფსიქოლოგი... მაგალითად, ოჯახურ დანაშაულებზე, როდესაც გავიგებთ, რომ ბავშვი არის მშობლის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ხშირად ხდება, როდესაც გამომძიებელთან შეიძლება ვერ გაიხსნას ისე მაქსიმალურად, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალიზირებული გამომძიებლები მუშაობენ ბავშვებთან. მაინც ფსიქოლოგებს აქვთ გარკვეული სპეციფიკური ცოდნა, კითხვების თვალსაზრისით, მიგნებების თვალსაზრისით და ამიტომ უმჯობესია, რომ ჩაერთონ ფსიქოლოგები".

***<u>პროკურორი:</u>*** „ფსიქოლოგის მონაწილეობას ვუზრუნველვყოფთ განსაკუთრებით ოჯახის ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ფაქტებზე. ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგი ესწრება ბავშვის გამოკითხვის პროცესს, მარტო ამ შემთხვევაში კი არა, ყველა შემთხვევაში ესწრება ფსიქოლოგი".

***<u>პროკურორი:</u>*** „როცა რაიმე ზეწოლა მოხდა მოწმეზე, ფსიქოლოგი არის იმის გარანტი ჩემთვის, რომ არასრულწლოვანზე არანაირი ზეწოლა არ მომხდარა და იგივეს მოყვა, რაც ფსიქოლოგთან. ეხლა, რა თქმა უნდა, ზეწოლა არავიზე არ ხდება, მაგრამ არიან მოწმეები ან ბრალდებული ან ბრალდებულის მხარის მოწმეები ამბობენ, რომ ზეწოლა მოხდა. ფსიქოლოგი არის ამის გარანტი, რომ რაიმე ზეწოლა არ მოხდეს და ფსიქოლოგის წინაშე არ მახსოვს მასეთი რაღაც მომხდარიყოს".

სამართალდამცავი ორგანოებისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებს. იმ ფსიქოლოგების უმეტესობა, რომელიც მონაწილეობს მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებთან გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, აღნიშნავს, რომ გამომძიებლები არ არიან კომპეტენტურები განსაზღვრონ ფსიქოლოგის საჭიროება, არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, რომ შეაფასონ ბავშვის ტრავმატიზაციის

111 თუმცა ყველა არასრულწლოვანთან მიმართებაში გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა ცალსახად სავალდებულო კანონმდებლობის შესაბამისად არ არის.

ხარისხი. ფსიქოლოგები თვლიან, რომ ასეთი გადაწყვეტილება ფსიქოლოგის შეფასებას უნდა მოყვეს და გამომძიებელი თავისი კომპეტენციით ვერ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

***ფსიქოლოგი 1:*** „შესაძლოა ემოციური ძალადობა ბავშვისთვის ბევრად უფრო ტრავმული იყოს, ვიდრე ფიზიკური ძალადობა“.

***ფსიქოლოგი 2:*** „შესაძლოა უმნიშვნელო შემთხვევაზე დაგვიძახონ და მნიშვნელოვანი ისე გავიდეს, რომ გაოცებული ხარ, რომ არ გაახსენდათ“.

ფსიქოლოგები ასევე აღნიშნავენ, რომ გამომძებლების მხრიდან არ ხდება ფსიქოლოგის მნიშვნელობისა და მცირე ასაკის ბავშვების გამოკითხვის სწორად შეფასება.

***ფსიქოლოგი 3:*** „სადაც ფიგურირებს 2 წლის ბავშვიც კი, პროცესი ჩამოკიდებულია ბავშვზე, სხვა მტკიცებულებებზე არ ხდება ყურადღების გამახვილება. თამამად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ სადაც ვერ გამოკითხავენ, უნდა დაუდასტურო, რომ ვერ იკითხება. მოლოდინია, რომ შენ მიხვალ და „ააჭიკჭიკებ“ და მე მივდივარ და ვანახებ, რომ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა დაანახო, რომ დაეხსნან (თავი დაანებონ). არ იცის მეტყველება, თუნდაც განვითარებული ჰქონდეს. თავის დაქნევაც უნდათ, რომ მტკიცებულებად ჩათვალონ. ძალიან საფრთხილოა. ბრალდებულად მიიჩნიონ ამის საფუძველზე. საფრთხილოა, დრო იწურება და უნდა წაუყენონ ბრალი ამის საფუძველზე“.



ამავე დროს, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ გამომძიებლები გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობას ფუფუნების საგნად აღიქვამენ და ზედმეტ პრობლემად მიიჩნევენ, სახელმწიფო ფსიქოლოგების მონაწილეობა კი დროითი რესურსების ხარჯვას უკავშირდება. სახელმწიფოს კი ასეთი რესურსი არ გააჩნია.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სამაგიდე, ასევე თვისებრივი კვლევის შედეგად, ნათლად გამოჩნდა, რომ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ ფსიქოლოგის არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართვაზე გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს ძალიან ზოგადი საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც აძლევს საგამოძიებო უწყებას ფართო დისკრეციას, ამ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. გარდა ამისა, არ არის კონკრეტრულად განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ჩარჩო, რის გამოც პრაქტიკაში ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი მიდგომები. მნიშვნელოვანია შესაბამისი პროცესის მწარმოებელ ორგანოებს გაწერილი ჰქონდეთ სახელმძღვანელო პრინციპები/გაიდლაინები, თუ რა შემთხვევაში უნდა მოახდინონ ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაწყვეტილების მიღების დროს არსებითი ხასიათის შეცდომების დაშვება.

### 6.3.2 გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არაერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხთან მიმართებაში. ფსიქოლოგის მონაწილეობას უზრუნველყოფს საპროცესო მოქმედებებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პრაქტიკაში ან ნაწილობრივ რთავს ფსიქოლოგს ან სთავაზობს თავად

წაიყვანოს გამოკითხვის პროცესი. ზოგი საერთოდ არ ალაპარაკებს და უბრალოდ ფსიქოლოგის მონაწილეობას შესაბამის ოქმში აფორმებს.

საგამოძიებო სტრუქტურის წარმომადგენლების განმარტებით კი გამოკითხვის პროცესი თავად მიჰყავთ, თუმცა აცხადებენ, რომ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფსიქოლოგთან ერთად წარმართავენ ინტერვიუს: -„თანაბრად გვაქვს როლები გადანაწილებული, როცა ფსიქოლოგი ატყობს, რომ ბავშვი იძაბება, ერთვება და ახდენს ბავშვის ყურადღების გადატანას, როდესაც ვატყობ, რომ ბავშვი მზადაა, ვიწყებ შეკითხვების დასმას. ან როცა ფსიქოლოგი ხედავს, რომ მე ვიჭედები, მაშინაც ერთვება და მერე შესაძლოა წაიყვანოს გამოკითხვის პროცესი. მე ასე ვმუშაობ და კმაყოფილი ვარ ფსიქოლოგებთან ამგვარი მუშაობით“.

არის შემთხვევები, როდესაც გამომძიებლები სააგენტოს მიმართავენ წერილობით, იმ მიზნით, რომ ფსიქოლოგის მიერ განხორციელდეს პროტოკოლით გამოკითხვის პროცესი. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები თავის როლს მხოლოდ გამოკითხვის/დაკითხვას პროცესზე დასწრებაში ხედავენ და უარს ამბობენ პროტოკოლით ინტერვიუს ჩატარებაზე. ისინი მიმართულების მიმცემი შეკითხვების დროს ახორციელებენ გარკვეული ხასიათის მინიშნებას/ჩარევას, უზრუნველყოფენ ბავშვის ემოციურ მხარდაჭერას და სხვა. ამ უწყების ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ მათ არ იციან რომელი პროტოკოლით ატარებენ გამომძიებლები ინტერვიუს, რადგან ის არ უნახავთ: - *„მე როგორც ვიკითხე, პროტოკოლიც ვერ გამოვითხოვე. რამდენდაც ვიცი, იციან, მაგრამ რამდენად იცავენ ,არ ვიცი“.*

***ფსიქოლოგი***: „როდესაც მე ვესწრები, მაინც არ ხდება პროტოკოლის სტრუქტურის დაცვა. ადვოკატებს აქვთ შეკითხვა, რამდენად მოხდა პროტოკოლით. სრული სტრუქტურის გამოყენება არ ხდება, მაგრამ იყენებენ პროტოკოლის პრინციპებს. ჩემი ჩარევაც მაგაში გამოიხატება, რომ მოხდეს დაცვა“.

ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით კი, მათ დასწრებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, რათა ოქმში შესაბამისი ჩანაწერი აღმოჩნდეს, რომ პროცესში ნამდვილად იყო ფსიქოლოგი ჩართული. თუმცა ჩვენს კვლევაში გამოკითხულ გამომძიებელთა უმრავლესობა ფსიქოლოგებთან აღნიშნული პროცესის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას მხოლოდ დადებითად აფასებს და აღნიშნავს, რომ მათი მონაწილეობა პროცესზე, განსაკუთრებით ბავშვზე, დადებით ასახვას ჰპოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებლებიც და პროკურორებიც მიუთითებენ ფსიქოლოგების მონაწილეობის მნიშვნელობაზე, ზოგადად მაინც ვერ ხერხდება ფსიქოლოგის მიერ გამოთქმული რჩევებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც უკავშირდება ინტერვიუს ჩატარების ადგილს, პირების რაოდენობას, ინტერვიუს წაყვანის წესებზე შეთანხმებასა და სხვა.

***გამომძიებელი:*** „ფსიქოლოგიც დაგვეხმარა ბევრ რამეში გამოკითხვისას, რომ არ ჩაიკეტოს ბავშვი და სრულად მოგვაწოდოს ინფორმაცია, რამდენად სიმართლეს ამბობს, თუ არ ამბობს და ხომ არ იგონებს ფაქტებს და ა.შ“.

ამავე დროს, სერვისის მიმწოდებელი ორგანზიაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები არ გამოირჩევიან აქტიურობით, მინდობილნი არიან გამომძიბელის მიერ წარმოებულ გამოკითხვის პროცესს, მათ მონაწილეობას აქვს ფორმალური ხასიათი და არ არის ბავშვზე ორიენტირებული, მაშინ როდესაც შესაძლებელია მათი მხრიდან უფრო მეტი პროფესიული ჩარევა.

აქედან გამომდინარე, ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა ფსიქოლოგის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობის საჭიროება, რასაც თვით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც ეთანხმებიან. თუმცა ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც ფსიქოლოგები დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფორმალურად მონაწილეობენ, მაშინ როდესაც სახელმწიფო სტრუქტურებში მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა, აუცილებელია, რომ არსებობდეს შესაბამისი გაიდლაინები, მკაცრად გაწერილი პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს ფსიქოლოგის მოწვევის კრიტერიუმებს, დაადგენს მათ როლს გამოკითხვის პროცესში და განსაზღვრავს მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს, იმ მიზნით, რომ მოხდეს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრება.

**6.3.3. ინტერვიუერის როლი**

ინტერვიუერის მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაციის სანდოობას და რაოდენობას. კარგ პროფესიონალს უნდა ჰქონდეს განვითარებული ემპათიურობის/თანაგრძნობის, ბავშვებთან ურთიერთობების უნარი, არასრულწლოვნის თვით-შეფასების წახალისებისა და ამაღლების უნარი. ამავე დროს, ის მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და იცავდეს მის უფლებებს. ასევე გაითვალისწინოს ბავშვის მოწიფულობა, მისი ასაკი, მახასიათებლები, ძალადობის ტიპი, კულტურული ფონი და საქმის სპეციფიკური მახასიათებლები.

პროფესიონალები, რომლებიც მონაწილეობენ ბავშვის გამოკითხვის პროცესში არსებულ მეთოდოლოგიას ეფექტიანად ვერ გამოიყენებენ თუ არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა განვითარების ფსიქოლოგიაში, კოგნიტური უნარების ფუნქციონირებაში (ყურადღება, აღქმა, მეხსიერება და სხვა). სექსუალური ძალადობის შემთხვევები მოითხოვს ინტერვიუერისგან განსაკუთრებულ ცოდნას და მომზადებას ბავშვთან კარგი რაპორტის დამყარების მიმართულებით.

თუმცა თვისებრივი კვლევიდან გამოჩნდა, რომ გამომძიებლები ამჟღავნებენ საჭირო უნარების დეფიციტს. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც გამომძიებლები გამოხატავენ არასაჭირო ემოციებს, სიბრალულს, შეცოდებას, იყენებენ იუმორს, აქვთ მკაცრი ტონი, ხშირად იყენებენ მიმართულების მიმცემ შეკითხვებს, ერთიდაიგივე შინაარსის კითხვას სვამენ რამდენჯერმე. ჩვენ მიერ გამოკითხულმა 12 წლის გოგონამ, რომელიც ოჯახური ძალადობის მოწმის სტატუსით არაერთგზის იყო დაკითხული, აღნიშნა, რომ გამომძიებლები ხშირად იყენებდნენ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობაც მან (და მისმა მცირეწლოვანმა ძმამ) არ იცოდა, მაგალითად ძალადობა და სხვა.

***12 წლის მოწმე გოგონა:*** „კარგი იქნებოდა დიდებს როგორც ელაპარაკებიან, ისე არ დაეწყოთ ლაპარაკი“.

***ფსიქოლოგი***: „კითხვა დაუსვეს გოგონას, რომელიც ძალადობაზე იყო: - „შენ თვითონ ჩაიხადე?“ - მინდოდა ავმდგარიყავი და გავსულიყავი“.

***სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი:-*** „გამომძიებელმა ჰკითხა (დაზარალებული მცირეწლოვანი გოგონას სახელი), მოგადო თუ არა ასოო, რის შემდეგაც ბავშვი არ ლაპარაკობდა“.

***ფსიქოლოგი***: „ბევრ ტრენინგებს გადიან ეს გამომძიებლები, მაგრამ რეალურად უჭირთ ამის ქცევაში გადატანა... ბავშვი უნდა გიყვარდეს“.

***ფსიქოლოგი***: „არასწორი თანაგრძნობა. არასაჭირო თანაგრძნობა, სიბრალული“.

***ფსიქოლოგი:*** „ერთადერთი, რაც არ მომწონს ხოლმე, გამომძიებლების დამოკიდებულებაა არასრულწლოვნების მიმართ. რამდენჯერაც დავესწარი, უკმაყოფილო დავრჩი დამოკიდებულებით, არ იცავენ ელემენტარულს“.

***ფსიქოლოგი:*** „სხვა გამომძიებლებმა იციან შინაარსი ან ზოგადად იციან, შემოდიან სათითაოდ, „უშარჟებენ“ კიდეც, იუმორი ძალიან კარგია, მაგრამ ზომიერი, აქ ბავშვი დათრგუნულია და შენ „ეღადავები“ ან შენ „ღადაობ“ შენს მეგობართან და ბავშვს ესმის ეს და ვერ ხვდება, ამოვარდნილია კონტექსტიდან“.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებლი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი მოიცავს სავალდებულო ტრენინგის გავლას შემდეგ საკითხებში: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები, ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები, ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშის განვითარებაზე, დაზარალებული და მოწმე ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა (პროტოკოლი).[112] თუმცა პრაქტიკაში რამდენად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნებს არსებული გადამზადების სისტემა, ცალკე საკითხს წარმოადგენს.

***სერვისის მიმწოდებლი ორგანიზაციის წარმომადგენელი:*** „ჩვენ UNICEF-მა დაგვიდგინა სამ დღიანი ტრენინგი, 5 საპილოტე ვარჯიში. სადაც გინდა ჩაწერე, სადაც გინდა გამოაქვეყნე, გეუბნები მთელი სისტემა მუშაობს „გალაჩკაზე“. სამ დღიანი ტრენინგი ერთხელ, სამ დღიანი ტრენინგი ორჯერ. ჩვენ გადავამზადეთ სპეციალიზირებულები გავხდით, სპეციალიზირებული გამომძიებელი გვყავს, რომელსაც ვიდეოს აჩვენებ ბავშვის ძალადობის შემთხვევაში და პირდაპირ ყვირის რამხელა ძუძუები აქვს“.

***სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი:*** სხვა ქვეყნების გამოცდილებით, ორ წელიწად ნახევარი სწავლობს პოლიციელი, გამომძიებელი, თვითონ მისი პროგრამა ამდენია, რომელიც შეიცავს ადამიანის ფსიქოლოგიას, გარდა, სუფთა თავის საქმიანობისა და სპეციალიზაცია არის კიდევ ორწელიწად ნახევარი. ამ წიგნში წერია: იმისთვის, რომ სპეციალიზირებული გახდეს სამართალდამცავი, დაახლოებით ორი წელიწადი სჭირდება. ამ თემების ღრმად გავლით, დამთავრებული პროტოკოლით და მერე პროტოკოლს თავის შეფასება უნდა...“.

საგამოძიებო მოქმედებებზე პასუხისმგებელი პირების საჭირო უნარების დეფიციტზე საუბრობს კიდევ ერთი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი. მისი შეხედულებით, გამომძიებლები

112 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის № 668 დადგენილებით დამტკიცებული „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი“.

ნაკლებად უნდა ურთიერთობდნენ ბავშვებთან, რადგან არ გააჩნიათ შესაბამისი ღირებულებათა სისტემა, ამ უნარებით აღჭურვა კი აკადემიური ცოდნის გარეშე, მხოლოდ ტრენინგების საშუალებით ძნელია.

ამავე დროს, მისი აზრით, არსებობს ინტერვიუერის პროფესია, რომელიც არც ფსიქოლოგია და არც სოციალური მუშაკი, თუმცა გააჩნია აკადემიური ცოდნა და აღჭურვილია ინტერვიუს ჩატარების შესაბამისი უნარ-ჩვევებით.

როგორც აღინიშნა, ინტერვიუერის მახასიათებლებს, მის მიერ თანაგრძნობის გამოვლენას, არასრულწლოვანთან კომუნიკაციის დამყარების უნარებს დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკითხვის დროს სანდო და მდიდარი ინფორმაციის მიღებისთვის, თუმცა კვლევიდან გამოჩნდა, რომ გამომძიებლებს ასეთი სენსიტიური ინტერვიუს ჩატარების უნარები არ გააჩნიათ. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ გამომძიებლებს აქვთ მცდელობა ინტერვიუმ წარმატებით ჩაიაროს, თუმცა აქვთ ნაკლები სენსიტიურობა და უნარები, რომლებიც ასეთი ინტერვიუს ჩატარებისთვის არის აუცილებელი. ამ უნარების ასათვისებლად/გასავარჯიშებლად გამოყოფილი დრო კი უკიდურესად მცირეა.

**6.3.4 ბავშვის მომზადება გამოკითხვისთვის/დაკითხვისთვის**

საერთაშორისო სტანდარტები პირდაპირ და უშუალოდ მიუთითებენ მოწმე და დაზარალებული ბავშვების გამოკითხვის განხორციელებამდე მათი ინდივიდუალური შეფასების აუცილებლობაზე.[113] გამოკითხვის/დაკითხვის წინ მოსამზადებელ სამუშაოს და თავად ინტერვიუერის ბავშვთან კონტაქტისთვის მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოსამზადებელი ფაზის მიზანია ბავშვთან დამყარდეს რაპორტი, შეიქმნას ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს მის ჩართულობას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ინტერვიუერი იცნობდეს ბავშვს გამოკითხვის დაწყებამდე, აუხსნას მისი როლი და თანამშრომლობის მიზანი. აუცილებლობად ითვლება შენახული იყოს ჩანაწერები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ბავშვის ასაკის, ოჯახის, განვითარების დონის, ჯანმრთელობასთან და ტრავმასთან დაკავშირებული საკითხების, სკოლის მიღწევების, კულტურული ფონის, ძირითადი ფუნქციების შესაძლო დარღვევების შესახებ (მაგ. მეტყველების) და სხვა.

კვლევაში მონაწილე პირთა უმეტესობა (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები და სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგები) მიუთითებს, რომ მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის დროს ხელმძღვანელობენ (NICHD) პროტოკოლით. ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული პროტოკოლი მოიცავს რამდენიმე ფაზას: ა) შესავალი ფაზა; ბ) ურთიერთგაგების ფაზა; გ) გავარჯიშების ფაზა; დ) არსებითი ფაზა; ე) დასრულება.[114]

პროტოკოლის მიხედვით, შესავალი ფაზა მოიაზრებს შემდეგს: პროფესიონალის მიერ საკუთარი თავის წარდგენას, ინტერვიუერის სამუშაოს შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შეხვედრის მიზნის განმარტებას, მომხდარის შესახებ საუბარს, სიმართლის თქმის მნიშნელობის გამოკვეთასა და ცნების დეფინიციას. ბავშვის ჩაგონებადობისა და უზუსტობის თავიდან ასაცილებლად ხდება შეთანხმება ქცევის ძირითად წესებზე, რომ ბავშვს შეუძლია თქვას „არ ვიცი“, „ვერ გავიგე“, „არ არის სიმართლე“ და აუხსნას გამომკითხველს თუ მის მიერ გამოთქმული აზრი არასწორად იქნა გაგებული. თუმცა პროტოკოლის შესავალი ფაზა არ მოიცავს ბავშვის განვითარების დონის, ოჯახის, სკოლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მის მიერ გადატანილი ტრავმებისა და კოგნიტური ფუნქციების დარღვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს გამოკითხვამდე/დაკითხვამდე ბავშვის მომზადებასთან დაკავშირებით. თუმცა ნიშანდობლივია, რომ როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, ასევე ფსიქოლოგები ცალსახად თანხმდებიან მოსამაზადებელი სამუშაოს განხორციელების აუცილებლობაზე.

საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასეთი შეხვედრის საჭიროება არსებობს ბავშვის გაცნობისა და იმის დასადგენად, რამდენად შეუძლია მას გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა. ხოლო ბავშვთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მათ სამომავლო გამოკითხვის დაგეგმვაში მეტად დაეხმარებათ.



113 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22(1,4), (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

114 „მომიყევი რა მოხდა, დაზარალებულ, მოწმე და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშის დაკითხვა/გამოკითხვა - სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის“. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019 წელი, გვ. 93

***გამომძიებელი***: „ცალკე გაესაუბრება ბავშვს, სანამ ჩვენთან ერთად დაიწყება დაკითხვის პროცესი. ანუ, ჩვენ არ ვესწრებით და შესაბამისად, არ ვიცით, რის შესახებ საუბრობენ“.

***პროკურორი***: „ფსიქოლოგი გამოკითხვის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე გაესაუბრება, გაარკვევს მის მდგომარეობას და შემდეგ ეს ოქმშიც მიეთითება, რომ არასრულწოვანი იმყოფება ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, რომ შეიძლება მისი გამოკითხვა“.

სერვისის მიმწოდებელი ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგის ჩართვა მნიშვნელოვანია, რათა გაეცნოს ბავშვს, შეუქმნას ემოციური უსაფრთხოების განცდა, წინასწარ აუხსნას რა პროცესია, რა შეუძლია გააკეთოს, აუხსნას რას ნიშნავს სიმართლის თქმა (მაგ. 4 წლის ბავშვმა არ იცის სიმართლის დეფინიცია), რატომ არის მნიშვნელოვანი ის და რა ელოდება ამ პროცესში.

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგის ფუნქციას აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის გარდა არასრულწლოვნის შეფასებაც უნდა წარმოადგენდეს: „თუ არ შეაფასე მისი აქტუალური საჭიროება, რა მდგომარეობაშია, რამდენად შეუძლია ადეკვატურად აღიქვას პროცესი, ემოციურად მზად არის თუ არა მომდევნო ორი საათვისთვის, ამ შეფასებას თუ არ გააკეთებ, პროცესს ვერ აწარმოებ. ამიტომ მგონია, რომ ორივე კომპონენტი კომბინირებულად ნამდვილად უნდა იყოს, ფსიქოლოგის როლი გამოკითხვის პროცესში“. თუმცა მათივე თქმით, შეფასება ამ პირობებში მხოლოდ იმას მოიცავს „არის თუ არა ბავშვი ფსიქო-ემოციური გამოკითხვისთვის მზად, ეს არის პირველადი შეფასება. შესაძლებელია გავცეთ რეკომენდაცია, რომ გადაიდოს ეს პროცესი, შეწყდეს გამოკითხვის პროცესი“.

მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვისთვის/დაკითხვისთვის მოსამზადებელი სამუშაოს მნიშვნელობის ფონზე კიდევ უფრო დრამატულად წარმოჩნდება ამ მხრივ პრაქტიკაში არსებული გამოწვევები. მოწმე/დაზარალებულ ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგების ნაწილი აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, ისე შედიან პროცესზე, არ აქვთ ბავშვთან წინასწარ გასაუბრების შესაძლებლობა ან ასეთის შემთხვევაში, მხოლოდ 5-10 წუთიანი გაცნობით შემოიფარგლებიან, რაც შეფასებას ნამდვილად არ ისახავს მიზნად.

***ფსიქოლოგი***: „არავინ ეკითხება (შეფასების დროს) ეპილეფსია აწუხებს თუ დახურული სივრცე, ნაჭამია თუ არა, რამდენი ხანი იყო სკოლაში, არის თუ არა ლოგიკური და გონივრული ახლა მისი დაკითხვა. ინდივიდუალური შეფასების პროცესი არ მიმდინარეობს, მომზადების ეტაპი არ ხდება“.

***ფსიქოლოგი***: „ზოგ შემთხვევაში ხდება ხოლმე შეფასება, შეფასება რა - გასაუბრება. სხვა ოთახში გავიდე და გავისაუბროთ. მე თუ ვარ, ვეკითხები ხოლმე: „მზად ხარ? თუ გინდა დღეს არ ჩავატაროთ“. განსაკუთრებული სახით შეფასება არ არის. ხან არის, ხან არა. წინასწარი გასაუბრება მაინც არის, წარმოდგენა რომ მქონდეს, რა იცის, რა რესურსი აქვს“.

***ფსიქოლოგი***: „საქმე თან არ ვიცი, მივდივართ და პროცესზე ვერთვები, ან იქნებ ბავშვს სხვანაირად სჭირდება დახმარება, სიტუაციაში გარკვევა მჭირდება, რას ვესწრები, სად მივდივარ, არცერთი შემთხვევაში არ ვყოფილვარ ინფორმირებული, პირდაპირ მივედი და დავჯექი, რადგან ჩემმა სამსახურმა დამავალა“.

ამრიგად, კვლევაში მონაწილე პირები, ერთის მხრივ, მიუთითებენ ინდივიდუალური შეფასების, მოსამზადებელი სამუშაოს აუცილებლობაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვის/დაკითხვის დროს არ ხორციელდება არასრულწლოვნის ინდივიდულაური შეფასება, მეტიც, ხშირ შემთხვევაში არასრულად ხორციელდება პროტოკოლით გათვალისწინებული შესავალი ფაზის გავლაც კი.

**6.3.5 გამოკითხვის/დაკითხვის პროცესი**

ის, თუ როგორ ტარდება ინტერვიუ, განაპირობებს ნებისმიერ წარმატებულ მცდელობას, დადგინდეს სიმართლე (Lamb, Orbach, Sternberg, Espilin, & Hershkowitz, 2002). ყველაზე მნიშნელოვანი ფაქტორი, რომელიც მიღებული ინფორმაციის სიზუსტესა და დეტალიზაციის სიმდიდრეს განსაზღვრავს, გახლავთ ის, თუ როგორ, რა ტიპის შეკითხვებითა და მიმართვებით არის მოპოვებული ინფორმაცია.[115]

ინტერვიუს ჩატარებისას მსხვერპლის მეხსიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შესაძლოა მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორის: შეკითხვების დასმის სიხშირემ, შეკითხვებს შორის დროის შუალედმა, ინტერვიუერის მანერამ და ინტერვიუს ხანგრძლივობამ. ყურადღება უნდა გავამახვილოთ შეკითხვის გამეორებასა ან განმეორებითი შეკითხვების გამოყენებაზე, რადგანაც არასრულწლოვანმა შესაძლოა იგრძნოს, რომ მის მიერ გაცემული პასუხები არ არის „სწორი“ ან „სასურველი“, რაც შედეგად აცვლევინებს საწყის/თავდაპირველ პოზიციას (Faller, 2007).

ბავშვები უფრო მოწყვლადები არიან მიმართულების მიმცემი შეკითხვების მიმართ, ვიდრე მოზარდები, ამიტომაც მნიშვნელოვანია მათი გამოყენების სადავეები მჭიდროდ გვეჭიროს ხელში. ექსპერტების უმეტესობა გვირჩევს, მათი დასმა ავიცილოთ თავიდან და უკიდურეს შემთხვევაში იქნას გამოყენებული მაშინ, როცა ყველა სხვა ალტერნატივა ამოწურულია.

იმ მიზნით, რომ მინიმუმადე იქნას დაყვანილი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის რისკები, მეხსიერების დამახინჯება და ბავშვის ტრავმატიზება, საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

- გამოვიყენოთ ბავშვის ასაკისთვის შესაბამისი სასაუბრო ენა;
- გამოვიყენოთ მაგალითები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას;
- გამოვიყენოთ მოკლე წინადადებები;
- გამოვიყენოთ მარტივი წინადადები;
- თავიდან ავიცილოთ მრავალჯერადი გამოკითხვები;
- თავიდან ავიცილოთ მიმართულების მიმცემი შეკითხვები;
- თავიდან ავიცილოთ უკვე დასმული შეკითხვების ხელმეორედ დასმა;
- წავახალისოთ თავისუფალი თხრობა;
- არ გამოვიყენოთ მკაცრი ტონი.

მიუხედავად ამისა, პროცესში მონაწილე ფსიქოლოგები მიუთითებენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ოთახში მსხდომი გამომძიებლები ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით სვამენ სხვადასხვა შეკითხვებს ან გამოხატავენ გულწრფელ სიბრალულს სექსუალური ძალადობა გადატანილი ბავშვის მიმართ. გამომძიებლების მიერ ხშირად ხდება მიმართულების მიმცემი შეკითხვების დასმა, რა დროსაც ფსიქოლოგები აქტიურ ჩარევას ახორციელებენ.



115 „მომიყევი რა მოხდა, დაზარალებულ, მოწმე და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშის დაკითხვა/გამოკითხვა - სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის“. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019 წელი, გვ.109-110

ასევე საუბარია ისეთ ფაქტებზე, როდესაც გამომძიებელი აღნიშნავს, რომ ბავშვი მან „გახსნა“ და ყველაფერი მოუყვა, თუმცა მოხდა მისი მხრიდან დანაშაულებრივი ქცევის, მომხდარის გაცნობიერება, რა დროსაც გამოკითხვის ეტაპზე მის მიმართ გაჟღერებულმა რეპლიკებმა სირცხვილის გრძნობა გამოიწვია და ბავშვი ჩაიკეტა.

***ფსიქოლოგი***: „ზოგჯერ შესაძლოა ბავშვს გამოკითხვის პროცესში ძლიერი დანაშაულის განცდა გაუჩნდეს, რომ ის, რაც მოხდა, მისი ბრალია, შესაძლოა, ეს გამომძიებლიდან გამომდინარეც მოხდეს, მაგ. გამომძიებლის არავერბალური კომუნიკაციის შედეგად მიიღოს რაღაც ინფორმაცია, შეშფოთება შეატყოს ან რაღაც მსგავსი განცდა. პირველი გამოკითხვის დროს, თუ ბავშვები მცირეწლოვნები არიან, მომხდარ ფაქტს ყვებიან ხოლმე, როგორც რაღაც რიგით ისტორიას, არაა აქვთ ხოლმე გაცნობიერებული რამდენად ცუდი რამ დაემართათ, თუმცა თვითონ გამოკითხვის პროცესში ისეთია ხოლმე ადამიანების რეაქცია, მაგ. გამომძიებელის ან პროცესში ჩართული სხვა ადამიანის, რომ შესაძლოა მოხდეს მეორადი ტრამვატიზაცია და ბავშვი მაშინ ხვდება ხოლმე, რომ რაღაცა ცუდი დაემართა და შემდეგ გამოკითხვაზე იწყება ხოლმე შფოთვა, იკეტება, აღარ საუბრობს ამაზე, ანუ პროცესი სწორად თუ არ მიდის“.

ამრიგად, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენს გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში არსებითი ხასიათის შეცდომების დაშვება, მაგალითად, მიმართულების მიმცემი კითხვების დასმა, ემოციების არსწორად გამჟღავნება, რასაც მივყავართ გადაჭარბებულ სტრესთან, მეხსიერების დაქვეითებასთან, რაც ამცირებს ბავშვის გამოკითხვასთან დაკავშირებულ სანდოობას და მოძალადის დამნაშავედ ცნობის შესაძლებლობებს.



**6.3.6 გამოკითხვა/დაკითხვა (NICHD) პროტოკოლით**

კვლევებით დადასტურებულია, რომ ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული პროტოკოლის დახმარებით ინტერვიუს ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდება. მსგავსი შედეგი არცერთ სხვა მეთოდს არ მოუტანია. NICHD-ის სტრუქტურირებული პროტოკოლი დამკითხველს/გამომკითხველს საშუალებას აძლევს მსხვერპლი/მოწმე ბავშვისგან ხარისხიანი ინფორმაცია მიიღოს. ეს კი იმის გარანტიაა, რომ დამნაშავის ან სავარაუდო დამნაშავის მიმართ ადეკვატური სამართლებრივი ზომები იქნება მიღებული.[116]

ამავე დროს, თვისებრივი კვლევით გამოჩნდა, რომ გამომძიებლების მიერ არასრულწლოვნის გამოკითხვა ყოველთვის პროტოკოლის გამოყენებით (იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გამომძიებლები „სავალდებულოდ“ თვლიან ფსიქოლოგის მონაწილეობას დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე) არ ხდება. ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ შესაძლოა ისინი (გამომძიებლები) იცავენ პროტოკოლის პრინციპებს, თუმცა პროტოკოლს ყოველთვის არ მიჰყვებიან.

ასევე არ მომხდარა (NICHD) პროტოკოლის გამოყენება 8 წლის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგონას შემთხვევაში, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა გამომძიებლის მიერ, ფსიქოლოგისა და კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. მხოლოდ კერძო ადვოკატის მოთხოვნით მოხდა მისი განმეორებითი გამოკითხვა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის“ ფსიქოლოგის მიერ პროტოკოლის საშუალებით. ძალადობის მსხვერპლი გოგონას მშობელი ინტერვიუში აცხადებს: - „ადვოკატის დახმარებით დავითანხმეთ პროკურორი, ბავშვი გამოეკითხათ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდში - პროტოკოლით გამოკითხვაზე. ისიც ადვოკატმა მოითხოვა, იქ (პოლიციაში) არცერთმა არ იცოდა პროტოკოლით გამოკითხვა, ჩვენი ადვოკატი უხსნიდა პროტოკოლით გამოკითხვის მეთოდს“.

116 „მომიყევი რა მოხდა, დაზარალებულ, მოწმე და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშის დაკითხვა/გამოკითხვა - სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის“. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019 წელი, გვ. 84

***„სექსუალური ხასიათის დანაშაულის მსხვერპლი 9 წლის ბავშვის მშობელი აღნიშნავს,*** რომ მისი შვილის არაერთი გამოკითხვის შემდეგ, პროტოკოლით გამოკითხვა ნამდვილი შვება იყო: „ფსიქოლოგი ისე მიუდგა, (კამერების მიუხედავად) ისე გამოკითხა, დღემდე შეყვარებულია ბავშვი, ერთი თვე ვითომ სამოთხეში ვიყავით, დიდი სტრესი მოეხსნა პროტოკოლით გამოკითხვით... ფსიქოლოგი რომ არ ყოფილიყო, უფრო დასტრესილი იქნებოდა ბავშვი, ვერ გაიხსენებდა, თამაშ-თამაშით ისეთი რაღაცეები გაიხსენა, გარემო იყო შექმნილი სათამაშოებით. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა იღებდნენ, გახარებული და გახსნილი იყო, უფრო გაიხსენა“.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მისი პრაქტიკის განმავლობაში არ მომხდარა გამომძიებლის მიერ მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვა პროტოკოლის შესაბამისად, რა დროსაც ბავშვის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდში“ გამოკითხვას მოითხოვდა ან თავად უზრუნველყოფდა, (ორგანიზაციის რესურსით) „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ GCRT-ის ფსიქოლოგის მომსახურების გზით. იგივეს აცხადებს ფსიქოლოგთან მიმართებაშიც:

„არასდროსმინახავს წარმმართველი კითხვის დამსმელი პირი ყოფილიყოს ფსიქოლოგი, კითხა მინიმალურად, ვერ ვიტყვი, რომ იყო წარმმართველი“.



აქედან გამომდინარე, იკვეთება NICHD პროტოკოლის გამოიყენების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან, ისე პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების მხრიდან. ზოგი იყენებს აღნიშნულ ინსტრუმენტს, ზოგს არ აქვს ამის თაობაზე ინფორმაცია და ზოგადი უნარების მეშვეობით ერთვება დაკითხვის პროცესში და სხვა.

**6.3.7 გამოკითხვის/დაკითხვის ჩატარების რაოდენობა**

დაკითხვის/გამოკითხვის დაგეგმვისას მთავარი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლები გამოკითხვის ჩატარება, სასურველია, თუ მთელი ინფორმაციის მოპოვება განხორციელდება ერთი დაკითხვიდან/გამოკითხვიდან, რადგან ტრავმული სიტუაციის ბევრჯერ გახსენება უკიდურესად უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვზე და მის ჩაგონებადობასაც ზრდის.[117]

რაც უფრო მეტი იქნება დაკითხვების/გამოკითხვების რაოდენობა, ის მით უფრო აღიქმება, როგორც ზედმეტი და არასაჭირო, რაც მოპოვებული მტკიცებულებების ძალას შეამცირებს. ამას გარდა, ტრავმული, სტრესული სიტუაციის ბევრჯერ გახსენებამ შეიძლება უკიდურესად უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვზე.[118]

მიუხედავად ამისა, როგორც თვისებრივი კვლევიდან გამოჩნდა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვი ხელმეორედ იკითხება. ფსიქოლოგები და გამომძიებლები აღნიშნავენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება ბავშვის განმეორებითი დაკითხვა, შესაძლოა ის არ გაიხსნა პირველ ჯერზე ან ჩაიკეტა და საჭირო გახდა ფსიქოლოგის მიერ გამოკითხვის განმეორებით ჩატარება.

ოჯახური ძალადობის მოწმე 9 წლის ბიჭი და 12 წლის გოგონა აღნიშნავენ, რომ მათი გამოკითხვა პოლიციაში კვირაში 2-ჯერ ხდებოდა, რის გამოც ხშირად აცდენდნენ სკოლას, აგვიანდებოდათ წრეებზე. 9 წლის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგონას მშობელიც მიუთითებს, რომ მხოლოდ კერძო ადვოკატის დახმარებით აღკვეთა მისი შვილის განმეორებითი გამოკითხვების ჩატარება პროკურორების მხრიდან, რასაც წინ უძღოდა არასრულწლოვანი გოგონას გამოკითხვა ორი სხვადასხვა გამომძიებლის მიერ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში რამდენიმე სპეციალისტის მხრიდან.

117 „დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან ურთიერთობა - გზამკვლევი“. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2017 წ, გვ. 27

118 „მომიყევი რა მოხდა, დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის“. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2014 წელი, გვ. 72

### 6.3.8. გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე პირთა რაოდენობა

არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ბავშვის დაცულობისა და გახსნილობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მას ბევრი ადამიანი არ ესწრებოდეს. თავისი ტრავმული ისტორიის გადმოსაცემად აუცილებელია მინიმუმამდე იყოს დაყვანილი დაკითხვაზე/გამოკითხვაზე დამსწრე პირთა რაოდენობა. საუკეთესო შემთხვევაში, ბავშვთან ერთად ოთახში უნდა იმყოფებოდეს ორი პირი.[119]

თვისებრივმა კვლევამ კი აჩვენა, რომ მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესში, არსებული კანონმდებლობით დადგენილი რეგულირების საფუძველზე, შესაძლოა მონაწილეობდეს - გამომძიებელი, პროკურორი, ადვოკატი, კანონიერი წარმომადგენელი (ან საპროცესო წარმომადგენელი), ფსიქოლოგი, მოწმის/დაზარალებულის კოორდინატორი, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმანი. ფსიქოლოგები განსაკუთრებული შეშფოთებით მიუთითებენ გამომძიებლების სიმრავლეზე, (სამუშაო ოთახში სხვა გამომძიებლებიც იმყოფებიან), რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესს.

***ფსიქოლოგი***: „ოთახები არ აქვთ. ერთ სივრცეში ზიან, რამდენიმე დაკითხვა ერთად ხდება. ბავშვი იმ გამომძიებლის მაგიდასთან ზის, რომელიც იძიებს მის საქმეს და ყველა არის ჩართული ამ პროცესში, ზოგი თავს იქნევს, სხვადასხვა რეაქციებს გამოხატავენ, საშინელებაა. მხოლოდ 2 შემთხვევა იყო ცალკე ოთახში“.



აღნიშნული გარემო განაპირობებს გამოკითხვის/დაკითხვის პროცესის ქაოსურ მიმდინარეობას. ყველა ზემოთ აღნიშნული პირის, მათ შორის სოციალური მუშაკის, მიერ შესაძლოა მოხდეს ბავშვისთვის შეკითხვის დასმა, მაშინ როდესაც, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ეს უკანასკნელნი გადამზადებულები არ არიან პროტოკოლით ინტერვიუს ჩატარების მეთოდოლოგიაში.

ფსიქოლოგების უმეტესობა აღნიშნავს, რომ გამოკითხვის პროცესში არ არის განსაზღვრული შეკითხვის დასმის თანმიმდევრობა, თითოეული მონაწილის ჩართულობა, გამოკითხვის ჩატარების წესებზე შეთანხმება მონაწილეების მიერ წინასწარ განსაზღვრული და შეთანხმებული არ არის. მაგალითად, შესაძლოა ფსიქოლოგის მიერ დასმული კითხვის დროს გამომძიებელმა გააწყვეტინოს საუბარი.

***ფსიქოლოგი 1:*** „შეკითხვას როცა სვამ: უცებ კი არ გაცლის ერთი იყოს ვინმე გამომკითხველი, სხვა არ უნდა ჩაერთოს, გააწყვეტინებს კითხვის დასმის დროს. ჩხუბს ხომ არ გამართავ. თუ პოლიციელი კითხავს, იმან დაკითხოს, თუ მე - მაშინ მე“.

***ფსიქოლოგი 2***: „სპეციალისტები მოლაპარაკებულები იყვნენ, ეფექტურია ბავშვისთვის, რომ გასაუბრება მოხდეს, შევჯერდეთ და მერე ერთმა დასვას კითხვები, ეს არის კარგი ვარიანტი, ასეც ხდება ხოლმე, მაგრამ ხდება ისეც, რომ რამდენიმე სვამს კითხვას. დისკომფორტს ქმნის, ნდობის ჩამოყალიბების პროცესი ქრება“.

ამავე დროს, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი მიუთითებს სოციალური მუშაკების როლზე და მათ ჩართულობაზე. მისი პრაქტიკიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკები (როგორც კანონიერი წარმომადგენლები) ვერ ახერხებენ ბავშვის უფლებების დაცვას, ხშირ შემთხვევაში ისინი გამომძიებლის პოზიციას იცავენ, რაც, ერთ შემთხვევაში, შესაძლოა, გამომდინარეობდეს იქიდან,

119 „დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან ურთიერთობა - გზამკვლევი”. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2017 წ, გვ. 27

რომ არ აქვთ საკმარისად გაცნობიერებული საკუთარი როლი ამ პროცესში, ამავე დროს გამომძიებლების მხრიდან მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა შესაძლოა აჩენდეს გარკვეულ აფილაციებს/სიმპატიებს, (დავალებულობის განცდას) რაც გამოკითხვის პროცესზეც ახდენს გავლენას.

ასევე სოციალური მუშაკების როლზე ამახვილებს ყურადღებას სხვა სერვისის მიმწოდებლი ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც საუბრობს მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე საგამოძიებო მოქმედებებში, ოჯახისა და გარემოს შეფასების კუთხით, თუმცა არსებული პრაქტიკით ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და მეტიც, სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა მათი მხრიდან არ ხდება. როგორც თვისებრივი კლევიდან იკვეთება, არ ხდება იმის განსაზღვრა თუ რა მიზანს ემსახურება გამოკითხვიხ/დაკითხვის პროცესში სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობა და რამდენად მიმართულია ეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ. ხომ არ იქნებოდა არასრულწლოვნისთვის უმჯობესი მისთვის მატრავმირებელი შინაარსის შესახებ საუბარი გაემხილა მხოლოდ ერთი/ან და ორი გამომკითხველისთვის, რომელიც უფრო მეტად მოახერხებდა მის მომზადებას აღნიშული პროცესისადმი და გაუძღვებოდა ინტერვიუს ჩატარებას. 12 წლის მოწმე გოგონა ინტერვიუს დროს მიუთითებს, რომ: „ფსიქოლოგთან როცა მივდიოდი ცალკე, იქ უკეთესად ვგრძნობდი თავს“.

**6.3.9 ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა)**

კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ გარემო, სადაც ბავშვი იქნება გამოკითხული, გავლენას ახდენს კომუნიკაციაზე, კონცენტრაციასა და მეხსიერებაზე, განსაკუთრებით კი, სკოლამდელი ასაკის ბავშებზე (Ceci, Bronfenbrenner, & Baker, 1988). ამიტომ დაკითხვა/გამოკითხვა უნდა ჩატარდეს ისეთ ადგილზე, სადაც ბავშვი თავს კომფორტულად და დაცულად იგრძნობს. გარემო (დეკორაცია) საბავშვო და მეგობრული უნდა იყოს, თუმცა არ უნდა იპყრობდეს ზემდეტ ყურადღებას. დაკითხვის/გამოკითხვის ჩატარების ოთახი უნდა იყოს ცალკე, იზოლირებული, ფონურ ხმაურს მოკლებული. ოთახში შეიძლება იყოს ბავშის სქესისა და ასაკის შესაბამისი ნივთების მცირე რაოდენობა, მაგალითად, სახატავი ფანქრები და ფურცელი. თუმცა მათი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ბავშვის დაძაბულობის მოსახსნელად, დასამშვიდებლად, რის წყალობითაც ის უკეთ შეძლებს დაკითხვაში/გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებას.[120]

თვისებრივი კვლევიდან გამოვლინდა, რომ მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვების/დაკითხვების უმეტესობა მიმდინარეობს პოლიციის განყოფილებაში საერთო სივრცეში, სადაც ერთდროულად მუშაობს რამდენიმე გამომძიებელი. ამ სივრცეში ხდება ზრდასრული პირების დაკითხვაც. შესაძლოა რამდენიმე დაკითხვა მიმდინარეობდეს ერთდროულად, რის გამოც ისმის არამარტო სხვა პირების გამოკითხვის შინაარსი, არამედ თანამშრომლებს შორის არაფორმალური საუბარი, მომლოდინე პირების ყვირილი და უცენზურო სიტყვები და სხვა. გამონაკლისს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ფსიქოლოგების მონაწილეობითა და ჩართულობით განხორციელებული გამოკითხვა. ასეთ დროს გამოკითხვა აკადემიაში ხდება, რადგან ფსიქოლოგები კარგად აცნობიერებენ გარემოს მნიშვნელობას ბავშვების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში.

***ფსიქოლოგი 1:*** „ოთახები არ აქვთ. ერთ სივრცეში ზიან, რამდენიმე დაკითხვა ერთად ხდება. ბავშვი იმ გამომძიებლის მაგიდასთან ზის, რომელიც იძიებს მის საქმეს და ყველა არის ჩართული ამ პროცესში, ზოგი თავს იქნევს, სხვადასხვა რეაქციებს გამოხატავენ, საშინელებაა. მხოლოდ 2 შემთხვევა იყო ცალკე ოთახში“.

120 მომიყევი რა მოხდა, დახარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის, 2014, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, გვ. 72

***ფსიქოლოგი 2:*** „კატასტროფა, ქაოსი, ბავშვისთვის ოთახიც არ იყო. ჩვენ ვიჯექით ისეთ ოთახში, სადაც სამუშაო გარემოში 3 გამომძიებელი ერთ ოთახში ზის, გადი-გამოდი, იქ ვიღაც ყავას სვამს, ბათინკი გდია, ფორმა გდია, შემოდის ვიღაც დემონსტრირებულად, ფოიედან ისმის ხმა, შემოდიან დამნაშავეები, ვიღაც ყვირის, იგინება, იწყევლება, ვიღაცას მშობელი ელოდება, აბრახუნებს, სხვისი დაკითხვაც შესაძლოა ისმოდეს, ძალიან დამთრგუნველია ბავშვისთვის, რათქმა, უნდა ჩვენ ვერევით, ვაჩერებთ, მაგრამ როდესაც გარემო არ არის, სად უნდა წაიყვანონ? ამიტომ არის სკოლაში გამოკითხვა უმჯობესი. რამდენდაც ვიცი, პროკურატურაში არის ოთახი, უნისეფის მიერ გაკეთებული, სასამართლოში, როგორც ვიცი, უკნიდან ხდება მიყვანა, ბავშვების შეყვანა. მაგრამ ვფიქრობ, რომ არც ეს არის ბავშვისთვის კარგი“.

***ფსიქოლოგი 3:*** „სექსუალური ძალადობის შემთხვევაში ვთხოვეთ ცალკე ოთახში შეყვანა, მაგრამ გვიპასუხეს, რომ იქ არ აქვთ სისტემა, შესაბამისი მოწყობილობა ჩაწერისთვის (აკრეფისთვის). აგრძნობინებენ შეცოდებას. სხვა გამომძიებელი სხვა საქმეზე დაკითხვას აწარმოებს, ამ დროს ბავშვს ესმის როგორ ყვირის ეს ქალი: „სახლი ჩამომართვეს“.



რაც შეეხება კვლევაში მონაწილე სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების მოსაზრებებს, ისინი ადასტურებენ, რომ გამოკითხვის პროცესში გარემო მნიშვნელოვანია, გამოთქვამენ სურვილს, რომ მათ რეგიონშიც არსებობდეს ადაპტირებული ოთახები, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც ამის აუცილებლობას მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში თვლიან მნიშვნელოვნად.

***გამომძიებელი 1*** :„მე როგორც გითხარით, პროტოკოლით გათვალისწინებული გამოსაკითხი ოთახი არა გვაქვს იმერეთში და სასურველი იქნებოდა, რომ იყოს. მაგრამ გვაქვს ოთახი, სადაც ჩვენს გარდა არავინ არ ესწრება და არ შემოდის. ხან კომპიუტერთან ვთავაზობ ბავშვს დაჯდეს და ითამაშოს გარემოს რომ შეეჩვიოს, ან ფანქრებს და სახატავებს ვთავაზობ ხოლმე. წეღან რომ გითხარით 5 წლის ბავშვზე, ის ბავშვი სოციალურ სააგენტოში გამოვკითხე, იქ აქვთ სპეციალური ოთახი. სასურველია იყოს საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული ოთახები, რუსთავში უკვე არის და იმედია აქაც გააკეთებენ. მაგრამ ერთი ოთახი არ კმარა. ეს ოთახები უფრო 10 წლის ქვემოთ ბავშვებისთვის არის აუცილებელი, თორე 10-ს ზემოთ ბავშვებისთვის არ არის აუცილებელი, ეხლა როცა თვითონ აქვთ ხოლმე დანაშაული ჩადენილი, ეგეთ ოთახში თუ არ გამოიკითხება არაუშავს“.

***პროკურორი 1:*** „იდეალური იქნებოდა, რომ არსებობდეს ოთახი, სადაც უშუალოდ მოხდებოდა არასრულწლოვნების გამოკითხვა, სადაც იქნებოდა შესაბამისი გარემო, თბილისში არის ასეთი სივრცე, ჯერჯერობით ჩვენთან არ არის“.

***გამომძიებელი 2:*** „ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი პოლიციის შენობები არ არის ეგრე მოწყობილი სამწუხაროდ. როგორც ვიცი, რუსთავში გაიხსნა ბავშვებისთვის სპეციალიზირებულად მოწყობილი ოთახები თორე, ჩვენ ძირითადად ვსარგებლობთ უფროსის ან მოადგილის კაბინეტებით. რა თქმა უნდა, 5-6 წლის ბავშვს როცა კითხავ, გარემო აუცილებელია და შესაბამისი უნდა იყოს, ჩვენ ამაზე ტრენინგიც ჩაგვიტარდა - სკამების განლაგება როგორი უნდა იყოს, სიმაღლე და ა.შ“.

აქვე, აღსანიშნავია ქალაქ რუსთავში გადადგმული ნაბიჯები ადაპტირებული გარემოს შექმნის კუთხით, სადაც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შეიქმნა ადაპტირებული სივრცეები პოლიციაში, პროკურატურაში, სასამართლოში. ვერ ვიტყვით, რომ რუსთავში თვისებრივ კვლევაში გამოვლენილი ყველა გამოკითხვა მხოლოდ ამ სივრცეში განხორციელდა, თუმცა არის იქ ჩატარების შემთხვევებიც, რაც, როგორც ფსიქოლოგი აღნიშნავს, ბავშვზე უაღრესად პოზიტიურად აისახა.

**ფსიქოლოგი**: „კარგია, რომ ოთახებს იყენებენ აქტიურად და რაიონიდანაც ხდება ბავშვების ჩამოყვანა. 4 ოთახია და იყენებენ აქტიურად: სამხარაულში, პროკურატურაში, სახაზინოში, სასამართლოში უნისეფის გაკეთებული. ადაპტირებული ავეჯით, არ არის გადატვირთული გარემო, არის ფურცლები და ფანქრები. ბავშვებს ემჩნევათ, რომ აღმოჩნდებიან სხვა გარემოში.
ადრე იყო ფოიეში, ახლაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მასიურად უკვე ამ ოთახებს იყენებენ. თან რუსთავს აქვს ეს ფუფუნება. გორიდან შეუძლია ჩამოიყვანონ და შენ გიწევს არგუმენტირება, რომ აქაც გამოიყენონ, მაგრამ უკვე ითვალისწინებენ ამ რესურსს.
ისეთი შემთხვევებიც არის, შეიძლება ჭიდაობაც მოგიწიოს, ან შეიძლება მყუდრო კუთხეში ჩატარდეს, შეიძლება შევთავაზოთ ჩვენთან მოსვლა და გამოუყენებიათ კიდეც. თუ ყველა შემთხვევას დაუხვდები როგორც კანონშია, იცავენ და თუ გაატარე მანკიერება იზრდება“.



სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს: „7 წლამდე და სექსუალური ხასიათის დანაშაული თუ არის სპეციალურ სივრცეში კითხავენ. რადგან მოთხოვნაა, რომ დისკით უნდა წარდგეს სასამართლოში, მაშინ მიდიან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდში, რომელთაც აქვთ დაკითხვისთვის ადაპტირებული ოთახი. ბავშვზე მორგებული გარემო მარტო სპეციალისტების ჩართულობას არ ნიშნავს, რუსთავში გააკეთა უნისეფმა, ასეთი უნდა იყოს ყველგან, ამიტომ მიჰყავთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდში. პროტოკოლით გამოკითხვა აუცილებლად ასეთ ოთახს გულისხმობს, ჩანაწერი უნდა გაკეთედეს“.

ამრიგად, მნიშვნელოვანია გამოკითხვა/დაკითხვა მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების შემთხვევაში ტარდებოდეს განცალკევებით, სპეციალურად მოწყობილ სივრცეში, რაც, როგორც კვლევიდან გაირკვა, უმეტეს შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი.

### 6.3.10. მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგების ჩართვის მოთხოვნა/საჭიროება და არსებული რესურსი

როგორც სამაგიდე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, მნიშვნელოვანია თითოეულ ფსიქოლოგს უწევდეს საქმიანობა ისეთი სამუშაო დატვირთვის ფარგლებში, რომლის დროსაც მას ეყოფა სამუშაო რესურსი და მიეცემა საკმარისი შესაძლებლობა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეასრულოს თავისი საქმიანობა და არა ფორმალურად, მხოლოდ მოვალეობის შესრულების მიზნით დაესწროს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესს, რისი ტენდენციაც უკვე დადასტურდა კიდეც გარკვეულწილად თვისებრივი კვლევის ფარგლებში.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამართლადამცავი ორგანოს წარმომადგენლები ძირითადად იყენებენ ფსიქოლოგთა სახელმწიფო რესურსს სხვადასხვა საჯარო უწყებებიდან. მათ შორის,

შესაძლებელია გამოყენებული იყოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთა ბაზაც, რომელთა სპეციალიზაცია ამ მხრივ შეიძლება არასაკმარისი იყოს და ისინი ამას თავადაც არ მალავენ.

თვისებრივი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებთან გამოკითხვაზე/დაკითხვაზე მონაწილეობის მისაღებად ფსიქოლოგების დასწრებისას ხელმძღვანელობენ სხვადასხვა პრინციპით: მაგალითად, თბილისში მომუშავე გამომძიებლები აღნიშნავენ, რომ გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში პირველად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ფსიქოლოგებს მიმართავენ. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი და არასრულწლოვანი თავად მიდიან შსს-ს აკადემიაში, სადაც მიმდინარეობს გამოკითხვა/დაკითხვა. შსს აკადემიის ფსიქოლოგების მიუწვდომლობის შემთხვევაში, საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები მიმართავენ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ხოლო საბოლოო შემთხვევაში - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს. თუმცა ერთ-ერთი პროკურორი აღნიშნულ ფუნქციას სოციალური მომსახურების სააგენტოს პრეროგატივად მიიჩნევს და რომ არა აღნიშნული სააგენტოს მწირი რესურსი, ისინიც მათი მომსახურებით ისარგებლებდნენ.

რეგიონების (ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი) შემთხვევაში, პირველ რიგში საგამოძიებო უწყების წარმოამდგენლები მიმართავენ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულ ფსიქოლოგს, რომელიც ერთია კახეთისთვის და ქვემო ქართლისთვის და ორია იმერეთის რეგიონისთვის. მხოლოდ მათგან უარის მიღების შემდეგ ხდება მიმართვა საგანმანათლებო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრისათვის.



***<u>გამომძიებელი</u>***: „ფსიქოლოგს ვიწვევთ სოციალური მომსახურების სააგენტოდან, ძირითადად გვიწევს იქიდან მოწვევა ამ ფსიქოლოგების. არის კვალიფიციური ფსიქოლოგი.

გვქონია პრაქტიკაში შემთხვევები, როდესაც არ ყოფილა ეს ფსიქოლოგი, რომელსაც ჩვენ ვიწვევთ ადგილზე და აუცილებელი ყოფილა დროულად ჩატარებულიყო საგამოძიებო მოქმედება. ასეთ შემთხვევაში მოგვიწვევია სხვა ფსიქოლოგიც. მაგ. ჰყავს სკოლას, მანდატურის სამსახურს და ა.შ“.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის ფსიქოლოგებთან დაკავშირებას, ძირითადად მიმართავენ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდს“ და „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრ GCRT“-ს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ქეთევან თავართქილაძეს. ფონდისთვის მიმართვა ხდება იმ შემთხვევაში თუ განსაკუთრებით რთული შემთხვევაა და საჭიროა სასამართლოსთვის ჩვენების დისკზე ჩაწერა. თუმცა აღსანიშნავია, რომ აქ გამოკითხვაც რთულ პროცედურებთან და რიგთან არის დაკავშირებული.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ძალიან მცირე რაოდენობის ფსიქოლოგები არსებობენ, რომლებსაც ამ შემთხვევებში კვალიფიციური ჩარევების განხორციელება შეუძლიათ. ამ ფონზე ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებაზე მსჯელობა შეუძლებელია.

როგორც სამაგიდე კვლევიდან გამოჩნდა, იმ სახელმწიფო უწყებების ფსიქოლოგების დატვირთვა, რომლებიც მონაწილეობენ მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, საკმაოდ მაღალია. თვისებრივი კვლევით საჭირო იყო გარკვეულიყო რამდენად პასუხობდა მათი რესურსი არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებს იმ პირობებში, როდესაც ისინი ამასთან ერთად სხვა მნიშვნელოვან და მრავალ ფუნქციას ითავსებენ.

გამოკითხვის პროცესში მონაწილე სოციალურ სააგენტოში დასაქმებული ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ მოწმე/დაზრალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მათი ჩართულობა მათ მიმართ დაკისრებული საერთო საქმის დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. იმისთვის, რომ მათთან კონსულტაცია შედგეს, ბენეფიციარებს ხშირად ერთ თვიანი რიგი უწევთ.

***ფსიქოლოგი***:: „როცა 40 საქმეზე ერთი ადამიანი მოდის, რთულია ხარისხზე საუბარი. პროფესიონალიზმის თემა შეიძლება აძლიერო, მაგრამ ადამინურ რესურსზეა საუბარი. ძალიან დაუკვირვებლად თუ ვიტყვი, 1/3-ს შეადგენს ჩვენი სამუშაოსი ამ ფუნქციის შესრულება, თან ოპერატიულია“.

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ სააგენტოს მთელი რეგიონის მასშტაბით (რეგიონში გაერთიანებულია 8 ან მეტი რაიონი) ერთი ფსიქოლოგი ემსახურება, რთული არ არის იმის დადგენა, რომ ოჯახური დავების, სასამართლო წარმომადგენლობის, კონსულტირების და სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, მათთვის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესზე დასწრების, მოწმის სახით დაკითხვის, სასამართლო სხდომაზე გამოძახების შეთავსება საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამასთან ერთად, ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ საქმეს ართულებს არანორმირებული სამუშო დრო/გამოკითხვის პროცესი („ახლა კანონმა გვიშველა, რომ 10 საათის მერე არასრულწლოვანს აღარ აჩერებენ, ისე მანამდე ღამის პირველ საათზეც კი მივსულვართ სახლში“.) გამოკითხვაზე დასწრების მიზნით რაიონებში ჩასვლაც საკმაოდ შორ მანძილზე და სხვა.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგებს საქმეების ისეთი რაოდენობა აწერიათ, რომ გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მათი მონაწილეობა ფაქტობრივად წარმოუდგენელია.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები სამართალდამცავი ორგანოების დახმარების გაწევის მიზნით ძირითადად არასამუშაო საათებში, დღის მეორე ნახევარში ახერხებენ. ისინი მომსახრებას ასევე დიდი რაოდენობით ბენეფიციარებს უწევენ: „მაგრამ მათაც აქვთ დიდი სამუშაო, (რეგიონის დასახელება) მასშტაბით მუშაობს 2 ფსიქოლოგი, (რეგიონის დასახელება) მასშტაბით რა რაოდენობის მოსწავლეა? დიდი დატვირთვა აქვთ“.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა გამომძიებელი და პროკურორი ერთხმად აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი გამოწვევა ფსიქოლოგების ნაკლებობაა. გამომძიებლები აცნობიერებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგების დატვირთულობას, აღნიშნავენ, რომ „მარტო პოლიცია ხომ არ არის, თავისი საქმეებიც აქვს“. ზოგი თვლის, რომ რაიონში თითო ფსიქოლოგის არსებობა საკმარისი იქნებოდა მათ საჭიროებების საპასუხოდ. ასევე მნიშვნელოვანია მათი ხელმისაწვდომობა ნაკლები ბიუროკრატიულობით გამოირჩეოდეს: „შემეძლოს თავად დავუკავშირდე...“ აღნიშნავს ერთ-ერთი გამომძიებელი.

***გამომძიებელი 1:*** „სულ ერთია და ყოველთვის, როდესაც საუბარია გამოწვევაზე, თუ რა გამოწვევებს ვაწყდებით ამ საკითხებთან დაკავშირებით, ყოველთვის არის გამოწვევაზე ჩემი აქცენტი და არა მარტო ჩემი, ჩემი კოლეგების, რომ განვიცდით ფსიქოლოგის ნაკლებობას. ის ადამიანი ეხლა მაქსიმალურად იხარჯება, გვეხმარება მაქსიმალურად და ჩართულია პროცესებში, მაგრამ მოგეხსენებათ (რეგიონის დასახელება) 8 რაიონია, რაც საკმაოდ ფართო მასშტაბებს მოიცავს და მთლიან რეგიონს ემსახურება ერთი ფსიქოლოგი“.

***გამომძიებელი 2:*** „უფრო ეფექტური რომ იყოს, აუცილებლად კადრი უნდა დაემატოს სოციალურ სამსახურს და უშუალოდ სოციალური სამსახურიდან უნდა საჭირო რაოდენობის ფსიქოლოგი. ისინი არიან პროფესიონალები, მათ აქვთ გამოცდილება და სხვა უწყებებიდან რომ არ დაგვჭირდეს ფსიქოლგის მოძიება, ვფიქრობ რესურსის გაზრდა კარგი იქნებოდა“.

***პროკურორი***: „შეუძლებელს აკეთებს (რეგიონისთვის) და მის კვალიფიკაციაში და მის მუშაობაში ნამდვილად არ შემიძლია რამე ეჭვი შევიტანო და უკმაყოფილება გამოვთქვა. ანუ, ამ ქალბატონთან მაქვს ყველაზე მეტი შეხება და უმრავლეს შემთხვევებში ეს ქალბატონია ჩართული. რაც შეუძლია მაქსიმუმს აკეთებს. ანუ, ჩვენ გარდა გამოკითხვებში და სასამართლო პროცესში მონაწილეობისას კონკრეტულ საქმეებზე ვეუბნებით, რომ ბავშვის შეფასება მოახდინოს და ამ კონკრეტულ დავალებასაც ის ასრულებს ხოლმე“.

იმ შემთხვევებზე, რომლებზეც გამომძიებლები ფსიქოლოგების მონაწილეობით გადაწყვეტენ არასრულწლოვანთან გამოკითხვას, მხოლოდ ფსიქოლოგთან შეხვედრის დროზე შეთანხმებით გეგმავენ. მათი თქმით, აკადემიის ფსიქოლოგებთან რამდენიმე საათით ადრე, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან რეგიონების მიხედვით თავისი სპეციფიკით (ზოგან 2 დღით ადრე, ზოგან 4) აქვთ შეთანხმებული. ყოველი შემთხვევისთვის, მათი თქმით, უარს ისინი არ ამბობენ.

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განზოგადების შედაგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული რესურსი არ პასუხობს იმ საჭიროებას, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ. იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქოლოგების აზრით, ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი უკვე გამოკითხულია, ცხადი ხდება, რომ ყველა მომართვას ფსიქოლოგების არსებული რაოდენობა ვერ დაესწრებოდა. ამდენად, შესაძლოა გამომძიებლების მხრიდან ფსიქოლოგების გამოკითხვის პროცესში ჩაურთველობა სწორედ რომ ფსიქოლოგების დატვირთულობით იყოს განპირობებული.

***ფსიქოლოგი:*** „შემთხვევით მოყვანილი ფსიქოლოგის ჩართვაც ხდება. გეუბნებიან: „აღარ დაგიძახებთ, რეგიონში ერთი ხართ“.

### 6.3.11 ფსიქოლოგთა კვალიფიკაცია და სტანდარტი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსაზღვრავს აღნიშნული პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციის საკითხს და მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სპეციალიზირებული პირები.[121] სპეციალიზაციის ვალდებულება სხვადასხვა პროფესიონალების გარდა განსაზღვრულია ასევე მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებისთვისაც.[122] მაგრამ მიუხედავად კოდექსის მოთხოვნისა, ფსიქოლოგებისთვის არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული ის უწყება, ვინც პასუხისმგებელია მათ სპეციალიზაციაზე. როგორც სამაგიდე კვლევაში გამოჩნდა, არც სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს და არც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აღნიშული მიზნით ფსიქოლოგთათვის რაიმე სახის გაწერილი პროცედურა, მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნა/კრიტერიუმი, ტრენინგ-მოდული ან სხვა ინსტრუქცია არ გააჩნია.

თვისებრივი კვლევიდან ასევე გამოჩნდა, რომ გამომძიებლებსა და პროკურორებს არ გააჩნიათ კვალიფიციურ ფსიქოლოგთა შესახებ ინფორმაციის ერთიანი ბაზა, რომელშიც გაფილტრული სახით მოცემული იქნებოდა რელევანტურ ფსიქოლოგთა შესახებ ბიოგრაფიული მონაცემები/BIODATA (ვინაობა, ექსპერტიზის სფერო, განათლება/კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება და ა.შ.). ისინი ფსიქოლოგის მოწვევის მიზნით ძირითადად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართავენ იმ მოტივით, რომ მათ გამოცდილი და ამ მიმართულებით სერთიფიცირებული კადრი ჰყავთ. თუმცა თავად ფსიქოლოგთა კვალიფიკაციის შემოწმებას ვერ ახერხებენ, რადგან მათი შეხედულებით, ამ კუთხით თავად არ არიან კომპეტენტურები. იმ უწყებას კი ენდობიან, რომელშიც ესა თუ ის ფსიქოლოგია დასაქმებული (სოც. მომსახურების სააგენტო). ამრიგად, თავად სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმება საკმარისი მანდატია იქ დასაქმებული ფსიქოლოგების პროფესიონალიზმის დასტურად. ამავე დროს, წერილობითი მიმართვის დროს პროკურორები მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზირებულ ფსიქოლოგთა ჩართულობას მოითხოვენ და შესაბამისად დამატებითი კითხვები მათი დასწრების დროს აღარ უჩნდებათ.

***გამომძიებელი***: „ჩვენ თვითონ მაგათ კვალიფიკაციას ვერ შევაფასებთ, არ არის ჩვენს ხელთ ამისთვის მექანიზმები და ბერკეტები, მაგრამ სოციალური სააგენტოს სამსახურს იმიტომ ვირჩევთ ყოველთვის და ფსიქოლოგს იმიტომ ვიწვევთ იქიდან, რომ მაგათი კომპეტენცია ჩვენთვის მაინც ცნობილია და მისაღებია“.

121 მუხლი 21 (1).

122 მუხლი 21.

***გამომძიებელი***: „სერთიფიცირებული უნდა იყოს და მუშაობის სტაჟი, უმაღლესი განათლება უნდა ქონდეს, მაგრამ ნამდვილად არ გვაქვს დიდი არჩევანის საშუალება. სოციალური სამსახურის ფსიქოლოგები ორივე მყავდა სხვადასხვა საქმეებზე და ძალიან კმაყოფილი ვარ მათი მუშაობით, ყოველთვის ძალიან მომეხმარნენ ხოლმე ბავშვთან მუშაობის დროს“.

თვისებრივი კვლევით კი გამოჩნდა, რომ არასრულწლოვნის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებს არ გააჩნიათ შესაბამისი სპეციალიზაცია, სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგიერთ ფსიქოლოგს აქვს გავლილი ტრენინგები, თუმცა ახალი თანამშრომლების შემთხვევაში ტრენინგების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. რაც შეეხება საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, შესაბამისი ტრენინგები გავლილი აქვთ მხოლოდ თბილისში მომუშავე ფსიქოლოგებს.

***ფსიქოლოგი 1***: „ჩვენ გავიარეთ ტრენინგები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდში შემდეგ საკითხებზე: გამოკითხვის პროცესი, პროტოკოლით დაკითხვა, მუშაობა როგორ განხორციელდეს და სხვა“.



***ფსიქოლოგი 2***: „ივლისიდან ვმუშაობ და ჯერ არ გამივლია ამ მიმართულებით არაფერი, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი გავლა“.

***ფსიქოლოგი 3:*** „2009 წლიდან ხდებოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მხრიდან ასეთი მუშაობა, ჩამოყავდათ ექსპერტები, სწავლობ მათგან, აქაურ ექსპერტებსაც აქვთ საკმაო ცოდნა. კარგა ხანია აღარ გვქონია შეხვედრები ამ ორგანიზაციის ფარგლებში“.

***ფსიქოლოგი 4:*** „ჩვენ მოვითხოვეთ ტრენინგი. მე კი მაქვს ნამუშევარი, 15 წელია ვმუშაობ ბავშვებთან, მაგრამ ამ მიმართულებით, დაკითხვიც სპეციფიკაზე - არა. გვითხრეს რაც გვევალებოდა, ჩვენს სამსახურს რა მოეთხოვება, თუმცა როდესაც გვითხრეს რა იყო ჩვენი ფუნქცია, აღარ გაგვივლია“.

***ფსიქოლოგი 5:*** „მე ვფიქრობ, რომ არ გვაქვს (იგულისხმება კვალიფიკაცია), ამას სჭირდება გადამზადება, სწავლა. ჩემთვის არავის არ უსწავლებია როგორ მოვიქცე ამ დროს. არც უნივერსიტეტში და არც სამსახურში“.

***ფსიქოლოგი 6:*** „მე არ ვარ ამ პროცესისთვის მომზადებული, საერთოდაც ნაკლებია ამ მიმართულების სპეციალისტები, შესაბამისად, არის კომპეტენციების პრობლემა და ნაკლებად არიან ფსიქოლოგები იმ უნარებით აღჭურვილები, რაც სჭირდებათ გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში“.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრით, ფსიქოლოგიური ფაკულტეტის დასრულება არ უნდა იყოს საკმარისი კრიტერიუმი მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

***სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი:*** „ფსიქოლოგი რომ ამთავრებს, არანაირი მსგავსი ინფორმაცია და ცოდნა არ გააჩნია, შეიძლება შიშველი ხელებით აღმოჩნდნეს ამ სტრუქტურაში უნივერსიტეტის აუდიტორიიდან, რომელმაც დაამთავრა HR-ის მიმართულება... სერთიფიცირებული უნდა იყოს ის ადამიანი, ვისაც ამ საქმისთვის ეძახის, სასამართლო იქნება თუ პროკურატურა“.

***სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი:*** „არ გამიგია, რომ ვინმეს კვალიფიკაციას თხოვდნენ. სახიფათოა, არარეგულირებადი პროფესიაა, ფსიქოლოგიის სფეროც დიდია და რომ ფსიქოლოგია არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია ასეთი ტიპის სამუშაო შესრულება“.



კიდევ ერთი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, ფსიქოლოგობა ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ის ბავშის დამცველია, ყველა ფსიქოლოგს არ უნდა შეეძლოს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება, მათ შესაბამისი სპეციალიზაცია და კვალიფიკაცია უნდა გააჩნდეთ: „თუ გამომძიებელს ვთხოვთ სპეციალიზაციას ბავშვებთან მიმართებაში, ფსიქოლოგების მიმართაც იგივე მოთხოვნა უნდა არსებობდეს“.

ამრიგად, მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლება ვერ შეფასდება საკმარის სპეციალიზაციად და ამ ცოდნით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა ვერ განხორციელდება ეფექტიანად. მაშინ, როდესაც სამაგიდე კვლევამ აჩვენა უმაღლესი განათლების კუთხით არსებული სიტუაცია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ 4 უმაღლეს სასწავლებელი სთავაზობს სტუდენტებს არჩევით საგნებად კრიმინოლოგიას, სასამართლო ფსიქოლოგიას, საგამოძიებო ინტერვიუირებას და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები საუბრობენ ასეთი კურსის შექმნის აუცილებლობაზე: „ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო ფსიქოლოგიის კურსის არსებობა, ავიღოთ რომელიმე ქვეყნის სილაბუსი, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ისე მოწმე და დაზარალებული ბავშვების შემთხვევაში, უნდა ისწავლებოდეს როგორც იურიდიულ, ისე ფსიქოლოგიურ ფაკულტეტებზე“.

სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული ფსიქოლოგებიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა გავლილი იურიდიული ფსიქოლოგიის მაგისტატურის კურსი, თუმცა ისიც ნაწილობრივ.

***ფსიქოლოგი: 1***: „იურიდიული ფსიქოლოგია გააკეთეს, მე პირადად ვსწავლობდი ამ მაგისტრატურაზე ერთი წელი. ძირითადად არის თეორიული ცოდნა. გავიარეთ პროტოკოლით გამოკითხვა. პრაქტიკას არ გულისხმობდა. თუ არ გქონია შეხება, ვერ გაიგებ ზოგადად რა ხდება“.

კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე საუბრობენ თავად ამ პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებიც, ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ შესაბამისი ანაზღაურების პირობებში თავად დაფარავდა სწავლის ხარჯებს.

***ფსიქოლოგი 2:*** „მნიშვნელოვანია ფსიქოლოგთა კვალიფიკაციის ზრდა ამ მიმართულებით, მუდმივი ტრენინგები და სუპერვიზიები, რადგან უსაფრთხოდ და პროფესიონალურად ჩაიაროს ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესმა“.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგთა კვალიფიკაცია არ პასუხობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნას სპეციალიზაციაზე და გადამზადებაზე. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ნაბიჯები გადაიდგას როგორც უმაღლესი განათლების, ასევე სახელმწიფო უწყებების შიდა სისტემურ დონეზე.

**6.3.12. სუპერვიზიის სისტემა**

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის მიერ საკუთარი გამოცდილების გადმოცემის/მოყოლის ხარისხზე, ყველასთვის ცნობილია/აღიარებულია, რომ ინტერვიუიერების ტექნიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. (Lamb, La Rooy, Malloy, & Katz, 2011). ინტერვიუს ჩატარების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერები იღებენ რეგულარულ სუპერვიზიას და უკუკავშირს (Cyr, Dion, McDuff, & Trotier-Sylvain, 2012; Lamb, Sternberg, Orbach, Esplin, & Mitchell, 2002; Lamb, Sternberg, Orbach, Hershkowitz, Horowitz, & Esplin, 2002).



სუპერვიზია შესაძლებელია განისაზღვროს მრავალი მხრიდან და სხვადასხვა მიზნით, მაგრამ ლიტერატურა განმარტავს ორ ფართო ცნებას - სუპერვიზია თვით-დახმარებისთვის, კეთილდღეობისთვის და სუპერვიზია ხარისხის კონტროლის მიზნით. (Turner & Hill, 2011). სასამართლო ინტერვიუირება (Forensic Interviewing) მოითხოვს სპეციალიზირებულ უნარებს და ცოდნას და ის კოგნიტურად რთული ამოცანაა. ტრენინგებს შეუძლია გაზარდოს ცოდნა, ინტერვიუირების უნარების გაუმჯობესების გარეშე. (Lamb, Sternberg, Orbach, Hershkowitz, et al.'s, 2002).

მკვლევარებმა შეიმუშავეს პროტოკოლიზირებული ინტერვიუ, როგორიცაა ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებულ პროტოკოლი. აღნიშნული პროტოკოლით სპეციალისტების გადამზადება აუმჯობესებს ინტერვიუს ჩატარების პრაქტიკებს იმ კუთხით, რომ ზრდის ღია კითხვებს და ამცირებს დახურული და მიმანიშნებელი შეკითხვების გამოყენებას. (Cederborg, Alm, Lima da Silva Nises, & Lamb, 2013).

კვლევების თანახმად, ტრენინგს სარგებელი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მას თან ახლავს რეგულარული ინდივიდუალური ზედამხედველობა და უკუკავშირი. მაგალითად, Lamb, Sternberg, Orbach, Esplin et al.'s (2002)-ის კვლევაში, რვა გადამზადებული ინტერვიუერი, რომელსაც მიღებული ჰქონდა პირდაპირი და სპეციფიკური უკუკავშირი საკუთარ ინტერვიუებთან დაკავშირებით, გაცილებით მეტად იყენებდა ღია შეკითხვებს რეგულარული სუპერვიზიის პირობებში, ვიდრე ისინი, ვინც არ იღებდა სუპერვიზიასა და უკუკავშირს.[123]

ამრიგად, NICHD-ი პროტოკოლით ინტერვიუერების გადამზადების დროს გაუმჯობესდა ინტერვიუს ჩატარების ხარისხი, უფრო მეტი სარგებელი იყო თვალშისაცემი, როდესაც ინტერვიუერები იღებდნენ რეგულარულ სუპერვიზიას და უკუკავშირს. რომ შევაჯამოთ, არსებულ მტკიცებულბებეზე დაყრდნობით, ინტერვიუირების საუკეთესო პრაქტიკის მისაღებად აუცილებელია თანმხლები სუპერვიზია და უკუკავშირი.

ჩატარებული სამაგიდე კვლევა აჩვენებს, რომ იმ სახელმწიფო უწყებებში, რომელში დასაქმებული ფსიქოლოგებიც (სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია) მონაწილეობენ არასრულწლოვანი მოწმე და დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, არ გააჩნიათ სუპერვიზიის სისტემა. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შემთხვევაში ეს ფაქტი იმ მიზეზებით აიხსნება, რომ მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მუშაობა აღნიშნული უწყების ფუნქციას არ წარმოადგენს.

123 "Examining Forensic Interviewers' Perseptions of Practice-Focused Supervision"; Missy Wolfman, Deirdre Brown and paul Jose; 2017. Pages: 567-568.

თვისებრივი კვლევით კი გაირკვა, რომ მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებს აქვთ საშუალება მიიღონ პროფესიონალური სუპერვიზია, სამსახურს აქვს შეთანხმება ორ ექსპერტთან: ქეთევან თავართქილაძესა და ჯანა ჯავახიშვილთან. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მათ ფუნქციას მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში წარმოადგენს მხოლოდ პროცესზე დაკვირვება და ბავშვისათვის ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენა.

ამავე დროს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები მიუთითებენ სუპერვიზიის საჭიროებაზე და აუცილებლობაზე:

„სექსუალურ ძალადობაზე მდომებია სუპერვიზია. ბოლო შემთხვევა რაც მქონდა, არ მქონია ბავშვთან წინასწარ გასაუბრება... შიშის მომენტი მქონდა, შეცდომას ხომ არ ვუშვებ - ამ კუთხით დამჭირვებია“.

„შენ თვითონ იმდენად ითრგუნები, არა მარტო ბავშვს, არამედ შენც გჭირდება სუპერვიზია“.

სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული ფსიქოლოგების მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილეობის ყველაზე მეტი შემთხვევა არსებობს, ამას ადასტურებენ როგორც გამომძიებლები და პროკურორები, ისე თავად ფსიქოლოგები. როგორც კვლევიდან გამოჩნდა, შესაბამისი უწყებები პირველად სწორედ მათ მიმართავენ და მხოლოდ მათგან უარის მიღების შემდეგ მიმართავენ მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებს. ფსიქოლოგებს მომართავენ - პროტოკოლის წესით გამოკითხვის ჩატარების, სასამართლოში მოწმის/ექსპერტის სახით წარდგენისა და შესაბამისი დასკვნის დაწერის მიზნით. ერთ-ერთი ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულად მძიმე საქმეებში მონაწილეობის გამო, როგორიც არის მცირეწლოვანი ბავშვების სექსუალური ძალადობის შემთხვევები, მას ჯანმრთელობის პრობლემებიც კი შეექმნა და თავად დაფარა მკურნალობის ხარჯები.

სოციალური მომსახურების სააგენტო ფსიქოლოგების სუპერვიზიას არ ახდენს. გამოსავალს ფსიქოლოგები თავად პოულობენ, ერთმანეთის (რეგიონში არსებული ფსიქოლოგები) მხარდაჭერით და კონსულტირებით, ასევე არაფორმალურად ექსპერტ ფსიქოლოგთან - ქეთევან თავართქილაძესთან კომუნიკაციითა და მისგან შესაბამისი რეკომენდაციების უსასყიდლოდ მიღებით.

***ფსიქოლოგი 1:*** „ჩვენ კოლეგები გავდივართ ერთმანეთთან, ვუდგავართ გვერდში ერთმანეთს. მაგრამ ეს არ არის ის, რაც უნდა იყოს.მე შემიძლია მივმართო ქეთი თავართქილაძეს, თუმცა არანაირი ვალდებულება არ აქვს, კეთილი ნებით გავდივარ სრულფასოვნად, რეკომენდაციებსაც ვიღებ“.

***ფსიქოლოგი 2:*** „შიგნით ფსიქოლოგი სპეციალისტი არ არის დეპარტამენტში, ვინც გაუწევს ფსიქოლოგებს სუპერვიზიას. გარედან მოწვეული უნდა იყოს სპეციალისტი, აიყვანონ კადრი, მაგალითად, დაკითხვა-გამოკითხვაზე სუპერვიზია, ან მაგალითად, გართულებული ქეისების მართვაში. ის, რომ ფსიქოლოგს განვითარება სჭირდება, კანონებს იღებენ, გემატება მოვალეობა და არ გაქვს შესაძლებლობა ცოდნა მიიღო. რომ გაეზარდოს კვალიფიკაცია, გჭირდება სუპერვიზია, ჩვენ არ გვაქვს. არც კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პროფესიულ განვითარებაზე არ ზრუნავს სააგენტო, თუ თვითონ არ იზრუნე, არც იმდენს გიხდის, შენ იზრუნო“.

***ფსიქოლოგი 3:*** „სუპერვიზია არ გვაქვს. შემთხვევებმა უნდა გაგზარდოს, თავზე როცა გაყრია საქმე, როგორ გაგზრდის, კარგ მომსახურებას მიიტან ადამიანთან? სისტემა აზარალებს მცირეწლოვანს, ვცდილობ, რომ არ ვიყო ეპიზოდში შევარდნილი ადამიანი, ვცდილობ კონტექსტზე ავიღო პასუხისმგებლობა, რაც ძალიან რთულია. ეს შეძენილი უნარები რომ არ ჩამოვარდეს, გვჭირდება სუპერვიზია და ტრენინგები. გადაწვის კუთხითაც სუპერვიზია გვჭირდება, რომ არ მოხდეს საკუთარი თავის პერსონიფიცირება. თუკი ვიღაცამ ჩათვალა რომ ამ სამსახურში იყოს ფსიქოლოგი, მაშინ უნდა ჩათვალონ სუპერვიზიის მნიშვნელობაც, ჩვენ გვქონდა სტარტი ქეთისთან (თავართქილაძე), ამას ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, ახლა ვალდებულების გარეშე გვაქვს ურთიერთობა ქეთისთან, ის უარს არ ამბობს“.

მართალია, კვლევის მიზანს მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების ფსიქოლოგიური სერვისის გაუმჯობესება წარმოადგენს და ამ მიზნიდან გამომდინარე, ძირითადი ფოკუსი ამ პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებზეა, მნიშნელოვანია განვიხილოთ სუპერვიზიის მნიშნელობა იმ გამომძიებლებთან, რომლებიც თავად წარმართავენ არასრულწლოვნის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესს. იმ პირობებში, როდესაც ფსიქოლოგები უკვე გამოკითხულ ბავშვებთან ხელმეორედ დაკითხვის დროს ერთვებიან, სუპერვიზიის პრობლემა და საჭიროება განსაკუთრებით აქტუალური ხდება გამომძიებლების შემთხვევაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფსიქოლოგები არაფორმალურ ზედამხედველობას მაინც პოულობენ, აცნობიერებენ რა საკითხის აქტუალურობას, როგორც საკუთარი კეთილდღეობიდან და გადაწვიდან გამომდინარე, ისე ხარისხის მონიტორინგისა და „უშეცდომო“ მომსახურების გაწევის მიზნით. ხოლო პროცესში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები შესაძლოა სრულად მოკლებულნი არიან სუპერვიზიის საჭიროებისა და აუცილებლობის როგორც გაცნობიერების, ისე განხორციელების შესაძლებლობას.



როგორც გამოიკვეთა, იმ მიზნით, რომ პროტოკოლიზირებულმა ინტერვიუმ შესაბამისი შედეგები გამოიღოს სანდო და მდიდარი ინფორმაციის მიღების კუთხით, საჭიროა მას თან ახლდეს ზედამხედველობის უწყვეტი პროცესი. ინტერვიუერებს შესაძლოა გაუჩნდეთ პიროვნული ემოციური დაძაბულობა და პროფესიული გამოწვევები, ეთიკური დილემები, რომლებიც უკუკავშირსა და მხარდაჭერას მოითხოვს. ასეთი ზედამხედველობის ნაკლებობამ კი შედეგად შეიძლება თავი იჩინოს სისტემურ (რესურსები და მენეჯერული პოლიტიკა) და ინდივიდუალურ (მოტივაცია, სამუშაო გადატვირთვა) ფაქტორებში.

**6.3.13. მოტივაცია**

შრომით კმაყოფილებას არსებითი გავლენა აქვს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ისეთ მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის დროს, როგორებიც არიან მოწმე და დაზარალებული ბავშვები, განსაკუთრებით რთული, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, ძალიან მნიშნელოვანია, რომ პროფესიონალის/ფსიქოლოგის ჩართულობა ატარებდეს არა ფორმალურ ხასიათს, არამედ მათ გააჩნდეთ სამუშაოს შესრულების შესაბამისი მოტივაცია.

როგორც სამაგიდე კვლევამ აჩვენა, არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ჩართული, სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული, ფსიქოლოგები კონკრეტულად ამ ფუნქციის შესრულებისთვის არ ღებულობენ დამატებით/წამახალისებელ გასამრჯელოს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს მათ კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას არ წარმოადგენს (სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური) და დამატებითი სამუშაოს განხორციელება უწევთ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების შრომითი კმაყოფილებისა და პროფესიული დატვირთვის შეფასების საკითხი, კერძოდ, აისახება თუ არა მოტივაციის არსებობა/არარსებობა შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

მოტივაციის მიმცემი ფაქტორების არარსებობის პირობებში, დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ფსიქოლოგები მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილეობის მთავარ მოტივატორად მხოლოდ და მხოლოდ ბავშვისთვის დახმარების გაწევის სურვილს ასახელებენ.

***ფსიქოლოგი 1:*** „მოტივაცია არის ბავშვის დახმარება, ბავშვის უფლებები. და პროფესიული განვითარება“.

***ფსიქოლოგი 2:*** „ჩვენი სამსახური არ ითვალისწინებს მოტივაციას ამ მიმართულებით. მაგრამ ეს მოტივაციაზე არ აისახება. ბავშვს რომ გავაღიმებ, ესეც ჩემთვის მოტივატორია და იმიტომ მაქვს დიდი მოცდის რიგი, რომ ხარისხი არ დავწიო. ბავშვია მნიშვნელოვანი“.

***ფსიქოლოგი 3:*** „მოტივაცია ზოგადად აისახება ხარისხზე, ჩვენ შემთხვევაში არა, ნამდვილად შეიძლება ვიცოდე, რომ 9 საათი შეიძლება ვიყო, მაგრამ ბავშვს სჭირდება და მივდივართ, მაგრამ ზოგადად შეიძლება არასრულფასოვნად შეასრულო“.

***ფსიქოლოგი 4:*** „ადვილი არ არის, ურთულესია იმ სიტუაციებში მორგება, პროფესიული თვალსაზრისით რთულია. ანაზღაურებაც საჭიროა, უნდა უღირდეს ადამიანს ჩართვა. შენი საქმეც უნდა გიყვარდეს და ბავშვებიც“.

რაც შეეხება ფსიქოლოგებისთვის აღნიშნულ პროცესში მონაწილეობისთვის წამახალისებელი საშუალებების გათვალისწინებას, უმეტესი ნაწილისთვის ეს დამატებითი ანაზღაურებაა ყოველი განხორციელებული გამოკითხვის/დაკითხვის პროცესისთვის, ხოლო ზოგიერთისთვის მადლობის გადახდა, მორალური მხარდაჭერის აღმოჩენა და პროფესიული განვითარების მიმართულებით ზრუნვის განხორციელება.

***ფსიქოლოგი 1:*** „ანაზღაურება არის აუცილებელი, სადაც მუშაობ, მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული კადრი. პატარა გაწეული სამსახურისთვის მადლობა რომ მაინც გადაგიხადოს ვინმემ, წახალისებული იყო“.

***ფსიქოლოგი 2:*** „ანაზღაურება ძალიან მნიშვნელოვანია...მორალური მხარდაჭერა ფსიქოლოგის, რომ მისი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია, რომ ითვალისწინებენ“.

***ფსიქოლოგი 3:*** „ფინანსური დაინტერესება, მოტივაცია ქონდეს ამ ადამინს, რომ მოისმინოს მძიმე ისტორიები, საჭირო მომზადება უნდა ქონდეს გავლილი, ტრენინგები, გარკვეული იყოს, არის მისი საქმე თუ - არა. სუპერვიზია ქონდეს, რამდენად არის ამისთვის მზად, პირადი თერაპია ქონდეთ“.



## 7. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბდა სამაგიდე და თვისებრივი კვლევის ანალიზის შედეგად. წარმოდგენილია ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის (საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით) შედარებითი ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში. გარდა ამისა, განხორციელდა ამ პროცესში ჩართულ სუბიექტთა გამოკითხვა თვისებრივი კვლევის ფარგლებში, რისი შედეგებიც ასევე ასახულია კვლევის მიგნებებში.

**ა) ზოგადი პრინციპები**

ადგილობრივი კანონმდებლობა პრინციპების დონეზე სრულ შესაბამისობაში მოდის საერთაშიროსო სტანდარტებთან. მასში ასახულია ისეთი პრინციპები, როგორიც არის ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა, ჰარმონიული განვითარების უფლება, მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის მონაწილეობის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ა.შ.

**ბ) ინდივიდუალური შეფასება**

საერთაშორისო სტანდარტები პირდაპირ და უშუალოდ მიუთითებენ მოწმე და დაზარალებული ბავშვების გამოკითხვის განხორციელებამდე მათი ინდივიდუალური შეფასების აუცილებლობაზე.[124] გამოკითხვის/დაკითხვის წინ მოსამზადებელ სამუშაოს და თავად ინტერვიუერის ბავშვთან კონტაქტისთვის მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ბავშვთან დამყარდეს რაპორტი, შეიქმნას ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს მის ჩართულობას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინტერვიუერი იცნობდეს ბავშვს გამოკითხვის დაწყებამდე, აუხსნას მისი როლი და თანამშრომლობის მიზანი. აუცილებლობად ითვლება, შენახული იყოს ჩანაწერები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ბავშვის ასაკის, ოჯახის, განვითარების დონის, ჯანმრთელობასთან და ტრავმასთან დაკავშირებული საკითხების, სკოლის მიღწევების, კულტურული ფონის, ძირითადი ფუნქციების შესაძლო დარღვევების შესახებ (მაგ. მეტყველების).

ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინდივიდუალურ შეფასებას სხვადასხვა შემთხვევებში (განრიდებისა, სასჯელის დანიშვნისა, სასჯელის აღსრულებისა და ა.შ.). თუმცა არ ითვალისწინებს ასეთის განხორციელების შესაძლებლობას მოწმე/დაზარალებული ბავშვების შემთხვევაში.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთგვაროვანი მიდგომა: ერთის მხრივ, კვლევის რესპოდენტები მიუთითებენ ინდივიდუალური შეფასების, მოსამზადებელი სამუშაოს აუცილებლობაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვის/დაკითხვის დროს არ ხორციელდება არასრულწლოვნის ინდივიდულაური შეფასება, მეტიც, ხშირ შემთხვევაში არასრულად ხორციელდება პროტოკოლით გათვალისწინებული შესავალი ფაზის გავლაც კი.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი გამოკითხვის/დაკითხვის ყველა ეტაპი.

**გ) დაკითხვის/გამოკითხვის მიმდინარეობა**

- **საკანონმდებლო ჩარჩო**

ადგილობრივი კანონმდებლობით, ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა უნდა განხორციელდეს მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით. არასრულწლოვნის დაკითხვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინტერვალებით, სადაც უნდა მოხდეს არასრულწლოვნის ასაკის, განვითარების დონის და სხვა გარემოებების გათვალისწინება. თუ არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე მოწმე ან მსხვერპლი, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს, ასევე შესაძლებელია ამ დროს განხორცელდეს ბავშვის აუდიო და ვიდეო ჩაწერა.

კანონმდებლობაში ჩამოყალიბებული ზოგადი ნორმები არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებული საპროცესო მოქმედებებში ჩართულობასთან დაკავშირებით, ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, საკმაოდ ბუნდოვანია თუ რა იგულისხმება რეალურად არასრულწლოვნის საჭიროებების შეფასების და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ქვეშ. როგორც ზევით უკვე ვისმჯელეთ, ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული კანონმდებლობის ან სახის ინსტრუქციების დონეზე ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვის მომზადებებისას და რთულია იმის შეფასება, თუ როგორ ხორციელდება ბავშვების შეფასება ამ პროცესში ან საერთოდ ხორციელდება თუ არა. გარდა ამისა, კანონმდებლობაში ერთი წინადადების გარდა (ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას) არ ჩანს თუ რა არის რეალურად ამ პროცესში ფსიქოლოგის ფუნქცია, რაზეც ზემოთაც გვქონდა მსჯელობა.

124 დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22(1,4), (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

- **არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება**

საქართველოს კანონის, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 52-ე მუხლი საგამოძიებო უწყების წარმომადგენლის დისკრეციულ უფლებამოსილებად განსაზღვრავს არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი კონკრეტულად არ ადგენს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართვის საფუძველს, რაც, როგორც კვლევიდან გამოჩნდა, საპროცესო მოქმედებებზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან არაერთგვაროვანი პრაქტიკის საფუძველი გახდა. ზოგიერთი გამომძებელი ასეთ კრიტერიუმად ადგენს დანაშაულის ხასიათს, ბავშვის ასაკს და სხვა.

ფსიქოლოგების უმეტესობა, რომელიც მონაწილეობს მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებთან გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, აღნიშნავს, რომ გამომძიებლები არ არიან კომპეტენტურები განსაზღვრონ ფსიქოლოგის საჭიროება, არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, რომ შეაფასონ ბავშვის ტრავმატიზაციის ხარისხი. არის შემთხვევები, რომ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ არის დაკავშირებული იმ დანაშაულის კატეგორიასთან, რომლისთვისაც ის იკითხება.

ამრიგად, მნიშვნელოვანია შესაბამისი პროცესის მწარმოებელ ორგანოებს გაწერილი ჰქონდეთ სახელმძღვანელო პრინციპები/გაიდლაინები, თუ რა შემთხვევაში უნდა მოახდინონ ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ჩართვა.

- **გამოკითხვა/დაკითხვის პროცესი**

გამოკითხვის/დაკითხვის პროცესის მიზანს შესაძლო დანაშაულის შესახებ მდიდარი და ზუსტი ინფორმაციის მიღება და შედეგად მართლმსაჯულების აღდგენა წარმოადგენს.

- აღნიშნული კი დამოკიდებულია ***ინტერვიუერის კვალიფიკაციასა და უნარებზე,*** მის მიერ გამოყენებულ ტექნიკებზე. გამოკითხვის პროცესში მნიშვნელობა ენიჭება შეკითხვების დასმის სიხშირეს, შეკითხვებს შორის დროის შუალედს, ინტერვიუერის მანერას და ინტერვიუს ხანგრძლივობას. პროფესიონალები, რომლებიც მონაწილეობენ ბავშვის გამოკითხვის პროცესში, ვერ გამოიყენებენ არსებულ მეთოდოლოგიას ეფექტიანად, თუ არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა განვითარების ფსიქოლოგიაში, კოგნიტური უნარების ფუნქციონირებაში (ყურადღება, აღქმა, მეხსიერება და სხვა).

კვლევის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ გამომძიებლებს არასაკმარისი უნარები გააჩნიათ ასეთი სენსიტიური ინტერვიუს ჩატარების საქმეში, რაზეც მეტყველებს მათ მიერ გამოხატული ემოციები, ტონი, მიმართულების მიმცემი შეკითხვები და სხვა. არსებული გადამზადება, მისი ვადები, ვერ უზრუნველყოფს შესაბამის უნარებით მათ აღჭურვას.

ამრიგად, საჭიროა საპროცესო გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირებისთვის სავალდებულო სპეციალიზაციის სტანდარტის ვადების გაზრდა და გასავლელი მოდულების თემატიკის გადახედვა/გაფართოვება.

- თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში ***ინტერვიუს ტექნიკის*** სწორი არჩევანი და გამოყენება თამაშობს გადამწყვეტ როლს ბავშვის მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის/დანაშაულის გამჟღავნებასა და სიმართლის დადგენაში. კვლევებით დადასტურებულია, რომ ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებულ პროტოკოლის დახმარებით ინტერვიუს ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდება.

ამავე დროს, თვისებრივი კვლევით გამოჩნდა, რომ გამომძიებლების მიერ არასრულწლოვნის გამოკითხვა ყოველთვის პროტოკოლის გამოყენებით (იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გამომძიებლები სავალდებულოდ თვლიან ფსიქოლოგის მონაწილეობას დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე) არ ხდება. ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ შესაძლოა ისინი (გამომძიებლები) იცავენ პროტოკოლის პრინციპებს, თუმცა პროტოკოლს ყოველთვის არ მიჰყვებიან. ამავეს ადასტურებს სერვისის მიმწოდებელი ერთ-ერთი ორგანიზაციის

წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნავს, რომ ბავშვის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულის შემთვევაში, არც გამომძიებლის და არც მის მიერ მოწვეული ფსიქოლოგის მიერ არ მომხდარა ბავშვის პროტოკოლით გამოკითხვა.

ფსიქოლოგების მიერ პროტოკოლით გამოკითხვა ტარდება მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს შემთხვევაში (რეგიონში ასეთი ფსიქოლოგი ერთია და ასრულებს მრავალ ფუნქციას), საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდში (რომელიც ასევე გადატვირთულია და რიგები დგას) და კერძო ფსიქოლოგების მიერ.

შესაბამისად იმ მიზნით, რომ ინტერვიუს შემდეგ დადგინდეს სიმართლე, მოხდეს მოძალადის დამნაშავედ ცნობა, არ მოხდეს ბავშვის რეტრავმატიზაცია (რაც არასწორად ჩატარებული ინტერვიუს შედეგი შეიძლება გახდეს) საჭიროა მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვა ჩატარდეს NICHD პროტოკოლის მეშვეობით. ამისთვის კი საჭიროა, სახელმძღვანელო პრინციპების დონეზე გაიწეროს მისი კონკრეტულ შემთხვევებში ჩატარების აუცილებლობა და განისაზღვროს მისი განმახორციელებელი პირები.

- გამოკითხვის დაგეგმვის ერთ-ერთ მიზანს ნაკლები რაოდენობის გამოკითხვის ჩატარება წარმოადგენს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით კი იკვეთება, რომ მოწმე დაზარალებულ არასრულწლოვნებთან ჩატარებულ ***გამოკითხვებს/დაკითხვებს განმეორებითი ხასიათი აქვს,***, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვზე, ზრდის მის ჩაგონებადობას.

როგორც კვლევიდან გამოჩნდა, არასწორად დაგეგმილი გამოკითხვების შემდეგ (პროტოკოლის გამოყენების გარეშე, გამომძიებლის მიერ დასმული მცდარი შეკითხვებით) შესაძლოა მოხდეს ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის გაცნობიერება, ძლიერი სტრესისა და ტრავმის გამოწვევა.

- არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ბავშვის დაცულობის და გახსნილობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ მას ბევრი ადამიანი არ ესწრებოდეს. თავისი ტრავმული ისტორიის გადმოსაცემად აუცილებელია მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ***დაკითხვაზე/ გამოკითხვაზე დამსწრე პირთა რაოდენობა.*** საუკეთესო შემთხვევაში, ბავშვთან ერთად ოთახში უნდა იმყოფებოდეს ორი დამკითხველი/გამომკითხველი.[125]

არსებული კანონმდებლობით, დაზარალებული/მოწმე ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილეობის უფლება აქვთ გამომძიებელს, პროკურორს, ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს (ან საპროცესო წარმომადგენელს), ფსიქოლოგს, მოწმის/დაზარალებულის კოორდინატორს, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმანს.

როგორც თვისებრივი კლევიდან იკვეთება, არ ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა მიზანს ემსახურება გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობა და რამდენად მიმართულია ეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ.

ამდენად, საჭიროა განისაზღვროს გამოკითხვაში მონაწილე პირთა მონაწილეობის მიზანი, მათი როლი, თითოეული მონაწილის ჩართულობის ხარისხი და მოხდეს შეთანხმება გამოკითხვა/დაკითხვაში მონაწილე პირების ოპტიმალურ რაოდენობაზე, რაც მოემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და სამართლიანობის დადგენას.

**დ) ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა)**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვზე მორგებული გარემოს არსებობას, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად (სპეციალიზირებული კანონმდებლობა და პერსონალი) ითვალისწინებს ინსტიტუციურ მოწყობას - ინსფრასტრუქტურას, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე - პოლიციაში, პროკურატურაში და სასამართლოში.

გარემო, სადაც ბავშვი იქნება გამოკითხული, გავლენას ახდენს კომუნიკაციაზე, კონცენტრაციასა და მეხსიერებაზე, განსაკუთრებით კი სკოლამდელი ასაკის ბავშებზე (Ceci, Bronfenbrenner, & Baker, 1988). ამიტომ დაკითხვა/გამოკითხვა უნდა ჩატარდეს ისეთ ადგილზე, სადაც ბავშვი კომფორტულად და დაცულად იგრძნობს თავს.

125 "დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან ურთიერთობა - გზამკვლევი". საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2017 წ, გვ. 27

თვისებრივი კვლევის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვების უმეტესობა (რუსთავში გაეროს ბავშვთა ფონდის ადაპტირებული სივრცის გარდა) მიმდინარეობს პოლიციის განყოფილებაში საერთო სივრცეში, სადაც ერთდროულად მუშაობს რამდენიმე გამომძიებელი. ამ სივრცეში ხდება ზრდასრული პირების დაკითხვაც. შესაძლოა რამდენიმე დაკითხვა მიმდინარეობდეს ერთდროულად, რის გამოც ისმის არა მარტო სხვა პირების გამოკითხვის შინაარსი, არამედ თანამშრომლებს შორის არაფორმალური საუბარი, მომლოდინე პირების ყვირილი და უცენზურო სიტყვები და სხვა. არ არის უზრუნველყოფილი ბავშვების კონფიდენციალობა.

მართალია, კანონმდებლობა პირდაპირ არ უკრძალავს შესაბამისი ინფრასტრუქტრის შექმნას სხვადასხვა უწყებებს, თუმცა სასურველია კანონმდებლობაში გაჩნდეს მსგავსი სახის ზოგადი ჩანაწერი მაინც, რაც ბავშვებისთვის ამ კუთხით დამატებით სამართლებრივი დაცვის გარანტიებს შექმნიდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში აისახოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა, ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნის თაობაზე, როგორც პოლიციაში, ასევე სასამართლოში ბავშვის გამოკითხვის პროცესში.

**ე) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**

საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს მართლმსაჯულების სფეროში ჩართული ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობას. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის ჩვენება მოსმენილ იქნეს სასამართლო დარბაზში დაზარალებულის დაუსწრებლად, სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა პირადი ცხოვრება, მათი ვინაობა და რეპუტაცია, და უნდა მიიღონ ზომები, რათა ხელი შეეშალოს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელმაც შეიძლება გააადვილოს მათი იდენტიფიცირება.

ადგილობრივი კანონმდებლობა ზოგადად პრინციპების დონეზე განსაზღვრავს, რომ ბავშვის პირადი ცხოვრება დაცულია მართლმსაჯულების ნებსიმიერ სტადიაზე. მოწმე/დაზარალებულ ბავშვებთან მიმართებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან ბავშვის დაცვას. ამ კუთხით, კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია სასამართლოს სხდომის დახურვა, სადაც მოწმე/დაზარალებული ბავშვი მონაწილეობს და ამის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სისტემაში არსებული ინფრასტრუქტრული პრობლემების გამო, ბავშვების გამოკითხვის პროცესში, მათი პერსონალური ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში დაცული არ არის. მსგავსი რისკები არსებობს სასამართლოშიც.

**ვ) მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგების ჩართვის მოთხოვნა/საჭიროება და არსებული რესურსი**

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე სახელმწიფო უწყებების ფსიქოლოგთა რაოდენობა ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებს იმ პირობებში, როდესაც ისინი ამასთან ერთად სხვა მნიშვნელოვან და მრავალ ფუნქციას ითავსებენ. ასევე ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პროკურატურა არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ჩართვის მიზნით იყენებს არა სახელმწიფოს ბაზაზე არსებულ, არამედ კერძო პირების/ორგანიზაციების რესურსსაც.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული რესურსი არ პასუხობს იმ საჭიროებას, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ. იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქოლოგების აზრით, ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი უკვე გამოკითხულია, ცხადი ხდება, რომ ყველა მომართვას ფსიქოლოგების არსებული რაოდენობა ვერ დაესწრებოდა. ამდენად, შესაძლოა გამომძიებლების მხრიდან ფსიქოლოგების გამოკითხვის პროცესში ჩაურთველობა სწორედ რომ ფსიქოლოგების დატვირთულობით იყოს განპირობებული.

ამ კუთხით, საჭიროა სახელმწიფო უწყებებში (სოციალური მომსახურების სააგენტოში) დასაქმებული ფსიქოლოგების რესურსის გაზრდა, საუკეთესო შემთხვევაში ყოველ რაიონში დასაქმდეს ერთი ფსიქოლოგი.

მოხდეს აღნიშნული ფსიქოლოგების გადამზადება მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის ტექნიკებში და მათი სპეციალიზაცია.

**ზ) ფსიქოლოგთა კვალიფიკაცია და სტანდარტი**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსაზღვრავს აღნიშნული პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციის საკითხს და მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სპეციალიზირებული პირები. სპეციალიზაციის ვალდებულება სხვადასხვა პროფესიონალების გარდა განსაზღვრულია ასევე მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებისთვისაც. მაგრამ მიუხედავად კოდექსის მოთხოვნისა, ფსიქოლოგებისთვის არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული ის უწყება, რომელიც პასუხსიმგებელია მათ გადამზადებაზე. როგორც სამაგიდე კვლევაში გამოჩნდა, არც სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს და არც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, აღნიშული მიზნით ფსიქოლოგთათვის რაიმე სახის გაწერილი პროცედურა, მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნა/კრიტერიუმი, ტრენინგ-მოდული ან სხვა ინსტრუქცია არ გააჩნიათ.

თვისებრივი კვლევით კი გამოჩნდა, რომ არასრულწლოვნის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებს არ გააჩნიათ შესაბამისი სპეციალიზაცია, სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგიერთ ფსიქოლოგს აქვს გავლილი ტრენინგები, თუმცა ახალი თანამშრომლების შემთხვევაში ტრენინგების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. რაც შეეხება საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, შესაბამისი ტრენინგები გავლილი აქვთ მხოლოდ თბილისში მომუშავე ფსიქოლოგებს.

ცხადია, მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლება ვერ შეფასდება საკმარის სპეციალიზაციად და ამ ცოდნით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა ვერ განხორციელდება ეფექტიანად. მაშინ, როდესაც კვლევამ აჩვენა უმაღლესი განათლების კუთხით არსებული სიტუაცია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ 4 უმაღლეს სასწავლებელი სთავაზობს სტუდენტებს არჩევით საგნებად კრიმინოლოგიას, სასამართლო ფსიქოლოგიას, საგამოძიებო ინტერვიუირებას და სხვა. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ნაბიჯები გადაიდგას როგორც უმაღლესი განათლების, ასევე სახელმწიფო უწყებების შიდა სისტემურ დონეზე სპეციალიზაციის სტანდარტის შექმნისა და გადამზადებაზე პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრის მიმართულებით.

**თ) სუპერვიზიის სისტემა**

ინტერვიუს ჩატარების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერები იღებენ რეგულარულ სუპერვიზიას და უკუკავშირს. იმისათვის, რომ პროტოკოლიზირებულმა ინტერვიუმ შესაბამისი შედეგები გამოიღოს სანდო და მდიდარი ინფორმაციის მიღების კუთხით, საჭიროა მას თან ახლდეს ზედამხედველობის უწყვეტი პროცესი.

კვლევის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ იმ სახელმწიფო უწყებებს, რომელში დასაქმებული ფსიქოლოგებიც (სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია) მონაწილეობენ არასრულწლოვანი მოწმე და დაზარალებული ბავშვების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, არ გააჩნიათ სუპერვიზიის სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ამ პროცესში მონაწილე ფსიქოლოგის მხარდაჭერაზე.

მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებს აქვთ საშუალება მიიღონ პროფესიონალური სუპერვიზია, თუმცა მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მათი ჩართულობა მხოლოდ გამომძიებლის მიერ მიმართულების მიმცემი შეკითხვების დასმის დროს ჩარევით და ბავშვისათვის ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენით შემოიფარგლება.

იმ პირობებში, როდესაც ფსიქოლოგები უკვე გამოკითხულ ბავშვებთან ხელმეორედ დაკითხვის დროს ერთვებიან, სუპერვიზიის პრობლემა და საჭიროება განსაკუთრებით აქტუალური ხდება გამომძიებლების შემთხვევაში. ფსიქოლოგები არაფორმალურ ზედამხედველობას მაინც პოულობენ, აცნობიერებენ რა საკითხის აქტუალურობას, როგორც საკუთარი კეთილდღეობიდან და გადაწვიდან გამომდინარე, ისე ხარისხის მონიტორინგისა და უშეცდომო მომსახურების გაწევის მიზნით. ხოლო პროცესში მონაწილე

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები სრულად მოკლებულნი არიან სუპერვიზიის საჭიროებისა და აუცილებლობის როგორც გაცნობიერების, ისე განხორციელების შესაძლებლობას.

ამრიგად, მნიშვნელოვანია საპროცესო გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებაში შემუშავდეს პროფესიული მხარდაჭერის სისტემა, რომელიც მიმართული იქნებოდა მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესის ჩატარების ხარისხის მონიტორინგზე, მიაწვდიდა გამომძიებლებს სისტემატურ უკუკავშირს.

**ი) მოტივაცია**

შრომით კმაყოფილებას არსებითი გავლენა აქვს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ისეთ მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის დროს, როგორებიც არიან მოწმე და დაზარალებული ბავშვები, განსაკუთრებით რთული, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, ძალიან მნიშნელოვანია, რომ პროფესიონალის/ფსიქოლოგის ჩართულობა ატარებდეს არა ფორმალურ ხასიათს, არამედ მათ გააჩნდეთ შესაბამისი მოტივაცია შესრულებული სამუშაოსთვის.

კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში ჩართული, სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული, ფსიქოლოგები კონკრეტულად ამ ფუნქციის შესრულებისთვის არ ღებულობენ დამატებით/წამახალისებელ გასამრჯელოს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს მათ კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას არ წარმოადგენს და დამატებითი სამუშაოს განხორციელება უწევთ.

მოტივაციის მიმცემი ფაქტორების არარსებობის პირობებში, დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ფსიქოლოგები მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში მონაწილეობის მთავარ მოტივატორად მხოლოდ და მხოლოდ ბავშვისთვის დახმარების გაწევის სურვილს ასახელებენ.

ამრიგად, მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფო უწყებების მხრიდან, რომელში დასაქმებული ფსიქოლოგებიც მონაწილეობენ მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, შეიმუშავონ დამატებითი წახალისების საშუალებები. დამატებითი მოტივაცია კი აამაღლებდა პერსონალის შრომით კმაყოფილებას, რაც დადებითად აისახებოდა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესზე.

**კ) სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები**

სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების მიზნით გაანალიზდა სახელმწიფო პოლიტიკის ორი სახის დოკუმენტი: ადამიანის უფლებათა დაცვის 2019-2020 წლების სამთავრობო გეგმა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმა. ორივე დოკუმენტში ასახულია აქტივობები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, შესაძლოა, უკავშირდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ფსიქოლოგის ჩართულობის გაუმჯობესებას.

**ადამიანის უფლებათა დაცვის 2019-2020 წლების სამთავრობო გეგმაში** ერთ-ერთი მიზანი არის ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის ამოცანები კი არის ბავშვებთან დაკავშირებული სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გაუმჯობესება ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა; მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური სპეციალიზაცია.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმის** ერთ-ერთი **მიზანია** <u>არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისა და აღსრულების დახვეწა.</u> ამ მიზნის მიღწევის მიზნით ჩამოყალიბებულია შემდეგი სახის ამოცანები და ამოცანის შესრულების ღონისძიებები: **ამოცანა** - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა და ხარვეზების აღმოფხვრა. **ღონისძიება** - ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფა. **ღონისძიება** - პასუხისმგებელ უწყებებში დასაქმებულ პროფესიონალთა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განგრძობადი სპეციალიზაციის/გადამზადების უზრუნველყოფა.

**გეგმის მიზანი არის ასევე** <u>შინაგან საქმეთა სამინისტროს ეფექტიანობის გაზრდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.</u> **ამოცანა** - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის

გაძლიერება კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით. **ღონისძიება** - ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში არასრულწლოვანთა სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფის შექმნა. **ღონისძიება** - საქართველოს დიდ ქალაქებში სპეციალიზებული გამომძიებლების გამოყოფა, რომლებიც მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებენ. ამ მიზნის **მეორე ამოცანა** არის - გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება, პროცესის მონაწილეთათვის გამოძიების პროცესში მონაწილეობის გამარტივება. **ღონისძიება** - შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემებში მოქმედი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის ჩართულობა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში.

ზემოთ აღნიშნულ გეგმებში ასახული აქტივობები გარკვეულწილად ფარავს ერთმანეთს, თუმცა სისხლის სამართლის რეფორმის გეგმა უფრო მეტად არის გაშლილი და მოიცავს შესაბამის აქტივობებს. ამ გეგმის მიზნები, ამოცანება და ამოცანის ქვეშ ჩამოყალიბებული საქმიანობები ზოგადად შესაძლოა უკავშირდებოდეს ფსიქოლოგიური მხარდამჭერი მექანიზმის გაუმჯობესებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, თუმცა გეგმის ამ კომპონენტების ანალიზიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება იმის შეფასება, რამდენად შეეხება ეს აქტივობები აღნიშნული საკითხის გაუმჯობესებას (მაგ. საკანონმდებლო რეგულაციები რამდენად შეეხება ფსიქოლოგის როლის უკეთ განსაზღვრას, ბავშვზე მორგებული გარემოს ქვეშ რამდენად იგულისხმება მოწმე/დაზარალებული ბავშვებისთვის შესაბამისი გარემოში შექმნას, სპეციალიზაცია რამდენად მოიაზრებს ფსიქოლოგების გადამზადების შესაძლებლობას და ა.შ.). აქედან გამომდინარე, აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტებზე დაყრდნობით, რთულია შეფასდეს, კონკრეტულად რას გეგმავენ სახელმწიფო უწყებები ზემოთ აღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით.

### ლ) დასკვნა და რეკომენდაციები

მოწმე და დაზრალებულ ბავშვებთან მიდგომის ყველაზე ეფექტიანი მცდელობის ქვაკუთხედს წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, რომლის მიზანიც იქნება დაიცვას ბავშვთა უფლებები მათი ასაკისთვის შეუფერებელ პროცედურებში მონაწილეობით გამოწვეული ზიანისგან.

ყველა პროტოკოლი, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების გამოკითხვასთან/დაკითხვასთან, მიუთითებს ინტერვიუს დაგეგმვის აუცილებლობაზე, ინტერვიუერის როლისა და მისი უნარების მნიშვნელობაზე, ასევე ძირითადი პრინციპებისა და წესების დაცვაზე, რომელსაც ინტერვიუერი უნდა დაეყრდნოს და შესაბამისი ტექნიკების გამოყენებაზე.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია პროფესიონალსა და ბავშვს შორის კავშირის დამყარება და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, თანამშრომლობის წესებზე შეთანხმება, ინტერვიუს ჩატარება სპეციალურ, ბავშვზე მორგებულ უსაფრთხო და მეგობრულ გარემოში, გამოსაკითხი ბავშვის განვითარების დონის შეფასება, სხვადასხვა პროფესიონალების მიერ ბავშვების განმეორებით გამოკითხვის თავიდან აცილება.

მნიშვნელოვანია მოწმე/დაზარალებული ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვა მიმდინარეობდეს პროტოკოლიზირებული კითხვარის საშუალებით, გამომკითხველი ითავლისწინებდეს ბავშვის განვითარების დონეს, არ სვამდეს მიმანიშნებელ შეკითხვებს, არ ხდებოდეს შეკითხვების განმეორება, წახალისებული იყოს თავისუფალი თხრობა, თავიდან იქნეს აცილებული განმეორებითი, ხანგრძლივი გამოკითხვა/დაკითხვები.

გამოკითხვის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი მოტივაცია, აღნიშნული ფუნქციის შესრულებისთვის არსებული დროის რესურსი, უწყვეტი სუპერვიზიისა და უკუკავშირის მიღების საშუალება, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა.

საბოლოო მიზანს კი წარმოადგენს ბავშვების დაცვა განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან, სიმართლის/ჭეშმარიტების დადგენა და მართლმსაჯულების სწორი მიმართულებით წაყვანა.

გამოკითხვის/დაკითხვის სწორი წარმართვის მნიშვნელობას კარგად წარმოაჩენს კვლევაში მონაწილე არასრულწლოვნების შემთხვევა, სადაც მამის დაშინებითა და ზეგავლენით ორმა არასრულწლოვანმა არაერთი ცრუ ჩვენება მისცა გამოკითხვის დროს გამომძიებლებს, რასაც შედეგად დედისთვის თავისუფლების აღკვეთა მოჰყვა. ბავშვების თქმით, ისინი კვირაში ორჯერ მიდიოდნენ პოლიციაში და ვერავის ვერ უცხადებდნენ ნდობას, იმის შიშით, რომ საბოლოოდ მამის განრისხება არ გამოეწვიათ. ბავშვების მიერ საკუთარი დედის „დაჭერის“ ფაქტი მათი მხრიდან სუიციდის მცდელობის მიზეზი გახდა. თუმცა ოჯახის ნათესავების, სანდო მოწმეების ჩვენებისა და არასამთავრობო ორგანზიაციების მიერ სამართლებრივი თუ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენის შემდეგ, ბავშვებმა მოახერხეს სიმართლის აღიარება.

სისხლის სამართლის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე ბავშვებისთვის საჭიროა არსებობდეს უსაფრთხო ადგილი, სივრცე, რომელიც საშუალებას მისცემდა ბავშვებს, მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის/დანაშაულის გამჟღავნება მომხდარიყო მეორადი ვიქტიმიზაციის გარეშე. ასეთი სახის სივრცეების არსებობა შექმნიდა ყველა პირობას და უპასუხებდა მათ საჭიროებებს. კერძოდ: დაიცავდა ბავშვებს საკუთარი ისტორიის განმეორებითი მოყოლისაგან, სხვადასხვა პროფესიონალთან მრავალჯერადი კონტაქტისგან, ისეთ გარემოში, რომელიც მათთვის ხშირ შემთხვევაში დამთრგუნველია და შემაშინებელიც კი.

საჭიროა ბავშვზე ორიენტირებული, მორგებული გარემოს შექმნა, სადაც მულტიდისციპლინარული გუნდი მოახდენს როგორც ბავშვის წინასწარ შეფასებას, ასევე ბავშვების ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვას ტრავმისგან მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია, შემცირდეს გამომკითხველთა რაოდენობა და განისაზღვროს მხოლოდ მინიმალურად აუცილებელი სუბიექტების დასწრების შესაძლობლობა.

სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება, როგორც ბავშვთა ადვოკატირების ცენტრები აშშ-ი და ე.წ. „ბარნაჰუსების“ (ბავშვთა სახლები) მოდელი ევროპაში, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგნეს და ზემოთ გვქონდა აღწერილი. სახელმწიფო უწყებებმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვრონ, თუ როგორი სახის მოდელს შექმნიან, რამდენად და რა დოზით გამოიყენებენ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. თუმცა, საუკეთესო გამოცდილებამ აჩვენა, რომ დაზარალებული/მოწმე ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების/სერვისების მიწოდება „ერთი ფანჯრის პრინციპით“, უფრო მეტად შეამცირებს ბავშვების გამოკითხვის პროცესთან დაკავშირებულ რისკებს. ასეთი სახის სივრცეების შექმნა, უნდა მოხდეს იმ ქალაქებში/რეგიონებში, სადაც ამის საჭიროება ყველაზე მეტად იკვეთება და ეს უნდა დაეფუძნოს სტატისტიკურ ან/და სხვა სახის ინფორმაციის ანალიზს.



გარდა ამისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგებსა და გამომძიებლებს შორის როლების განაწილება და მათი ფუქნციების განსაზღვრა. საერთაშორისო პრაქტიკა ამ კუთხით გვთავაზობს სხვადასხვა სახის მიდგომას, მათ შორის ინტერვიუერის პროფესიის შემოღებას და გამომძიებლისა და ფსიქოლოგის რესურსის დაზოგვას. თუმცა ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს და არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, შემოთავაზებული მოდელი, ამ ეტაპზე, რეკომენდირებულია იყოს მორგებული არსებულ ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოზე და პრაქტიკაზე, სადაც ფსიქოლოგებს და გამომძიებლებს ეს პროცესი ერთობლივად მიყავთ. გარდა იმისა, რომ განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტულად მათი ფუნქცია და როლი ამ პროცესში, ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს მათი კვალიფიკაციის მაღალი სტანდარტი.

სამომავლოდ რეკომენდირებულია გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, ინტერვიუერის პოზიციის დანერგვისა და განვითარების მიმართულებით, რაც მოიცავს აკადემიური ცოდნის მიღების შესაძლებლობების გაჩენას, შესაბამისი შტატების/სტრუქტურის შექმნას, რომელიმე უწყების შიგნით (მაგ. სოციალური მომსახურების სააგენტო), რომლის ერთადერთი ფუნქცია საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა იქნება, ხოლო ამისთვის ექნება საკმარისი რესურსი, შესაბამისი სპეციალიზაცია, სუპერვიზია და მოტივაცია.

თუმცა კვლევაში გამოკვეთილი გამოწვევების გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გარდა, არსებული მოცემულობიდან გამომდინარე აუცილებელია გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

**მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპების/გაიდლაინის შექმნა და მისი დამტკიცება**:

- განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მოხდება ფსიქოლოგის ჩართვა მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში;
- განისაზღვროს გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის და გამომძიებლების როლი და მანდატი;
- გამოკითხვის/დაკითხვის ეწ. NICHD პროტოკოლით ჩატარებას ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი.

**სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში, ამ სისტემის გასაუმჯობესებლად, ნათლად და მკაფიოდ განისაზღვროს, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, ამოცანები და აქტივობები.**

**რესურსი, კვალიფიკაცია და მოტივაცია:**

- გადაიდგას ნაბიჯები, პოლიციის დონეზე ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით, იმ რეგიონებში/ქალაქებში, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროება იკვეთება;
- განხორციელდეს გამომძიებლების ტრენინგ-მოდულის მოდიფიცირება, მისი მორგება არსებულ საჭიროებებზე და ამის საფუძველზე გამომძიებლების გადამზადება;
- შეიქმნას გადამზადებულ ფსიქოლოგთა გუნდი, რომელსაც ექნება საკმარისი კვალიფიკაცია, იმუშაოს მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებთან საგამოძიებო მოქმედებების სხვადასხვა ეტაპზე;
- საკანონმდებლო დოზე განისაზღვროს ფსიქოლოგების გადამზადებაზე პასუხისმგებელი უწყება;
- შეიქმნას შესაბამისი ტრენინგ-მოდული ფსიქოლოგებისთვის, რომლის მიხედვითაც მოხდება შემდგომში მათი გადამზადება;
- განხორციელდეს სპეციალიზირებული ფსიქოლოგებისთვის დამატებითი ანაზღაურების დაწესება ყოველი განხორციელებული გამოკითხვის/დაკითხვის პროცესისთვის;
- საუნივერსიტეტო დონეზე შეიქმნას შესაბამისი პროგრამები, რომლებიც უპასუხებენ არსებულ საჭიროებებს.

**სუპერვიზიის/ხარისხის კონტროლის მექანიზმი**

- ამოქმედდეს გამოკითხვის/დაკითხვის პროცესზე სუპერვიზიის/ხარისხის კონტროლის მექანიზმი. არსებული მოდელის გათვალისწინებით, გამომძიებლებისა და პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებისთვის. ასევე იმ შემთვევისთვის, თუკი მიღებული იქნება გადაწყვეტილება ინტერვიუერის პოზიციის ჩამოყალიბებისთვის;
- განისაზღვროს კონკრეტული სტრუქტურა ან ადამინები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან ჩატარებული ინტერვიუს - გამოკითხვის/დაკითვხის ხარისხის მონიტორინგზე;
- განხორციელდეს ინტერვიუს აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რაც სუპერვაიზორებს გამომკითხველისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემას შესაძლებლად გახდის;
- სამსახურის შიგნით შეიქმნას ჯგუფური სუპერვიზიის შესაძლებლობა, რომელზედაც განხილული იქნება რთული ქეისები გამოცდილი სუპერვაიზორის მიერ (შესაძლებელია ასეთის მოწვევა კონკრეტული სტრუქტურის შიგნით).